

178

1969

2



სახვითა სამართალი

საქართველოს 33 ტანგრაფიკი კომიზაციის გამომცემლობა

1969

3

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1969 წელი

გამოცემის XVI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ეარსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| გ. ტყეშელაძე — სასამართლო პრაქტიკა და სამართალმემოქმედება | 3 |
| უ. კობიაშვილი — ორმაგი ანუ შერეული ბრალის საკითხისათვის | 14 |
| ლ. ისაკაძე — საზვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო ხელშეკრულებათა შინაარსი | 25 |
| ო. კიკვიძე — ზიანის ანაზღაურება და მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთი საკითხი ოფიციალური მასალა | 35 |
| | 39 |

ქართული სამართლის ისტორია

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| დ. ფურცელაძე — ვახტანგ VI სამეგვიდროე კანონი | 44 |
| გ. ნადარეიშვილი — ქალის უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში | 56 |
| ა. იოიროში — ატომური ნედლეულის სამართლებრივი რეჟიმი კაპიტალისტურ ქვეყნებში | 62 |

მოწინავეთა პორტრეტები

| | |
|----------------------------------------------------------|----|
| ადამიანი, მოქალაქე, პროკურორი | 68 |
| მ. ვაყელიშვილი — ხალხის ინტერესების სადარაჯოზე | 70 |

რომანი

| | |
|------------------------------------------|----|
| ჭ. ჩეიში — მოწმენი არ იქნებიან | 72 |
|------------------------------------------|----|

ისტორიის ფურცლები

| | |
|---------------------------------------------------|----|
| ვ. ანდრიანოვი — მთელი ცხოვრება ეშაფოტზე | 83 |
| ინფორმაცია | 86 |
| ნეკროლოგი | 95 |

11023



სსრ სსრ
სსრ სსრ
სსრ სსრ

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| Г. Ткешелидзе — Судебная практика и правотворчество | 3 |
| У. Кобиашвили — К вопросу о двойной или смешанной форме вины | 14 |
| Л. Исакадзе — Содержание авторских договоров на произведения изобразительного искусства | 25 |
| О. Киквидзе — Возмещение вреда и некоторые вопросы причинной связи | 35 |
| Официальный материал | 39 |

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

| | |
|---------------------------------------------------------------------------|----|
| Д. Пурцеладзе — Закон Вахтанга VI о наследовании | 44 |
| Г. Надареишвили — Правовое положение женщин в феодальной Грузии | 56 |

| | |
|---------------------------------------------------------------------------------|----|
| А. Иойрыш — Правовой режим атомного сырья в капиталистических странах | 62 |
|---------------------------------------------------------------------------------|----|

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

| | |
|-------------------------------------------------------|----|
| Человек, гражданин, прокурор | 68 |
| М. Вакелишвили — На страже интересов народа | 70 |

РОМАН

| | |
|-----------------------------------------|----|
| Д. Чейз — Свидетелей не будет | 72 |
|-----------------------------------------|----|

СТРАНИЦЫ ИСТОРИИ

| | |
|-------------------------------------------|----|
| В. Андрианов — Жизнь на эшафоте | 88 |
| Информация | 86 |
| Некролог | 95 |

სარედაქციო კოლეგია

შეკ. № 1933
ტირაჟი 16.500
შე 06370

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,
ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—99-09-62

გადაეცა წარმოებას 26VI/-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-69 წ., ქალაქის ზომა 70X108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

სასამართლო პრაქტიკა და სამართალმეცნიერება

2. ტყუილია

1. სამართალმეცნიერება კანონმდებლის ფუნქციაა. სასამართლოს ფუნქციას კი მხოლოდ სამართლის გამოყენება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკას არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს სამართალმეცნიერებასთან. ამ შეხედულების გაბათილება და სამართალმეცნიერებაში სასამართლო პრაქტიკის მონაწილეობის დასაბუთება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ თავდაპირველად გამოვარკვევთ ფილოსოფიისა და სამართლის თეორიის შემდეგ საკითხებს: რა ვითა და საშუალებით ხდება სამართლებრივად მოსაწესრიგებელი მოვლენის შემოფარგვლა და ქცევის სავალდებულო წესის დადგენა? შეუძლია თუ არა ასეთ ზოგად წესს ასახოს კონკრეტული მოვლენის ყველა ნიშანი? შეუძლია თუ არა სამართლის ნორმას პასუხი გასცეს ყველა ცხოვრებისეულ საკითხს? რა ზომითა და ხარისხით აისახება სოციალური ცხოვრება სამართლებრივ ნორმაში? ხომ არ ჩამორჩება სამართლებრივი ნორმა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას? თუ ასეთი ჩამორჩენა შესაძლებელია, ქმნის თუ არა დავიანებებული სამართლებრივი მოწესრიგება სიძნელებებს სამართლის ფუნქციის განხორციელებისას?


2. ფილოსოფიური თვალსაზრისით ყოველგვარი ცნება და, მაშასადამე, მისი წაირსახეობა — სამართლებრივი ნორმა მოძრაობის „შეჩერების“ შედეგია. მოძრაობის „შეჩერებით“ ადამიანი სინამდვილეს ისეთ ცნებებში ასახავს, რომელთაც ერთმნიშვნელოვანი, „მკაცრი“ შინაარსი აქვთ. პრაქტიკის საფუძველზე მუდმივად ცვალებადი საგნებიდან და ურთიერთობებიდან ხორციელდება ამ „მკაცრი“, მდგრადი შინაარსის გამოყოფა, მისი სტრუქტურული გაფორმება. პოლონელი მარქსისტი ფილოსოფოსი ა. შაფი ამ პროცესს ადარებს კინოფირს, რომელიც მოძრაობასა და ცვალებადობას გამოხატავს. კინოფირის ცალკეული კადრები წარმოადგენენ მომენტებს, რომლებიც ერთმანეთისაგან იზოლირებულად ნახვისას მოჩვენებით სიმშვილეს ქმნიან¹.

სამართლის სფეროში ასეთ კადრს, მომენტს წარმოადგენს არსებული სამართლებრივი ნორმა. კანონმდებელი ნორმაში ასახავს იმ მტკიცეს, სტაბილურს, რომელიც შესაბამის საზოგადოებრივ ურთიერთობას ახასიათებს. ასეთ „მშვიდ“, სტაბილურ ნორმას დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სტაბილური ნორმა უზრუნველყოფს სტადანსხვა სიტუაციისა და პირის მიმართ სამართლიანობის ერთიანი კრიტერიუმის გამოყენებას.

მაგრამ „ეს ცხადია, სრულიადაც არ უკეთებს რეაბილიტაციას მეტაფიზიკურ მეთოდს, რადგან სამყაროში ჩვენს გარშემო არსებული საგნები არ არიან ერთმანეთისაგან გათიშულნი, არ არიან მარადიულნი და უცვლელნი, რადგან „მოძრაობის შეჩერება“, რაც შემეცნების მიზნებისათვის ხდება, დროებითია და ემსახურება სინამდვილის უფრო ღრმად ასახვის მიზნებს“². ეს იმას ნიშნავს,

¹ იხ. **А. Шаф.** Некоторые проблемы марксистско-ленинской теории. Изд. иностранной литературы, М., 1953, стр. 180.

² **Д. П. Горский.** Проблемы общей методологии наук и диалектической логики. Изд. «Мысль», М., 1966, стр. 14



რომ შემეცნების ერთ აქტში შეუძლებელია სრულად და საბოლოოდ ავსახოთ სინამდვილე. შემეცნებამ არ შეიძლება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მიაღწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აღარაფერი დარჩება გასაკეთებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კანონმდებლობა, რომელიც აბსოლუტურად სოციალური რეალობის შესაბამისი იქნებოდა. ობიექტური სინამდვილე უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მისი ამსახველი ცნობიერება. ეს კი, მატერიალისტური დიალექტიკის შესაბამისად, იწვევს ცნობიერების მუდმივ ჩამორჩენას სოციალური სინამდვილისაგან, სოციალური ცნობიერების ჩამორჩენას სოციალური ყოფიერებისაგან, ზედნაშენის ჩამორჩენას ბაზისისაგან.

სოციალისტურ საზოგადოებაში ამ მოვლენას თავისი სპეციფიკა გააჩნია. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ ამ საზოგადოებაში მოისპობა ის სოციალური ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ძველი, რეაქციული იდეების შენარჩუნებით. აქ ყველა პირობა არსებობს სოციალურ შემეცნებაში ობიექტური სინამდვილის ყველაზე უფრო ადეკვატური ასახვისა და სოციალური შემეცნების ჩამორჩენის მინიმუმამდე დაყვანისათვის. მიუხედავად ამისა, სოციალური სინამდვილისაგან სოციალური შემეცნების ჩამორჩენის ტენდენცია მაინც გრძელდება სოციალისტურ საზოგადოებაში, რადგან აქაც არსებობს ამ მოვლენის ცნოსეოლოგიური მიზეზი, კერძოდ ის, რომ შემეცნება სინამდვილის ასახვაა, რომ ასახვა შეიძლება იყოს მხოლოდ მეორადი—ასახახავი ობიექტის შემდეგ.

სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებობს ამ ჩამორჩენის სხვადასხვა ფორმა. ასეთია, მაგალითად, წარსულის მავნე გადმონაშთების არსებობა ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში. კანონმდებლობის დარგში ეს ჩამორჩენა გამოვლინდება ერთგვარ შეუსაბამობაში სამართლებრივ ნორმებსა და ობიექტური სინამდვილის მოთხოვნებს შორის. ფორმის ცვალებადობა ყოველთვის ჩამორჩება მისი შინაარსის ცვალებადობას, რადგან ფორმა საგნისა და მოვლენის უფრო მყარი მხარეა, ვიდრე მისი შინაარსი.

ამრიგად, **სამართლის სფეროში ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა: მოძრაობის აბსოლუტურობა და სიმშვიდის შედარებითობა. მოძრაობის აბსოლუტურობა იმით გამოიხატება, რომ კანონმდებელი ცდილობს ფეხდაფეხ მიჰყვეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს, ხოლო სიმშვიდის შედარებითობა ნიშნავს იმას, რომ მყარი და სტაბილური იყოს სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობები.**

ამ შეუსაბამობის, წინააღმდეგობის გადაჭრისათვის პრინციპულად მიუღებელია მოსაზრება, რომ თუ კანონი აღარ აკმაყოფილებს საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნებს, ზღვან კანონის შემფარდებელს, კანონის შეცვლამდე, უფლება უნდა მიცეს თვითონვე გაუკეთოს კანონს კორექტივი. **საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნებსა და სამართლებრივ ნორმას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში თვით კანონმდებელმა უნდა სრულყოს ან შეცვალოს ნორმა.**

3. ასეთი შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად კანონმდებელი გულდასმით აღევნებს თვალყურს საზოგადოებრივ პრაქტიკაში მომხდარ ცვლილებებს. ამისათვის იგი ფართოდ იყენებს კავშირის სხვადასხვა რგოლებს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან. საბჭოთა კანონმდებლობის მეცნიერული

ხასიათი და ეფექტურობა უმეტესწილად აიხსნება სწორედ იმით, რომ კანონმდებელს მყარი კავშირი აქვს ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან. ეს კი შესაძლებელი ხდება იმ საშუალებებით, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნათა შესწავლასა და გათვალისწინებას.

სახელმწიფო აპარატის მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, სხვადასხვა ფორმით მათი მონაწილეობა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, სახელმწიფო აპარატის იმ სხვადასხვა რგოლის კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომლებსაც თუმცა ეკისრებათ ამა თუ იმ სფეროს ხელმძღვანელობა, მაგრამ რომლებიც ჰარმონიულად თანამშრომლობენ სახელმწიფო აპარატის ამოცანების იანხორციელებისათვის, სახელმწიფო აპარატის მიზნების ერთიანობა — აი, ამ ერთიანის ზოგიერთი ნიშანი. ამ ერთიანის ნაწილად წარმოგვიდგება საბჭოთა კანონმდებლის საქმიანობა. საბჭოთა კანონმდებელი არ მოქმედებს ამ ორგანოებისაგან განკერძოებით. სწორედ ამ პლანში უნდა იქნას შესწავლილი სასამართლო პრაქტიკის როლი სამართალშემოქმედებისათვის.


4. სასამართლო პრაქტიკა საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმაა. საზოგადოებრივ პრაქტიკას, რომელიც ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიულ მოღვაწეობას გამოხატავს, სხვა ფორმებიც აქვს. ასეთებია, მაგალითად, მატერიალურ-საწარმოო საქმიანობა, კლასობრივი ბრძოლა (კლასობრივ-ანტაგონისტურ ფორმაციებში), მეცნიერულ-ექსპერიმენტული, პედაგოგიკური, საკანონმდებლო პრაქტიკა და ა. შ. ამ ფორმებს პრაქტიკის ძირითადი ფორმის — ადამიანთა მატერიალურ-საწარმოო საქმიანობის მიმართ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, ისინი საბოლოო ჯამში ცხოვრების მატერიალური პირობებით განისაზღვრებიან. მაგრამ ყველა ამ ფორმას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. როგორც პრაქტიკული მოღვაწეობის ფორმები, ისინი განსაზღვრავენ შემეცნების ამა თუ იმ ფორმას და საზოგადოების სულიერ განვითარებას და მოცემული ეპოქის ერთიან საზოგადოებრივ პრაქტიკას ქმნიან.

ადამიანთა საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე სფეროში აქვს თავისი სპეციფიკა და ამასთან რაღაც საერთო მათი საქმიანობის სხვა სფეროსთან.

რაში გამოიხატება საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმის — სასამართლო პრაქტიკის სპეციფიკა?

საზოგადოდ ცნობილია, რომ სამართლის ნორმა ქცევის ზოგადი წესია. სამართლის ნორმა ვრცელდება არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევასა ან არა ერთ კონკრეტულ ადამიანზე, არამედ ყველა შემთხვევასა და ყველა ადამიანზე, უკეთეს ისინი ნორმით გათვალისწინებულ სტანდარტს შეესაბამებიან.

მაგრამ მიუხედავად ნორმის ზოგადი, არა პერსონიფიცირებული ხასიათისა, მისი გამოყენება თავისთავად, ავტომატურად არ ხდება. საჭიროა ცოცხალი შუამავალი ნორმისა და ფაქტს შორის. ერთ-ერთ ასეთ შუამავალს სასამართლო წარმოადგენს. მაგრამ სასამართლო ავტომატი როდია, მას შეიძლება თავისი შეხედულებები ქონდეს სამართლიანობასა და უსამართლობაზე. ამ თვალსაზრისით სასამართლო შეიძლება: 1) თვითონვე ქმნიდეს ახალ სამართლებრივ ნორმას, დამოუკიდებლად არსებული კანონისა და თვით კანონის საწინააღმდეგოდ, 2) მისი გადაწყვეტილება სავალდებულო იყოს სხვა სასამართლოსათვის და 3) საქმეს წყვეტდეს მხოლოდ კანონის მიხედვით.



ჩვენ ჩამოვთვალეთ სასამართლო მოღვაწეობის ფორმები იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი დამოკიდებულება კანონისადმი. მოიცავს თუ არა სასამართლო პრაქტიკის ცნება სასამართლო მოღვაწეობის ამ სამივე ფორმას?

პროფ. ს. ვილნიანსკის მიაჩნია, რომ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული სასამართლო სამართალშემოქმედების სამი სახე (ფორმა). ესენია: 1) სასამართლო პრეცედენტი, 2) სასამართლო პრაქტიკა და 3) სასამართლოს უშუალო სამართალშემოქმედება. მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნა პროფ. ი. ნოვიცკიმ, სასამართლოს უშუალო სამართალშემოქმედება, როგორც სახეობითი ცნება, არ შეიძლება მივიჩნიოთ სასამართლო სამართალშემოქმედების, როგორც გვარეობითი ცნების, ნაწილად³.

თავის მხრივ ნოვიცკიმ სასამართლო პრეცედენტი სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთ ფორმად ჩათვალა⁴.

ჩვენი აზრით, ვილნიანსკის შეხედულების ნაკლი სწორად შეამჩნია ნოვიცკიმ, მაგრამ არც ამ უკანასკნელის თვალსაზრისია მთლიანად მისაღები. ნოვიცკი სასამართლო პრაქტიკაში ათავსებს როგორც სასამართლოს სამართალშემოქმედებას, ისე სასამართლო პრეცედენტსაც. ამასთან სასამართლო პრაქტიკად თვლის მხოლოდ ისეთ პრაქტიკას, რომელიც გამოხატავს მყარ, განსაზღვრულ ხაზს სასამართლოების მოღვაწეობაში. ამიტომ იგი კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებას არ ცნობს სასამართლო პრაქტიკად. მაგრამ ეს დებულება შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს; თუ სასამართლო პრაქტიკა მყარ პრაქტიკას იცულისხმობს, მაშინ მასში შეუძლებელია სასამართლოს თავისუფალი სამართალშემოქმედება ვიგულისხმოთ. სასამართლოს თავისუფალი სამართალშემოქმედება არ ნიშნავს იმას, რომ ერთი სასამართლო შებორკილია წინათ გამოტანილი გადაწყვეტილებით. ეს იქნებოდა უკვე სასამართლო პრეცედენტი. თავისუფალი სამართალშემოქმედების დროს სასამართლო საქმეს წყვეტს ისე, როგორც ეს მას მიზანშეწონილად მიაჩნია. პრინციპულად აქ გადაწყვეტილებათა რაიმე ერთგვაროვნობაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, არსებობს სასამართლო მოღვაწეობის ორი ფორმა: 1) თავისუფალი სამართალშემოქმედება და 2) სასამართლო პრაქტიკა. თავის მხრივ სასამართლო პრაქტიკას ორი ფორმა გააჩნია: 1) კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა და 2) სასამართლო პრეცედენტი.

კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა სამართლის გამოყენების შედეგია. მაგრამ სასამართლოს მიერ სამართლის არაყოველთაო გამოყენება ითვლება სასამართლო პრაქტიკად. სასამართლო პრაქტიკა იქმნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზოგადი ნორმის არსებობის პირობებში გამოვლინდება, რომ კანონმდებელს არ გაუთვალისწინებია კონკრეტული შემთხვევის ყველა ასპექტი, ნიუანსი. „რაც უფრო აბსტრაქტულია სამართლის ნორმა, ე. ი. რაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვს მას, — წერს პროფ. ს. ბრატუსი, — მით უფრო მეტ ურთიერთობებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციას მოიცავს იგი. ასეთი ნორმა ხშირად არ შეიძლება უშუალოდ იქნას გამოყენებული კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევისადმი. ამისათვის იგი გაუშუალებული უნდა იქნას სხვა ნორმებით, რომლებიც ასევე ზოგად, მაგრამ უფრო დეტალი-

³ იხ. С. И. Вильнянский. Значение логики в применении правовых норм («Ученые записки Харьковского юридического института», вып. III, 1948, стр. 209).

⁴ იხ. И. Б. Новицкий. Источники советского гражданского права. Госюриздат, М., 1959, стр. 125.

ზებულ წესებს წარმოადგენენ“⁵. ასეთ შემთხვევაში სასამართლო სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის, დეტალიზაციის საშუალებით ქმნის ახალ დებულებას. ასეთი დებულება კი არ აუქმებს ნორმას, არამედ მისი ორგანული და განუყოფელი ნაწილი ხდება. „სამართლის გამოყენების პროცესში ნორმის კონკრეტიზაციით შემოიტანება ახალი ელემენტი, რომელიც ძირითად ნორმასთან ერთად თვითონ იქცევა გამოყენების ობიექტად“⁶.

ჩვენი ფიქრით, სასამართლო პრაქტიკა არ წარმოადგენს მხოლოდ სამართლის კონკრეტიზაციის შედეგს. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკა მოიცავს ისეთ დებულებასაც, რომელიც სამართლის ან კანონის ანალოგიის შედეგად იქმნება (აქ ნაგულისხმევია სამართლის ის დარგები, სადაც ნებადართულია ანალოგიის გამოყენება).

როგორც ნორმის კონკრეტიზაციის, ისე ანალოგიის გამოყენების შედეგად ჩამოყალიბებული დებულება რიგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ამასთან იგი მრავალჯერ უნდა იყოს გამოყენებული ანალოგიურ საქმეთა გადაწყვეტისას. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ასეთი დებულება გამოქვეყნებული იყოს. დასასრულ, დებულება უნდა იყოს დამაჯერებელი, არგუმენტირებული, დამყარებული იურიდიული მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიღწევებზე.

შემოადინიშნულის საფუძველზე სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ასე განვსაზღვროთ: **სასამართლო პრაქტიკა არის სამართლის გამოყენების ისეთი ობიექტურად ჩამოყალიბებული ფორმა, როდესაც ანალოგიურ საქმეთა გადაწყვეტისას სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის ან ანალოგიის საშუალებით რაიმე მყარი, სტაბილური სამართლებრივი დებულება იქმნება.**

5. როგორ ხორციელდება სასამართლო პრაქტიკის კავშირი საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვა ფორმებთან? აქვს თუ არა ამ კავშირს მნიშვნელობა სამართალშემოქმედებისათვის?

სოციალური ცნება და მისი წაირსახეობა-სამართლებრივი ნორმა ობიექტურია შინაარსის მიხედვით, ხოლო სუბიექტურია ფორმის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნორმის საფუძველს და მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმს საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა წარმოადგენს, საბოლოო ჯამში კი ცხოვრების მატერიალური პირობები. ამასთან სამართალი სუბიექტური ხასიათისაა, უფრო ზუსტად იდეოლოგიური ხასიათის ნორმატული მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების მატერიალური პირობებით განსაზღვრული კლასობრივი ნება (ჩვენში — მთელი ხალხის ნება) სახელმწიფოს ნებად უნდა იქცეს და იურიდიული ფორმა მიიღოს. მაგრამ ცხოვრების მატერიალური პირობების როგორც ობიექტურის ასახვა სამართლებრივ ნორმაში, როგორც სუბიექტურში, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნები, სიფხალეები სულ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსისაა. ისინი მომდინარეობენ პრაქტიკის სხვადასხვა სფეროდან. იქნება ეს წარმოება, სახელმწიფო, ოჯახი, სკოლა თუ სხვა სფერო. ეს

⁵ «Теоретические вопросы систематизации советского законодательства», под ред. С. Н. Братуся и И. С. Самощенко. Госюриздат, М., 1962, стр. 152.

⁶ А. Безина, В. Лазарев. Конкретизация права в судебной практике («Советская юстиция», 1968, № 2, стр. 6).

სიგნალები უცვლელად არ აღწევენ კანონმდებლამდე. სოციალური სიგნალების ტრანსლაცია კანონმდებლისათვის ხორციელდება ინფორმაციის შეკრებისა და გადაცემის სპეციფიკური საზოგადოებრივი მექანიზმებით, სხვადასხვა შუალედური საფეხურებით. ამ მექანიზმების, საფეხურების გარეშე შეუძლებელია ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლისათვის. „სისტემა, რომელსაც ურთიერთშემოქმედების უნარი არა აქვს, კარგავს ყველა თავის ძირითად ნიშანს და, მათთანადავს, აღარ არის სისტემა. ურთიერთშემოქმედების გარეშე შეუძლებელია ინფორმაციის გადაცემა, შენახვა, გარდაქმნა და გამოყენება, აგრეთვე მართვა, რადგან მას საფუძვლად უდევს ინფორმაციის მოძრაობა“⁷.

მატერიალისტური დიალექტიკის შესაბამისად შემეცნების პროცესი ხორციელდება ერთეულიდან და კერძოდან ზოგადში, კონკრეტულიდან აბსტრაქტულში, ცხოვრებიდან თეორიაში გადასვლით. „აზროვნება წარმოადგენს სინამდვილის განზოგადებულ შემეცნებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნების პროცესში იქმნება ცნებები გარემო საგნებისა და მოვლენების შესახებ. ვსწავლობთ რა სინამდვილის ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს, მათ კავშირებს, ურთიერთდამოკიდებულებას, ჩვენ გამოვყოფთ მათ ზოგად და არსებით ნიშნებს, რომლებიც ამა თუ იმ ცნების შინაარსში შედიან. კანონზომიერის, ზოგადისა და არსებითის შემეცნება იწყება ცალკეული საგნების, მათი გრძნობით აღსაქმელი თვისებების და ურთიერთობების შესწავლითა და განზოგადებით“⁸.

ობიექტურ გარემოში ცალკეული, კერძო და ზოგადი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული „ცალკეული“ — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადისაკენ მივყევართ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი არის ცალკეულის (ნაწილი ან მხარე, ანდა არსება). ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ.“⁹

ამრიგად, ინდივიდუალურის, კერძოსა და ზოგადის, კონკრეტულისა და აბსტრაქტულის დამოკიდებულების გარკვევა ნათლად გვისახავს პრაქტიკასა და თეორიას შორის არსებულ კავშირს. იმის აღიარება, რომ შემეცნების პროცესი გამოხატავს ერთეულიდან კერძოზე და აქედან ზოგადზე გადასვლას, ნიშნავს ვალიაროთ პრაქტიკის მნიშვნელობა. პრაქტიკული საქმიანობის დროს ადამიანი უშუალო კონტაქტს ამყარებს ობიექტურ რეალობასთან, ერთეულთან, კონკრეტულთან. ეს ითქმის საზოგადოებრივი პრაქტიკის ყველა ფორმაზე და, მათთანადავს, სასამართლო პრაქტიკაზეც.

მართლაც, სასამართლოს მოღვაწეობა ისეთი ხასიათისაა, რომ მას ყოველდღიურად უხდება კონტაქტის დამყარება სოციალურ სინამდვილესთან, ამ სინამდვილის კონკრეტულ ასპექტებთან, სიტუაციასთან, ფაქტებთან. ამ სპეციფიკის გამო სასამართლო შეიძლება იყოს ობიექტური სიგნალების შემკრები ფოკუსი და ამ სიგნალების შეცნობისა და გადამუმუშავების, უფრო ზოგად, სინთეზირებულ, აბსტრაქტულ ფორმაში ამსახველი ლაბორატორია.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნამდე,

⁷ Л. А. Петрушенко. Взаимосвязь информации и система. «Вопросы философии» 1964 г., № 2, стр. 107.

⁸ Д. П. Горский. Логика. Госучпедгиз, М., 1963, стр. 4.

⁹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 38, გვ. 373 — 374.

მივიდეთ, რომ ერთი მხრივ, სამართლის შექმნისათვის დამახასიათებელი ელემენტები (ეს ელემენტები განსაზღვრავენ სასამართლო პრაქტიკის აქტიურ როლს) და მეორე მხრივ, საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებული ნორმატიული აქტები (ეს აქტები უკრძალავენ სასამართლოს სამართალშემოქმედებას) ქმნიან ერთგვარ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებს. მართლაც, ერთი მხრივ, შეიმჩნევა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მისწრაფება მოაწესრიგონ ქვეყნის ზოგადი წესით საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული სფერო. აქ საქმე გვაქვს დაწერილი სამართლის ტენდენციასთან. მეორე, საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა სამართლის გამოყენების სფეროში. აქ კონკრეტულ საქმეთა თავისებურებების გამო ხშირად წარმოიშობა ახალი, თუნდაც მეორეხარისხოვანი დებულებები. „განსაზღვრული ზომით ამ მოვლენათა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი მიუთითებს სამართალშემოქმედებისა და სამართლის გამოყენების ამოცანების განსხვავებაზე. რადგან სამართალშემოქმედების წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისას სამართალშემოქმედებას ნათლად გამოხატული ზოგადი ხასიათი აქვს, მისგან განსხვავებით სამართლის გამოყენების პროცესში მახვილი კეთდება ზოგადის ინდივიდუალურ ან კერძო გამოვლინებაზე; იგი უფრო შორსაა განზოგადობისაგან და ამიტომ ახალი დებულებების შემუშავებისას უნარი არა აქვს გასცდეს კერძოს ფარგლებს. თავისი ასეთი ხასიათის გამო სამართლის გამოყენების პროცესს შეუძლია შეიმუშავოს სულ ბევრი მხოლოდ ისეთი დებულება, რომელსაც კერძო მნიშვნელობა აქვს და რომელსაც, როგორც წესი, დამატებითი დებულების ხასიათი აქვს მთლიანად სამართლებრივი სისტემისადმი. ასეთ დებულებას შეუძლია შეეხოს ცალკეულ დეტალებს, გამოავლინოს ცალკეული პრობლემები. ამრიგად, სამართლის გამოყენების სფეროში აღნიშნული ტენდენცია შეიძლება მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში გამოვლინდეს. ამ აზრით იგი, უდავოდ, განსაზღვრულ როლს თამაშობს სამართლის განვითარებაში. მაგრამ მას არა აქვს უშუალოდ სამართალშემოქმედებითი ხასიათი. იგი მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს სამართალშემოქმედების პროცესზე“¹⁰.

ამ ერთმანეთის მოწინააღმდეგე მომენტების ჰარმონიული ერთიანობისათვის საჭიროა განსაზღვრული პირობები, რათა სასამართლომ აქტიური როლი შეასრულოს კანონმდებლობის სრულყოფისა და განვითარებისათვის და ამასთან არ დაირღვეს კანონი, რომელიც უკრძალავს მას სამართალშემოქმედებას. ამ პირობათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობის მდგომარეობას მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. მაგალითად, ბურჟუაზიულ სამართალში ლეგალური პოზიტივიზმის განვითარება და მისი გამოვლინება კანონმდებლობასა და სასამართლო მოღვაწეობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ გარემოებასთან, რომ ბურჟუაზიამ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ საკუთარი კანონმდებლობა შექმნა. პირიქით, თანამედროვე ბურჟუაზიული სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში კანონმდებლის რანგამდე მოსამართლის ამაღლება სხვა მიზეზებთან ერთად იმითაც აიხსნება, რომ ზოგიერთი კანონი აღარ შეესაბამება მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს, ხოლო მისი შეცვლა პარლამენტის საშუალებით ვაბატონებული კლასისათვის გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მისი შეცვლა სასამართლოების მეშვეობით.

¹⁰ **Имре Сабо.** Социалистическое право. Перевод с венгерского. Изд. «Прогресс», М., 1964, стр. 212.

სულ სხვა აზრით შესამჩნევია კავშირი კანონმდებლობის მდგომარეობის და სასამართლო პრაქტიკას შორის სოციალისტურ სახელმწიფოში.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში მოსამართლის რევოლუციურ მართლშეგნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სისხლისსამართლებრივ საქმეთა გადაწყვეტისას. ეს მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ შესაბამისი ნორმების არარსებობის გამო მოსამართლეს უფლება ჰქონდა გადაეწყვიტა საქმე თავისი მართლშეგნების საფუძველზე.

ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში ძველი კანონების ახალი შინაარსით შევსებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასამართლო პრაქტიკამ. ამ მხრივ შეუძლებელია უარყოფილ იქნას სასამართლო პრაქტიკის როლი, რომელიც არ უთანაბრდება სასამართლოს ჩვეულებრივ მოღვაწეობას სამართლის ნორმების განმარტებისა და გამოყენების დროს.

ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკის შემოქმედებითი როლი სხვა ასპექტშიც გამოვლინდა. ზოგჯერ ძველი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ახალ კონსტიტუციურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდნენ, გაუქმდა არა საკანონმდებლო წესით და ამასთან არ შექმნილა მათი შემცვლელი ნორმები. ეს ხშირად აიძულებდა სასამართლო პრაქტიკას აღენიშნა, დაედსტურებინა ძველი კანონის გაუქმება და თვითონვე შეეცაო შექმნილი ხარვეზი. ასეთი ზოგადი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისას სასამართლო პრაქტიკა ემყარებოდა სოციალისტური სამართლის ზოგად პრინციპებს.

ამრიგად, სასამართლო პრაქტიკის როლი განსაკუთრებით იზრდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის, როდესაც ხდება ახალი, სოციალისტური სამართლის წარმოშობა. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათელს ხდის იმას, თუ რამდენად აუცილებელია სოციალისტური სამართლის ნორმების სრულყოფა და განვითარება.

კოდიფიცირებული სამართლის არსებობის პირობებშიც ახლად შექმნილი სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება მივიჩნიოთ ცხოვრების მოთხოვნების დასრულებულ გამოხატულებად (ამის შესახებ იხ. ზევით). ასეთ პირობებში სერიოზული მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო მოღვაწეობის ტექნიკურ-ორგანიზაციულ ასპექტებს. ამ პლანშიც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების სტადიას. ასე მაგალითად, სოციალისტური მშენებლობის დასაწყისში, როდესაც სახელმწიფო აპარატი და მათ შორის სამართალშემოქმედი ორგანოები ჩამოყალიბების პროცესშია, როდესაც მას საკმაო რაოდენობით არ ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის კადრები, საკანონმდებლო მოღვაწეობა დიდ სიძნელებებს აწყდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების დროს.

სოციალისტური მშენებლობის კვალდაკვალ სახელმწიფო აპარატის საქმიანობა თანდათან სრულყოფილი ხდება, მტკიცდება მისი კავშირი მშრომელ მასებთან და მის ცალკეულ რგოლებს შორის, სახელმწიფო აპარატის განმტკიცება და სრულყოფა ზეგავლენას ახდენს სამართალშემოქმედი ორგანოების მოღვაწეობაზე. ამასთან შეიძლება წარმოიშვას ისეთი განსაკუთრებული ისტორიული სიტუაცია, რომელიც დააბრკოლებს საკანონმდებლო საქმიანობის რიტმულ განხორციელებას. ასეთი სიტუაცია იყო, მაგალითად, დიდი სამამულო ომი: ნორმალური მდგომარეობის აღდგენა იწვევს ამ სიძნელებისა და მისი პრაქტიკული შედეგების მოსპობას კომპეტენტური ორგანოების საკანონმდებლო მოღვაწეობაში.

ამრიგად, ზოგადი თეზისის სახით შეიძლება ვამტკიცოთ: როდესაც მცირე იჯამოციდლების გამო, განსაკუთრებული სიტუაციის ან სხვა მიზეზებით საკანონმდებლო მოღვაწეობა ტექნიკური ან ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებებს აწყდება (ეს შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, კანონმდებლის მიერ ცხოვრების მოთხოვნების ასახვის არასათანადო ორგანიზაციაში, ცხოვრების სივანლების შემკრებ და გადამცემ ორგანოებთან კანონმდებლის კავშირის არაჯეროვან ორგანიზაციაში, სათანადო ნორმატიული საქმიანობის არაოპერატიულობაში), მაშინ იქმნება ნაყოფიერი ნიადაგი იმისათვის, რომ სასამართლო ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების გადამეტებით ახალი სამართლებრივი ნორმები შექმნან. ნათელია, საბჭოთა სახელმწიფოში ასეთი სიძნელეები მათი კონკრეტული შედეგებით დროებითი და ვარდამავალია. აღნიშნული სიძნელეების დროებითმა არსებობამ არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჩვენი სახელმწიფოს საკანონმდებლო მოღვაწეობის ძირითად შინაარსზე, რომელიც ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას.

პირიქით, თუ საკანონმდებლო მოღვაწეობა ტექნიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით ისე მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი ხდება სამართლებრივი ნორმების ჩამორჩენის სწრაფად აღკვეთა, აგრეთვე ახალ მოთხოვნათა სწრაფად ასახვა კანონმდებლობაში, მაშინ სასამართლო პრაქტიკის ჩარევის სფერო უფრო შეზღუდულია. ასეთ პირობებში კი სასამართლო პრაქტიკა არ ხასიათდება იურიდიული ნორმის ყველა ნიშნით, მაგრამ მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლებრივი ნორმების სრულყოფისა და განვითარებისათვის. ეს ყველაზე მეტად ითქმის პრინციპული ხასიათის გადაწყვეტილებებზე. ასეთი გადაწყვეტილებები წარმოადგენს სივანლს, რომელიც ანიშნებს კანონმდებელს, რომ მისი ჩარევა აუცილებელია. გადაწყვეტილების შინაარსი მიუთითებს საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ ვარიანტზე, ზოგჯერ ოპტიმალურ ვარიანტზეც. სწორედ ამის გამო სასამართლო პრაქტიკის მრავალი გადაწყვეტილება კანონად იქცა.

რასაკვირველია, როგორც სამართლის ნორმის ჩამოყალიბების, ისე მისი გამოცემის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა კანონმდებელს ეკუთვნის. სწორედ იგი განსაზღვრავს კანონმდებლობის განვითარების მიმართულებას, წყვეტს საკითხს კანონის შინაარსის შესახებ და იმავდროულად დიდ მუშაობას ეწევა ამ აქტების შემუშავებისა და გამოცემისათვის. მაგრამ კანონის შემუშავებაში კანონმდებელთან ერთად მონაწილეობენ სხვა ორგანოები და ორგანიზაციები, მათ შორის სასამართლო ორგანოები. ნათელია, ამ დამხმარე ორგანოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა კანონის შექმნაში საკანონმდებლო ორგანოებთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე მიმდინარეობს. მათი მოღვაწეობის შედეგები შთაგონების წყარო ან სამუშაო მასალაა, რომელიც კანონმდებელმა უნდა დაამუშაოს და მისცეს საბოლოო ფორმა. ამასთან კანონმდებელი შეარჩევს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასახულ მიზანს და მას იურიდიულად სავალდებულო ფორმას მისცემს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სასამართლო პრაქტიკა მონაწილეობს სამართლის ნორმების დამუშავებაში და ამით მათ შექმნასა და სრულყოფაში. ამ მიმართულებით ჩვენს სახელმწიფოში სასამართლო ორგანოების მოღვაწეობის სფერო მკვეთრად იჯამიჯნულია კანონმდებლის მოღვაწეობის სფეროსაგან. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება უგულვებელყოთ

კანონმდებლისა და სასამართლოს თანამშრომლობის მნიშვნელობა სამართალშემოქმედების დროს. ასეთი თანამშრომლობა ადასტურებს სახელმწიფო აპარატის ერთიანობას და მასში შინაგანი წინააღმდეგობის არარსებობას.

5. სამართალშემოქმედებისათვის სასამართლო პრაქტიკის როლის დასადასტურებლად შემოვიფარგლებით რამდენიმე მაგალითით სისხლის სამართლის სფეროდან.

უპირველეს ყოვლისა საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონმდებელმა ახალ სისხლის სამართლის კოდექსებში უცვლელად შეინარჩუნა მრავალი ისეთი ნორმა, რომელთა ეფექტურობა და სიცოცხლისუნარიანობა სწორედ სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა. გარდა ამისა, ანალოგიის გამოყენების საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ შესაძლებელი გახადა ხარვეზების გამოვლინება წინათ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ანალოგიის გამოყენების აკრძალვის შემდეგ კანონმდებელმა მიზანშეწონილად ცნო ახლად დაეწესებინა პასუხისმგებლობა სახელმწიფო, საზოგადო ან მოქალაქეთა პირადი ქონების გაუფრთხილებელი ფანადგურებისა ან დაზიანებისათვის, მოქალაქის კუთვნილი დოკუმენტის გატაცების ან დაზიანებისათვის, საფლავის შებილწვისათვის და ა. შ.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სასამართლო პრაქტიკამ გამოავლინა ზოგიერთი ნორმის დამოუკიდებლად არსებობის მიზანშეწონილობა. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლი ითვალისწინებდა უყაირათობას, რომელსაც საფუძვლად ედო სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კოოპერაციული დაწესებულებისა თუ საწარმოს და მისი ცალკე ნაწილის სათავეში მდგომი პირის ან რწმუნებულის დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი მოპყრობა მისთვის მინდობილი საქმისადმი, რასაც შედეგად მოყვება დაწესებულების თუ საწარმოს ქონების გაფლანგვა ან აუნაზღაურებელი ზიანი. სასამართლო პრაქტიკაში ეს მუხლი მეტად იშვიათად გამოიყენებოდა. ჩვეულებრივად ასეთი ქმედობა კვალიფიცირდებოდა როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. კანონმდებელმა სამართლიანად მიიჩნია სასამართლო პრაქტიკის ასეთი პოზიცია და ამიტომ საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში უყაირათობა აღარ არის ცალკე მუხლით გათვალისწინებული. ასეთი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სამსახურებრივი დაუდევრობა (187-ე მუხლი).

კანონმდებელი სასამართლო პრაქტიკაში შემჩნეული არათანმიმდევრობის და მერყეობის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ ახალ დანაშაულის შემადგენლობას ქმნის. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკაში ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამდე არ არსებობდა ერთიანი თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირებულიყო დარაჯის დაუდევარი დამოკიდებულება თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი, როდესაც ეს ზიანს მიაყენებდა სოციალისტურ ქონებას. ზოგიერთი სასამართლო დარაჯის ასეთ ქმედობას აკვალიფიცირებდა, როგორც თანამდებობრივ დანაშაულს, თუმცა დარაჯი თანამდებობის პირი არ იყო. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლით სავანებოდ არის გათვალისწინებული დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი არათანამდებობის პირისა, რომელსაც მინდობილი აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქო-

ნების დაცვა ან გადაზიდვა, თუ მას მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით დატაცება, დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა.

სასამართლო პრაქტიკა ზოგიერთ კანონს განვრცობით განმარტავდა. კანონმდებელმა შესაფერისი კანონის ტექსტი ისე ჩამოაყალიბა, რომ განვრცობითი განმარტება საჭირო აღარ არის, ე. ი. მისი ნება და კანონის ტექსტი იდეენტური გახდა. მაგალითად, რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლი ითვალისწინებდა წინასწარი შეცნობით ნაქურდალის შესყიდვას. სასამართლოები სამართლიანად განმარტავდნენ ამ მუხლს განვრცობით და დანაშაულად ცნობდნენ არა მარტო ნაქურდალის, არამედ საზოგადოდ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების შესყიდვას. ამჟამად ანალოგიური ნორმა ითვალისწინებს საზოგადოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენას ან გასაღებას (იხ. რსფსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 208 მუხ.).

სასამართლო პრაქტიკის შესწავლას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კანონით სასჯელის ზომისა და მოცულობის განსაზღვრისას. კანონმდებელი სანქციის ფარგლების განსაზღვრისას სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად მხედველობაში იღებს სასამართლო პრაქტიკის მონაცემებსაც. თუ სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოვლინდება, რომ სასამართლოები ძალიან ხშირად კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს ნიშნავენ, მაშინ ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სანქცია მეტად მკაცრია და არ შეესაბამება მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი ამცირებს სასჯელის ზომას.

ოკმაგი ანუ შაკუდი ბრალის საკითხისათვის

უ. კობიაშვილი

ჯერ კიდევ ადრინდელი პერიოდის საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში კრიმინალისტების ერთი ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ რიგ დანაშაულთა შემადგენლობების იურიდიული ანალიზის დროს ბრალის საკითხი ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს დანაშაულებრივი ქმედობის და დანაშაულებრივი შედეგის მიმართ¹. კონცეფციამ ე. წ. ორმაგი ანუ შერეული ბრალის შესახებ ფართო გავრცელება ჰპოვა არა მარტო კრიმინალისტთა შრომებში², არამედ საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში³, ზოგჯერ კი სასამართლო პრაქტიკაშიც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1965 წლის 9 აპრილის დადგენილებაში „ავტომობილტრანსპორტის ან ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უშიშროების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ პირდაპირ მიუთითა: განემარტოთ სასამართლოებს, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულში დამნაშავის დამოკიდებულება სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევისადმი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვის ისე გაუფრთხილებლობის ფორმაში, ხოლო დამდგარ შედეგების მიმართ მხოლოდ გაუფრთხილებლობის ფორმაში⁴.

მაშასადამე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი მითითებას აძლევს სასამართლოებს, რომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვის დროს ცალ-ცალკე ვაარკვიონ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულების ანუ ბრალის საკითხი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისა და ამ მოქმედებით გამოწვეულ მავნე შედეგის მიმართ.

ასეთი პოზიცია კი ჩვენის აზრით ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის თეორიაში საერთოდ აღიარებულ და დამკვიდრებულ სწავლებას ბრალის შესა-

¹ **Б. С. Утевский**, *Общее учение о должностных преступлениях*, М., 1948, стр. 394—403; **А. Н. Трайнин**, *Состав преступления по советскому уголовному праву*, М., 1951, стр. 150—151; **И. И. Слуцкий**, *Ответственность за нарушения правил по технике безопасности*, М., 1953, стр. 44; **В. Ф. Кириченко**, *Ответственность за должностные преступления по советскому уголовному праву*, М., 1955, стр. 102—108; **Н. С. Алексеев**, *Транспортные преступления*, М., 1957, стр. 84—85 и др.

² **А. А. Пионтковский**, *Учение о преступлении*, М., 1961, стр. 399; **Н. С. Алексеев**, *Уголовная ответственность за автотранспортные преступления* (В книге: *Автотранспортные происшествия*, М., 1962, стр. 18—19); **Б. А. Куринов**, *Квалификация транспортных преступлений*, изд. МГУ, 1965, стр. 127—176; **В. Кириченко**, *Смешанные формы вины «Советская юстиция»*, 1966, № 19, стр. 13—15; **П. Дагель**, *Субъективная сторона автотранспортных преступлений*, «Советская юстиция», 1968, № 19, стр. 18—19. **П. С. Матышевский**, *Ответственность за преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения*, М., 1964, стр. 39, 53—55.

³ *Советское уголовное право, Часть общая*, М., 1962, стр. 155—159; *Советское уголовное право, Часть общая*, М., 1962, стр. 138—139; *Советское уголовное право, Часть общая*, М., 1966, стр. 192—197; *Советское уголовное право, Часть особенная*, М., 1962; стр. 78—79, 300; *Советское уголовное право, часть особенная*, М., 1965, стр. 89, 407, 410; **ბ. ფურცხვანიძე**; *საბჭოთა სისხლის სამართალი, განსაკ. ნაწილი*, თბ., 1966, გვ. 94, 448—449.

⁴ «Бюллетень Верховного Суда СССР». 1965. № 3, стр. 11.

ხებ, მოქმედ კანონმდებლობას და ამავე კატეგორიის საქმეებზე თვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხვა მითითებებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მესამე მუხლით დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას ან განზრახ, ან გაუფრთხილებლობით. ორმაგი ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტები კი მოითხოვენ რიგ დანაშაულთა შემადგენლობის ანალიზისას გაირკვეს დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულება ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგის მიმართ. ამასთან უპასუხოდ ტოვებენ კითხვას, თუ სახელდობრ, რომელი მათგანისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას უნდა მიეცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მთლიანად დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასებისა და ბრალის ფორმის საკითხის გადაჭრისათვის. მართებულად შენიშნავს გ. კრივერი, რომ შერეული ბრალის კონცეფციის მომხრეები არ მიუთითებენ, თუ ორიდან ბრალის რომელი ფორმა (მოქმედების მიმართ თუ შედეგის მიმართ) წარმოადგენს განმსაზღვრელს მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარის ხასიათის მთლიანი შეფასებისათვის⁵.

მაგალითად, ბ. კურინოვი აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება დანაშაულს მთლიანად, მაშინ მასზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ როგორც განზრახ ან როგორც გაუფრთხილებელ ქმედობაზე, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა სისხლის სამართალში წარმოადგენენ ნამოქმედარისადმი დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულების ერთადერთ შესაძლებელ ფორმებს და რომ სხვა საკითხია თუ ობიექტური მხარის რომელი ელემენტისადმი (მოქმედების თუ მავნე შედეგის მიმართ) დამოკიდებულება აქცევს ქმედობას განზრახ ან გაუფრთხილებელ დანაშაულად.⁶ შემდეგ, განიხილავს რა დანაშაულებრივი ქმედობისა და მავნე შედეგისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების განსხვავებულ ვარიანტებს, იგი უპასუხოდ ტოვებს კითხვას თუ კონკრეტულ ვითარებაში მთლიანად დანაშაული განზრახია თუ გაუფრთხილებელი.

ვ. დ. მენშაგინის მიხედვით დანაშაულთა უმრავლესობის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩადენილია ან განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მაგრამ ვარკვეული კატეგორიის დანაშაულებრივ ქმედობათა სუბიექტური მხარის ასეთი აღნიშვნა არაზუსტი და შეუსაბამოა მათ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათთან. მისი აზრით, ასეთ დანაშაულთა სუბიექტური მხარის დახასიათებისათვის აუცილებელია ერთდროულად მივუთითოთ ბრალის ფორმაზე, — როგორც თვით დანაშაულებრივი ქმედობის მიმართ ისე დამდგარი მძიმე შედეგების მიმართ.⁷ ე. ი. ვ. დ. მენშაგინი თვლის, რომ დანაშაულთა ვარკვეული კატეგორია ერთდროულად შეიძლება იყოს განზრახიც და გაუფრთხილებელიც.

საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდის ვ. კირიჩენკო. მას მიაჩნია, რომ თუ მოქმედებისა და მისი შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება ემთხვევიან ერთმანეთს, გვაქვს განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული ხოლო თუ ასეთი დამთხვევა არ არის, სახეზეა დანაშაული ბრალის შერეული ფორმით⁸. ე. ი. ვ. კირიჩენკოს მიხედვით როდესაც მოქმედების მიმართ განზ-

⁵ Г. Кригер, Еще раз о смешанной форме вины, «Советская Юстиция», 1967, № 3, стр. 5.

⁶ Б. А. Куринов, Квалификация транспортных преступлений, изд. МГУ, 1965, стр. 138.

⁷ «Советское уголовное право», Часть общая, М., 1962, стр. 157.

⁸ В. Кириченко, Смешанные формы вины, «Советская юстиция», 1966, № 19, стр. 13.

რახვას აქვს ადგილი, ხოლო შედეგების მიმართ გაუფრთხილებლობას, რამდენადაც აქ დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებისა და შედეგის მიმართ არ ემთხვევა ერთმანეთს, მთლიანად დანაშაული არც განზრახია და არც გაუფრთხილებელი.

როგორც ვხედავთ შერეული ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტები წინააღმდეგობაში ვარდებიან საკანონმდებლო წესით დადგენილ იმ უღაგოდებულებასთან, რომ ყოველი კონკრეტული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნას ან მხოლოდ განზრახ ან მხოლოდ გაუფრთხილებლობით. იმ საკითხის გადაწყვეტას კი დანაშაული მთლიანად განზრახია თუ გაუფრთხილებელი მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან კანონმდებლობა ბრალის სწორედ ამ ერთადერთ შესაძლებელ ფორმებს უკავშირებს რიგ სამართლებრივ შედეგს. როგორც ცნობილია, მხოლოდ განზრახ დანაშაულის ცნებასთანაა დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედობის განვითარების სტადიების და თანამონაწილეობის ინსტიტუტები. განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტი გარკვეულ გავლენას ახდენს ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორცაა საქმის ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემა, დამნაშავეის თავდებქვეშ გადაცემა, ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით (იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლები).

ბრალის ფორმის კონკრეტულად გადაწყვეტას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი და არანაკლებ მძიმე დანაშაულთა ცნებების განსაზღვრისათვის, რომელთანაც დაკავშირებულია პირობითი მსჯავრისა და ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტების გამოყენება და მათგან გამომდინარე რიგი სამართლებრივი შედეგი.

თუ ამასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ იმ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ზოგი ქმედობა დანაშაულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩადენილი არიან განზრახ, ხოლო გაუფრთხილებლობით მათი ჩადენა საერთოდ არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას და არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაშინ ცხადი ხდება, რომ საკითხს იმის შესახებ მოცემული კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა მთლიანად განზრახ არის ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისა და მამსადამე სოციალისტური კანონიერების ზუსტად და განუხრელად დაცვისათვის.

შერეული ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტები გვერდს უვლიან, აგრეთვე იმ მეტად საყურადღებო ფაქტს, რომ კანონმდებლობა, კერძოდ, საფუძვლების მესამე მუხლი ბრალის ფორმებად გამოიჯენას საფუძვლად უდებს მხოლოდ და მხოლოდ იმას, თუ როგორია პირის ფსიქიკური, უფრო ზუსტად ნებელობითი დამოკიდებულება, სახელდობრ დანაშაულებრივი შედეგისადმი და არა თვით მოქმედებისადმი.

ამ ფაქტის უგულებელყოფამ შეიძლება პრაქტიკაში რიგ არასასურველ სამართლებრივ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ასე მაგალითად, კარულოვი და შირშოვი დამნაშავედ იქნენ ცნობილი მასში, რომ შენიშნეს რა მდინარის მეორე ნაპირზე ბუჩქებში მოძრავი სილუეტის და მიიჩნიეს რა იგი დათვად, ორივემ 16 ყალბის ერთლულიანი, ერთნაირი მასრებით დატენილი თოფებიდან, თითქმის ერთი და იგივე მანძილიდან ერთდროულად მოახდინეს გასროლა. ბუჩქებში აღმოჩნდა ტექნიკოსი კობილოვი,

საქართველო
საბჭოთა კავშირი

რომლისთვისაც ერთ ტყვიას არავითარი დაზიანება არ მიუყენებია, ხოლო მეორემ მიაყენა მძიმე ჭრილობა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მიყვანილს გარდაიცვალა.

ტისულსკის რაიონულმა სახალხო სასამართლომ კარაულოვსა და შირშოვს მსჯავრი დასდო რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით. კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა არ გაიზიარა რსფსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი და მიუთითა, რომ კარაულოვისა და შირშოვის მოქმედებანი დაკავშირებული იყვნენ განზრახვის ერთიანობით, რომელიც მინართული იყო ერთიანი მიზნის განხორციელებისაკენ და რომ მათი გაუფრთხილებელი ბრალი ერთობლივ განზრახ მოქმედებათა საზოგადოებრივად საშიშ შედეგების მიმართ წარმოადგენს თანაამსრულებელთა ბრალს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა აღნიშნულ საქმეზე პირდაპირ მიუთითა, რომ „სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მეცხრე მუხლი გაუფრთხილებელ დანაშაულის ცნებას უკავშირებს დამნაშავის განსაზღვრულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი და არა თვით მოქმედებისადმი (მოცემულ შემთხვევაში მათ მიერ ნაგულისხმევი დათვისათვის სროლისადმი). ამ პირობებში კემეროვოს საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში მითითება „საერთო მიზნის განხორციელებაზე მიმართული განზრახვის ერთიანობის შესახებ უსაფუძვლოა“.⁹

11.023

პლენუმმა მართებულად მიიჩნია მთლიანად დანაშაული გაუფრთხილებელ დანაშაულად და ჩასთვალა რა რომ ერთ-ერთი მსჯავრდებული (რომლის ტყვიასაც არავითარი დაზიანება არ მიუყენებია კოპილოვისათვის) არაბრალეულია და დასჯილია დაუსაბუთებლად. საქმე დააბრუნა ხელახალი გამოძიებისათვის დანაშაულის ჩადენაში ბრალეული კონკრეტული პირის დასადგენად.

მამასადამე, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იმის უგულებელყოფამ, რომ ბრალის ფორმების გამიჯვნას საფუძვლად უნდა დაედოს პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მისი მოქმედებით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი და არა თვით მოქმედებისადმი გამოიწვია ის, რომ შედეგის გაუფრთხილებლად განხორციელების ვითარებაში მთლიანად დანაშაული განხილულ იქნა როგორც განზრახი.

3. დაველი, თვლის, რომ „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა სუბიექტური მხარის დადგენის დროს საჭიროა გაირკვეს ფსიქიკური დამოკიდებულების ხასიათი როგორც წესების დარღვევის ფაქტისადმი ისე ამ დარღვევით დამდგარი შედეგებისადმი“ და „ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება წესების დარღვევისადმი გამოიხატება ან პირდაპირ განზრახვაში, ან დანაშაულებრივ დაუდევრობაში“.¹⁰ სულ ორიოდე.წლის წინ ეს ავტორი სავსებით სწორ პოზიციას იკავებდა ამ საკითხში. კერძოდ იგი ეხებოდა რა განზრახვის ცნებას წერდა: „ლიტერატურაში ჩვეულებრივად მიუთითებენ მოქმედების ან უმოქმედობის სურვილზეც (შეგნებულ დაშვებაზე). ეს

⁹ Бюллетень Верховного Суда СССР, 1966, № 5, стр. 24—26.

¹⁰ П. Дагель, Субъективная сторона автотранспортных преступлений, «Советская юстиция», № 19, 1968, стр. 18.

სსსრ სსსრ სსსრ

მითითება ზედმეტად მიგვაჩნია. საფუძვლების მერვე მუხლი ლაპარაკობს შედეგების და არა მოქმედების სურვილზე (დაშვებაზე)...“.¹¹

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ მეტად არსებით გარემოებას, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე თვით დანაშაულებრივი ქმედობის ელემენტია, რომელიც ობიექტურთან ერთობლიობაში გვაძლევს ქმედობის ცნებას.

ადამიანის ნებელობითი ქცევის ცნებაში იგულისხმება არა მარტო სხეულის გარკვეული სახის მოძრაობაში გამოხატული გარეგანი ობიექტური ფორმა, არამედ ის ნებაც, რომელიც ამოძრავებს სუბიექტს. ადამიანის სხეულის მოძრაობა თანმდევი, სუბიექტის ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესის გარეშე არ ვგაძლევს მოქმედების ცნებას და ამიტომ მიუხედავად მისგან გამომდინარე შედეგებისა არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელი, ხოლო რამდენადაც მოქმედება სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიან მთლიანობას წარმოადგენს ამდენად არ შეიძლება სუბიექტური მომენტის გამოთიშვა ქმედობისგან და მისი განხილვა როგორც ფსიქიკური დამოკიდებულებისა ამ უკანასკნელისადმი. სწორად შენიშნავს ა. ს. ნიკიფოროვი, რომ „ფსიქიკური დამოკიდებულება თვითონ არის ქმედობის ელემენტი და თქმა იმისა, რომ იგი არის დამოკიდებულება ქმედობისადმი ნიშნავს იმის თქმას, რომ იგი არის დამოკიდებულება თავის თავთან“.¹²

შერეული ბრალის კონცეფციის გასამაგრებლად იშველიებენ დანაშაულის ე. წ. ფორმალურ შემადგენლობებს. ამასთან ზოგიერთი ავტორი ერთის მხრივ თვლის, რომ კანონმდებლობაში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განმარტება იმგვარადაა დადგენილი, რომ მათგან გამომდინარეობს აუცილებლობა დანაშაულის შეგნებისა და ნების განსაზღვრული დამოკიდებულების დადგენისა სახელდობრ, ჩადენილი ქმედობის შედეგების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ მიუთითებს, რომ ფორმალურ დანაშაულში ბრალის ფორმების ინტელექტუალური და ნებელობითი მომენტები დგინდება თვით მოქმედების ან უმოქმედობის მიმართ.¹³ გამოდის, რომ საბჭოთა კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკმაოდ დიდი რაოდენობის ე. წ. ფორმალური შემადგენლობების მქონე დანაშაულებში ბრალის ფორმები დადგენილია იმგვარად, რომ ისინი მოცული არ არის ბრალის საერთო საკანონმდებლო ცნებით.¹⁴

დანაშაულის ფორმალური შემადგენლობის ცნება დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ სახის დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელი არ არის შედეგის ფაქტიურად დადგომა. ფორმალური შემადგენლობის მქონე

¹¹ П. Дагель, Понятие умысла в советском уголовном праве, «Советская юстиция», 1966, № 20, стр. 18.

¹² А. С. Никифоров, Основные вопросы уголовной ответственности за преступления, совершаемые по небрежности, «Ученые записки», ВИЮН, 1955, вып. I, стр. 143.

¹³ В. Кириченко, Смешанные формы вины, «Советская юстиция», 1966, № 19, стр. 13.

¹⁴ მავალითად ა. ა. პიონტოვსკის აზრით სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მერვე მუხლში მოცემულ განზრახვი დანაშაულის განსაზღვრებას მხედველობაში აქვს ეგრეთწოდებული დანაშაულის მატერიალური შემადგენლობანი (А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 350). მსგავს პოზიციას იკავებს ი. გ. ფილანოვსკი. მართალია იგი საერთოდ შერეული ბრალის კონცეფციის წინააღმდეგია, მაგრამ ამასთან მიაჩნია, რომ ფორმალურ დანაშაულებში ბრალის ფორმები უნდა განსაზღვროს ქმედობისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების მიხედვით. მას აუცილებლად მიაჩნია ამის შესახებ კონონში სპეციალური მითითების გაკეთება (Курс советского уголовного права. Часть общая, т. I, изд. ЛГУ, 1968, стр. 439).

დანაშაულში შედეგი შეიძლება დროში და სივრცეში საკმაოდ დაშორებული იყოს ქმედობისაგან. უფრო მეტიც, გარკვეულ ვითარებისა და გარემოებების გამო შედეგი შეიძლება საერთოდ არც კი განხორციელდეს რეალურ სინამდვილეში. ფორმალური 'შემადგენლობის' დანაშაულთა თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება არა მცდელობისათვის არამედ დამთავრებული დანაშაულისათვის.

ამიტომ, დანაშაულებრივი შედეგის ადრე თუ გვიან დადგომის, ან მისი საერთოდ განხორციელების თუ განუხორციელებლობის ფაქტი რასაკვირველია გარკვეულ სამართლებრივ ინსტიტუტებთან და მათგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებთან არის დაკავშირებული, მაგრამ არა ისეთთან, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდეთ ბრალის ცნების დადგენისა და მისი ფორმების გამიჯვნისათვის. ბრალის ფორმების გამიჯვნას საფუძვლად უდევს არა მაინცდამაინც ფაქტიურად განხორციელებული საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულება იმ შედეგებისადმი, რომელიც კანონმდებელს კონკრეტულ შემადგენლობაში ასახული ან ყოველ შემთხვევაში ნაგულისხმევი აქვს როგორც ობიექტისათვის განსაზღვრული ზიანის მიყენება.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს დალატის, როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის აუცილებელი არ არის ფაქტიური ზიანის მიაღწეს სსრ კავშირის საგარეო უშიშროებას, პირის ბრალი განისაზღვრება მაინც ამ ზიანისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებით „თუ სუბიექტს სურს სსრ კავშირის საგარეო უშიშროების ძირის გამოთხრა ან შესუსტება, სახეზეა პირდაპირი განზრახვა. თუ მას არ სურს, არამედ განუტრეხლად ეკიდება რა ნამოქმედარის შედეგებს, შეგნებულად უშვებს მათ დადგომას — სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა“.¹⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ისევე როგორც ყველა სხვა სახის დანაშაულში, ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებშიც პირის ბრალი განისაზღვრება საზოგადოებრივად საშიშ შედეგებისადმი და არა მოქმედებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1965 წლის 9 აპრილის დადგენილებაში „ავტომოტოტრანსპორტის ან ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უშიშროების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ თუმც დაიკავა ორმაგი ბრალის პოზიცია და რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 211 და 212 მუხლებით მოქმედების კვალიფიკაციისას მოითხოვა ფსიქიკური დამოკიდებულების გარკვევა ცალკე წესების დარღვევისა და ცალკე შედეგებისადმი, ამასთან ერთად მაინც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ შემადგენლობებში შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება იყოს მხოლოდ გაუფრთხილებელი. პლენუმმა პირდაპირ მიუთითა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ დამნაშავეს განზრახვაში შედიოდა დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება, ნამოქმედარი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაული მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“.¹⁶

ამასთან დაკავშირებით ორმაგი ბრალის კონცეფციის მომხრე ზოგიერთი

¹⁵ Г. З. Анашкин, Ответственность за измену Родине и шпионаж, М., 1964, стр. 143.

¹⁶ «Бюллетень Верховного Суда СССР», 1965 г., № 3, стр. 11.

კრიმინალისტიკის პოზიციის მცდარობა შედარებით აშკარა გამოხატულებას პპო-
ვებს სწორედ იმაში, რომ ისინი ზემოდ აღნიშნულ კატეგორიის დანაშაულებ-
ში (საქართველოს სსრ სსკ 86, 241, 242 მუხლები, რსფსრ სსკ 85, 211, 212,
213 მუხლები) შესაძლებლად თვლიან, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებუ-
ლება შედეგისადმი გამოხატული იყოს განზრახვის (ზოგიერთთან მხოლოდ
არაპირდაპირი განზრახვის) ფორმაში.¹⁷

ორმაგი ანუ შერეული ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტები თა-
ვიანთი პოზიციის გასამაგრებლად მიმართავენ იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი
ზოგჯერ ზემოაღნიშნულ კატეგორიის დანაშაულის შემადგენლობებში პასუ-
ხისმგებლობას აუცილებლად არ უკავშირებს მძიმე შედეგების დადგომის
ფაქტს. და საზოგადოებრივად საშიშად და დასჯადად აღიარებს ასეთი შედე-
გების დადგომის მხოლოდ რეალური საფრთხის შექმნასაც.

აქედან გამომდინარე ისინი თვლიან, რომ რამდენადაც ასეთ შემთხვევაში
პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის მძიმე შედეგების დადგომა აუცილე-
ბელი არ არის, ამდენად ბრალის ფორმის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ
მოქმედებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებით და ეს დამოკიდებულება
კი შეიძლება გამოიხატოს განზრახვი ბრალის ფორმაში.

ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებით იმის დასაბუთება, რომ მაგალითად
ელექტროტრანსპორტისა და ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების
და ექსპლოატაციის წესების დარღვევა (მუხლი 241) შეიძლება ჩადენილ იქნას
განზრახვ, არ არის გამართლებული.

ჩვენის აზრით, ითვალისწინებს რა პასუხისმგებლობას დამნაშავისათვის
წინასწარი შეცნობით ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზული
საფრთხის შექმნისათვის (241 მუხლის პირველი ნაწილი) კანონმდებელი ამით
იმას კი არ მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის ბრალის საკითხი გადა-
წყვიტოთ საკუთარი მოქმედებისადმი მისი ფსიქიკური დამოკიდებულების
მიხედვით, არამედ ვარკვეული მოსაზრებებით გამონაკლისს აკეთებს იმ საერ-
თო წესიდან, რომ თვითიმედოვნებისა და არაპირდაპირი განზრახვის არსებო-
ბისას პასუხისმგებლობას შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ შედეგის ფაქტი-
ურად განხორციელების შემთხვევაში.

ასეთი გამონაკლისის არარსებობისას ელექტროტრანსპორტისა და ავტო-
მოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევა, რასაც ადა-
მიანთა უბედური შემთხვევა არ მოჰყოლია, მაგრამ რომელიც ქმნიდა ასეთი
შედეგების განხორციელების სერიოზულ საფრთხეს სისხლის სამართლის პა-
სუხისმგებლობას გამოიწვევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შედეგების
მიმართ პირი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით (პიროვნების წინააღმდეგ
მიმართული დანაშაულის მცდელობისათვის). მაგრამ კანონმდებელი გამომდი-
ნარე მოსალოდნელი შედეგების გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროებიდან
განსხვავებით სხვა მსგავსი შემთხვევებისაგან დანაშაულებრივად და დასჯადად
აღიარებს ისეთ მოქმედებას, როცა შედეგების ფაქტიურად განუხორციელებლო-
ბის ვითარებაში პირი მოქმედებდა თვითიმედოვნებით ან არაპირდაპირი გან-

¹⁷ Советское уголовное право. Часть особенная, М., 1962, стр. 78, 390; Комментарий
к уголовному кодексу РСФСР 1960 г., изд. ЛГУ, стр. 179, 361; Комментарий к уголов-
ному кодексу РСФСР», М., 1963, стр. 191—192, 454; Советское уголовное право. Часть
особенная, М., 1964, стр. 69; П. С. Матышевский, Ответственность за преступления про-
тив общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1964,
стр. 54.

ზრახვით. ჩვენს შემთხვევაში როცა პირი შეგნებულად ახორციელებდა ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების იმგვარ დარღვევას, რომლითაც იქმნებოდა ადამიანთა უბედური შემთხვევის სერიოზული საფრთხე და ამასთან ითვალისწინებდა, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა ამ შედეგების თავიდან აცილებას ან გულგრილად, განურჩევლად ეკიდებოდა. რა ამ შედეგებს შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას.

ჩვენი აზრით, ეს გამონაკლისი ადასტურებს წესს იმის შესახებ, რომ ბრალის ფორმის საკითხი უნდა გადაწყდეს სახელდობრ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებით, რადგან თუ პირიქით დავუშვებთ, რომ ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მოქმედებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულებით, მაშინ რამდენადაც დამნაშავე წინასწარი შეცნობით ქმნის ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის საფრთხეს (ე. ი. მოქმედებს „განზრახ“) მიუხედავად შედეგის ფაქტიურად განზორციელებისა თუ განუხორციელებლობისა ყოველთვის გვექნებოდა პასუხისმგებლობის როგორც ობიექტური ისე სუბიექტური საფუძველი და ამგვარი გამონაკლისის გაკეთება საჭირო აღარ იქნებოდა.

ორმაგი ანუ შერეული ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტები ამ სახის ბრალის საკანონმდებლო წესით დადასტურების მაგალითად მიუთითებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეთერთმეტე მუხლზე.¹⁸ აღნიშნული მუხლის ძალით „თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ შემთხვევაში, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა“.

თუ დავაკვირდებით ამ მუხლის შინაარსს მას საერთო არაფერი აქვს ბრალის შერეულ ფორმასთან. კერძოდ იგი არ განასხვავებს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგის მიმართ. როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. კრიგერი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი არაფრით არ ამავრებს ბრალის შერეული ფორმის კონცეფციას, რადგან მას მხედველობაში აქვს შემთხვევა, როცა განზრახ დამნაშაულის ჩადენისას პირდაპირ შედეგებთან ერთად ღვება კიდევ ნაწარმოები, უფრო საშიში შედეგები, რომლებიც არ არიან მოცული დამნაშავეს განზრახვით. შესაბამისად საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპებისა, რომლებიც გამოირიცხავენ ობიექტურ შერაცხვას, ასეთი შედეგებისადმი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როდესაც უკიდურეს შემთხვევაში არსებობს პირის გაუფრთხილებელი ბრალი მაინც.¹⁹

ვფიქრობთ გ. კრიგერს სწორად აქვს გაგებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეთერთმეტე მუხლის შინაარსი, რომელიც ობიექტური შერაცხვის შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ანსხვავებს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მისი მოქმედების ძირითად და ე. წ. ნაწარმოები ანუ დამატებითი შედეგებისადმი.

¹⁸ В. Кириченко, Смешанные формы вины, «Советская юстиция», 1960, № 19, стр. 14; Советское уголовное право, Часть общая, М., 1964, стр. 138. Советское уголовное право, Часть общая, М., 1962, стр. 156.

¹⁹ Г. Кригер, Еще раз о смешанной форме вины. «Советская юстиция», 1967, № 3, стр. 6.

ი. გ. ფილანოვსკი განიხილავს რა სხეულის მძიმე დაზიანებას, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა და სხვა მსგავს დაზარალებებს, რომელთა ობიექტური მხარეც ხასიათდება არა ერთი, არამედ ორი, უშუალო და შორეული შედეგების დადგომით, სამართლიანად მიუთითებს რომ „არავითარი შერეული ბრალი განხილულ შემადგენლობებში არ არის, არამედ სახეზეა მხოლოდ ბრალის ორი ფორმა ერთ შემადგენლობაში“.²⁰

მაშასადამე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეტერთმეტე მუხლი საკანონმდებლო წესით ადგენს, რომ „მძიმე შედეგი გამოიწვევს პასუხისმგებლობის გაძლიერებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შედეგის მიმართ პირს ჰქონდა ბრალეული დამოკიდებულება გაუფრთხილებლობის ფორმით მაინც“²¹ და „წარმოადგენს საფუძვლების მესამე მუხლში ფორმულირებულ მხოლოდ ბრალის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის პრინციპის შემდგომ განვითარებას“.²² ამაში და მხოლოდ ამაში მდგომარეობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეტერთმეტე მუხლის დანიშნულება და მას ე. წ. შერეული ბრალის კონცეფციასთან საერთო არაფერი არა აქვს.

ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მძიმე შედეგით ვვალიფიცირებულ დაზარალებულთა სუბიექტური მხარის მთლიანი შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითად შედეგთან პირის ფსიქიკური დამოკიდებულება.

მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლში მოცემული შემადგენლობის (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) სუბიექტური მხარე განზრახ ბრალს გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ასეთ ქმედობას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, რომლისადმი დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებელ ბრალში შეიძლება იყოს ასახული, მთლიანად დაზარალებული განიხილება როგორც განზრახი და იწვევს განზრახი დაზარალებულისათვის კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ შედეგებს.

ორმაგი ანუ შერეული ბრალის კონცეფციის მომხრე კრიმინალისტების ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთმანეთში ურევენ განზრახვას როგორც ბრალის ფორმას და მოქმედების შეგნებულ ხასიათს. რამდენადაც ქმედობა ადამიანის მიზანდასახული, ნებელობითი ქცევის აქტია, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ სუბიექტი შეიძლება ახორციელებდეს მას ისე, რომ ამავე დროს არ სურდეს მისი განხორციელება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას, მის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს ნებისყოფის თავისუფლება, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა კონკრეტულ პირობებსა და გარემოებებში შეარჩიოს ქცევის ესა თუ ის ვარიანტი. ხოლო რამდენადაც ადამიანი თვითონ არჩევს ქცევის ამა თუ იმ ვარიანტს, ამდენად მასში ყოველთვის გამოხატულია მისი ნება და მაშასადამე, სურვილიც სახელდობრ იმ მოქმედების განხორციელებისა. ამრიგად, დაზარალებული მოქმედება, როგორც დამნაშავეს კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში ქცევის აქტი ყოველთვის ნებელობითი და ამიტომ შეგნებული ხასიათის მატარებელია. მაგრამ მოქმედების შეგნებული ხასიათი გულისხმობს მისი ჩამდენი პირის მიერ თვით მოქმედების არსის ცოდნას, ხო-

²⁰ Курс советского уголовного права, Часть общая, т. I, ЛГУ, 1968, стр. 438.

²¹ თ. წერეთელი, დაზარალებული ქმედობა და მისი შედეგი, თბ., 1966, გვ. 77.

²² А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 397.

საქართველო
საბჭოთაო

ლო ბრალი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით ამ მოქმედებიდან გამომდინარე საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი განსაზღვრულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი არსებითად განსხვავებული ცნებებია. ამასთან დაკავშირებით მართებულად მიუთითებს პროფ. თ. წერეთელი, რომ „თავისთავად ქმედობა, რომელმაც დანაშაულებრივი შედეგი გამოიწვია, თუ იგი იზოლირებულად, საზოგადოებრივად საშიში შედეგისაგან დამოუკიდებლად იქნება აღებული ნებელობითი და ამიტომ შეგნებული მოქმედებაა. მოქმედების შეგნებული ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი განზრახვითაა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. ქმედობა ნებელობის აქტია და მასთან დაკავშირებულია იმისდა დამოუკიდებლად, თუ როგორია პირის ბრალი ე. ი. ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი განზრახვითი თუ გაუფრთხილებლობითი“.²³

მასთანადავს, მოქმედება ნებელობითი, შეგნებული და მიზანდასახული ქცევის აქტია გაუფრთხილებელი დანაშაულის დროსაც. ამიტომ, ჩვენის აზრით, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მიუთითებენ შერეული ბრალის არსებობაზე ფაქტიურად აღვლილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა გაუფრთხილებლობას. სწორედ გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც სუბიექტი ახორციელებს შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებას, მიმართულს კონკრეტული სხვა შედეგის განხორციელებას და ამასთან არ ითვალისწინებს ან ითვალისწინებს, მაგრამ ქარადშუტულად ვარაუდობს მიზანდასახულ შედეგთან ერთად მოსალოდნელი საზოგადოებრივად საშიში შედეგის თავიდან აცილებას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკის ერთი ჯგუფი სწორედ გაუფრთხილებელ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს ისეთ დანაშაულებს, სადაც მოქმედების ჩადენა ხდება „განზრახ“, ხოლო შედეგი დგება გაუფრთხილებლობით და მათი მეშვეობით ცდილობს გაუფრთხილებელ დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობის დასაბუთებას.²⁴

ამას გარდა, იკავებს რა შერეული ბრალის პოზიციას და მოითხოვს რა ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა სუბიექტური მხარის ანალიზისას პიროვნების ფსიქიკური დამოკიდებულების გარკვევას ცალკე მოქმედებისა და ცალკე შედეგის მიმართ ბ. დაგელი იძულებულია აღიაროს, რომ ეს დანაშაულები მთლიანად არ შეიძლება განეკუთვნონ განზრახ დანაშაულებს²⁵, რაც თავისთავად უკვე ნიშნავს მათ მიკუთვნებას გაუფრთხილებელ დანაშაულთა კატეგორიისადმი.

დაბოლოს, შერეული ბრალის მომხრე კრიმინალისტიკა ერთი ნაწილი ამ სახის დანაშაულთა იურიდიული ანალიზისას მიუთითებს რა, რომ მოქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლად ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შედეგებისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება გამოხატული იყოს მხოლოდ და მხოლოდ გაუფრთხილებლობის

²³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 44.

²⁴ М. Д. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, изд. ЛГУ, 1955, стр. 143; его же, «Некоторые вопросы общего учения о соучастии», «Правоведение», 1960, № 1, стр. 94; Советское уголовное право, часть общая, изд. ЛГУ, 1960, стр. 419—420.

²⁵ П. Дагель, Субъективная сторона автотранспортных преступлений, «Советская юстиция», 1968, № 19, стр. 18—19.

ფორმაში.²⁶ ხოლო იქ, სადაც შედეგისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება გაუფრთხილებლობის ფორმაში მიუხედავად ქმედობისათვის დამახასიათებელი ყველა სხვა თავისებურებებისა იგი მთლიანად გაუფრთხილებელ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ შერეული ბრალის კონცეფციის შემოტანა საბჭოთა სისხლის სამართალში ლოგიკურ წინააღმდეგობებს იწვევს საკითხის თეორიული დამუშავების დროს, ხოლო მისგან გამომდინარე დასკვნების პრაქტიკაში გაზიარების შემთხვევაში იგი კანონიერებისა და მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში შეიძლება დარღვევების წყარო გახდეს.

²⁶ ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, თბ., 1966, გვ. 448, 449, 453, 455 და სხვ.; Советское уголовное право. Часть особенная, М., 1965, стр. 407, 410, 412, 416 и др.; Советское уголовное право. Часть особенная, М., 1968, стр. 493, 497, 498.



სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო ხელშეკრულებათა შინაარსი

ლ. ისაკაძე

ნაწარმოების გამოქვეყნების, რეპროდუქციისა და გავრცელების უფლების სარეალიზაციოდ ავტორი სათანადო ორგანიზაციასთან (გამომცემლობასთან, სამხატვრო ფონდთან, სამრეწველო კომბინატთან, თეატრთან, კინოსტუდიასთან, ფაბრიკასთან და ა. შ.) აფორმებს საავტორო ხელშეკრულებას, რომელიც საავტორო მართლურთიერთობის აღმოცენების საფუძველი ხდება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-500 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ავტორის ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის მემკვიდრეებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. გამონაკლისი ვათვალისწინებულა კანონში. ნაწარმოების გამოყენება ხელშეკრულების დაუდებლად დაიშვება მხოლოდ კოდექსის 496, 501, 506, 507 მუხლებითა და 523 მუხლის მეორე ნაწილით. ნაწარმოების გამოყენება ავტორთან ხელშეკრულების დაუდებლად, როდესაც ეს სავალდებულოა, საავტორო უფლების დარღვევა არის.¹

კოდექსი საავტორო ხელშეკრულებას განიხილავს როგორც ერთიან სახელშეკრულებო ტიპს და იძლევა მის ლეგალურ განმარტებას: ავტორი ხელშეკრულებით ორგანიზაციას გადასცემს ან კისრულობს ხელშეკრულებით ვათვალისწინებულ ვადაში შექმნას და გამოსაყენებლად გადასცეს თავისი ნაწარმოები ხელშეკრულებაში დათქმული წესით, ხოლო ორგანიზაცია კისრულობს გამოიყენოს ეს ნაწარმოები ან ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეუდგეს მის გამოყენებას, აგრეთვე გადაუხადოს ავტორს გასამრჩელო კანონით ვათვალისწინებულ შემთხვევებს გარდა.

ამ განსაზღვრებით (1928 წლის „საფუძვლების“ მე-16 მუხლისაგან განსხვავებით) უგულებელყოფილია ავტორის მიერ საავტორო უფლების გასხვისება ორგანიზაციის სასარგებლოდ. საგამომცემლო, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოქვეყნებელი ნაწარმოების მრეწველობაში გამოყენების და მათი მსგავსი საქმიანობის განხორციელება მოქალაქის უფლებაუნარიანობის შინაარსში არ შედის (კოდექსის მე-10 მუხლი). ამის გამო მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ, თითქოს ავტორი, დებს რა ხელშეკრულებას ნაწარმოების გამოყენებაზე, ამით ორგანიზაციას გადასცემს თავისი უფლების თუნდაც მცირე ნაწილს ნაწარმოების რეპროდუქციისა და გავრცელებაზე. აფორმებს რა სახელშეკრულებო ურთიერთობას და აძლევს რა ამ ორგანიზაციას ნებართვას თავისი ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, რეპროდუქციისა და გავრცელებაზე, ამით ავტორი თავისი უფლების რეალიზაციას ახდენს.

¹სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 19 დეკემბრის № 9 დადგენილება „სასამართლოების მიერ საავტორო უფლებიდან გამომდინარე დავების განხილვის პრაქტიკის შესახებ“. «Советская юстиция», 1968 г., № 3, стр. 96.



საავტორო ხელშეკრულებით შექმნილ ნაწარმოებთა და მათი გამოქვეყნების საშუალებათა სხვადასხვაობის მიხედვით კოდექსის 516-ე მუხლში ჩამოთვლილია საავტორო ხელშეკრულებათა სახეობების სავარაუდო ნუსხა. ესენია: ხელშეკრულება ნაწარმოების გამოცემის ან ხელახლა გამოცემის შესახებ (სავაგომცემლო ხელშეკრულება); ხელშეკრულება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შესახებ მისი საჯაროდ გამოფენის ან რეპროდუქციის მიზნით (მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება); ხელშეკრულება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოუქვეყნებელი ნაწარმოების მრეწველობაში გამოყენების შესახებ და სხვ.² ამასთან თითოეულ აქ ჩამოთვლილ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებანი და მოვალეობანი, პასუხისმგებლობა ხელშეკრულებაში დათქმული წესის შეუსრულებლობაზე ერთნაირია.

საავტორო ხელშეკრულებაში მხარეებად გვევლინებიან ავტორი ან მისი უფლებამწიკვე (მემკვიდრე) და შესაბამისი სოციალისტური ორგანიზაცია. იშვიათად მხარეა კერძო პირი (მაგ., სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში გამოსახული მოქალაქე, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების მყიდველი და ა. შ.).

თუ ავტორი არაქმედუნარიანია, ხელშეკრულება იდება მის კანონიერ წარმომადგენელთან (მშობელთან, მეურვესთან). არასრულწლოვანი ავტორი თხოთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე საავტორო ხელშეკრულებას დებს დამოუკიდებლად, მშობლის ამ მეურვის თანხმობის მიუღებლად (კოდექსის მე-14 მუხლი).

საავტორო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მზა ნაწარმოებზეც და ისეთ ნაწარმოებზეც, რომელიც მომავალში შეიქმნება ან რომელზეც დაწყებულია მუშაობა. აქ გვაქვს მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულება, ე. ი. ისეთი ხელშეკრულება, რომლის გაფორმების დროს ჯერ კიდევ არ არსებობს საავტორო უფლების ობიექტი.

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო ხელშეკრულებათა შინაარსის დამახასიათებელი ნიშანია ნაწარმოების გამოყენების პირობებისა და ორიგინალზე საკუთრების პირობების ურთიერთკავშირი. ამიტომ თუ სურათი ან ქანდაკება შეუკვეთეს ავტორს ექსპონირების მიზნით ანდა ქუჩაში და მოედანზე დასადგმელად, ორიგინალზე საკუთრების უფლების გადაცემა შემკვეთისათვის აუცილებელი წინაპირობაა ნაწარმოების გამოყენებისა. ზოგჯერ შემკვეთს უშუალოდ გადაეცემა საკუთრების უფლება ნაწარმოებზე (ვთქვათ, მხატვარმა შექმნა კედლის ფრესკა); ხოლო თუ მხატვარი ქმნის ილუსტრაციებს მხატვრული ნაწარმოებისათვის ან ესკიზებს დეკორაციებისათვის, მაშინ შემკვეთს ორიგინალი დროებით ესაჭიროება.

ამრიგად, სახვითი ხელოვნების სფეროში ნამდვილი საავტორო ხელშეკრულების გარდა (როდესაც შემკვეთი პასუხისმგებელია ნაწარმოების დაცვისა და დაბრუნებისათვის) ვხვდებით ისეთ საავტორო ხელშეკრულებასაც, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული. ასეთი შერეული ხელშეკრულება მეტწილად ვხვდება ნაწარმოების საჯაროდ ჩვენებისას. რამდენადაც ნაწარმოების გამოყენების ამ სახეს, ვთქვათ, სავაგომცემლო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, არ ესაჭიროება რეგლამენტაცია და მას იყენებენ უფადოდ, იმდენად ხელშეკრულების პირობის უშუალო შინაარსი იზღუდება ორიგინალის გაყიდვით და მხატვრის გასამრჯელო გამოიყურება

2. აქ ჩამოთვლილია საავტორო ხელშეკრულებათა მხოლოდ ისეთი სახეები, რომლებიც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთან არის დაკავშირებული.

როგორც სურათის ან ქანდაკების საფასური და არა როგორც საავტორო ნაწარმი რარი შემოქმედებითი შრომისათვის. ეს თავისებური ყიდვა-გაყიდვა უმეტესად საავტორო სამართლის ნორმებს ექვემდებარება. კერძოდ, მყიდველს არა აქვს უფლება ნაწარმოების რეპროდუქციისა მისი გავრცელების მიზნით, ავტორისათვის კუთვნილ ნასყიდობის ფასზე ვრცელდება ყველა შეღავათები, რაც საავტორო გასამრჯელოსათვის არის დადგენილი და ა. შ.³

საავტორო უფლების ობიექტის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობის რეგულირება ხდება ან საავტორო, ან შრომითი ხელშეკრულებით. შემოქმედებითი ნაწარმოების შექმნა სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით არც ისე იშვიათია (ამ ხელშეკრულებით შემოქმედებით სამუშაოებს ეწევიან გამომცემლობებისა და სამრეწველო საწარმოების შტატში მყოფი მხატვრები); მაგრამ ასევე ხშირად იქმნება ნაწარმოები საავტორო ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება გამომცემლობებთან, სამრეწველო საწარმოებთან, კინოსტუდიებთან და ა. შ. რა სახის ხელშეკრულებითაც უნდა შესრულდეს საავტორო უფლების ობიექტი, მასზე საავტორო უფლება აქვს მხოლოდ მის ავტორს. აქ განსხვავებას ვპოულობთ მხოლოდ გასამრჯელოს განაწილებასა და ნაწარმოების გამოყენებაში.


საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით (517-ე მუხლი). მაგრამ ამასთან წერილობითი გაუფორმებლობა ხელშეკრულების ბათილობას არ იწვევს, მხოლოდ მხარეებს უსპობს უფლებას დავის შემთხვევაში გარიგების დასადასტურებლად დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებებს (46-ე მუხლი). კანონით დაწესებული ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი შედეგი პირდაპირ მითითებულია კანონში. როდესაც საავტორო ხელშეკრულება წერილობით არ არის გაფორმებული და წარმოიშობა დავა მის არსებობაზე, ამის დასამტკიცებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობით მტკიცებულობანი. ასეთებია: წერილები, საგამომცემლო გეგმები, შეკვეთები ამა თუ იმ მასალაზე, საბუხპალტრო ანგარიშები და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში მეტწილად დასტურდება ზეპირი შეთანხმებანი, ეს შეთანხმებანი მაინც ყოველთვის როდი აძლევს ავტორს ნაწარმოებზე თავისი უფლების სრულ გარანტიას. ამიტომ რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის უკეთესია საავტორო ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება.

საავტორო ხელშეკრულება იდება ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად (518-ე მუხლი). ტიპობრივი ხელშეკრულება ქვეკანონური ნორმატიული აქტია, რომელიც არეგულირებს ავტორისა და ორგანიზაციის უფლება-მოვალეობებს საავტორო ხელშეკრულების ცალკეული სახეობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით. ამჟამად სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე არის მხოლოდ ერთი ტიპობრივი ხელშეკრულება — საგამომცემლო,⁴ სხვა ხელშეკრულებები სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე, ჯერჯერობით არა გვაქვს.

³ იხ. Г. М. Танин, Договор художественного заказа, «Советское государство и право», 1948 г., № 2, стр. 70—71; В. А. Кабатов, Советское авторское право на произведения изобразительного искусства, Автореферат, М., 1954, стр. 8; Е. Вакман, И. Грингольц, Авторские права художников, «Советский художник», М., 1962 г., стр. 87; О. С. Иоффе, Советское гражданское право, изд. ЛГУ, 1965 г., стр. 54 და სხვ.

⁴ დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1963 წლის 20 ივლისის № 314 ბრძანებით. იხ. Ставки авторского гонорара и расценки на художественно-графические работы для печати, «Искусство», М., 1963 г., стр. 46—50.



სანამ არ შექმნილა ტიპობრივი საავტორო ხელშეკრულებანი, 1957 წლის 31 იანვრის „დროებითი დებულება მხატვრებთან სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადების წესის შესახებ“⁵. იგი არ მოიცავს ყველა ხელშეკრულებას და თანაც სავალდებულოა მხოლოდ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის ორგანიზაციებისათვის („დროებითი დებულების“ მე-9 პუნქტი). ტიპობრივ ხელშეკრულებათა არსებობა კი შესამჩნევად შეუწყობდა ხელს ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ზუსტ ჩამოყალიბებას და მათს სრულ გარანტიას, მით უმეტეს, რომ ახალ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები (515-528 მუხლები) მნიშვნელოვნად აადვილებს ცალკეულ ტიპობრივ ხელშეკრულებათა შექმნას.

ტიპობრივ საავტორო ხელშეკრულების არარსებობისას ხელშეკრულების პირობები მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. საავტორო ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს ისეთ პირობებსაც, რომლებიც ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამ პირობებმა არ უნდა გააუარესოს ავტორის მდგომარეობა იმასთან შედარებით, რაც დადგენილია ტიპობრივი ხელშეკრულებით და კანონით (კერძოდ 519—528 მუხლები, დადგენილებანი საავტორო ჰონორარის განაკვეთზე და სხვ.) ავტორთან დადებული ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებს მის მდგომარეობას კანონით ან ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობასთან შედარებით, ბათილია და შეიცვლებიან კანონით ან ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ნაწარმოების ჩაბარების ვადას მხარეები ადგენენ შეთანხმებით. მას შემდეგ, როდესაც ავტორი ჩააბარებს ორგანიზაციას შეკვეთილ ნაწარმოებს, ორგანიზაცია მოვალეა არა უგვიანეს ხელშეკრულებით დადგენილი ვადისა წერილობით შეატყობინოს ავტორს, რომ მისი ნაწარმოები მოწონებულია ან დაწუნებულია, ანდა აცნობოს, რომ ნაწარმოები მოითხოვს აუცილებელ შესწორებას და თანაც ზუსტად მიუთითოს თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ეს შესწორება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (კოდექსის 520-ე მუხლი).

წარმოდგენილი ნაწარმოების განხილვისას ორგანიზაციამ უნდა გამოიჩინოს მეტიმეტი სიზუსტე. ხელშეკრულებით წარმოდგენილი სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაწუნებულ იქნას, თუ იგი გამოუსადეგარია იდეურ-მხატვრული შინაარსით, ეწინააღმდეგება ხელშეკრულების პირობებს (მაგ., შეცვლილია ნაწარმოების თემა, გამოსახავის საშუალებათა სპეციფიკურობა და ა. შ.) და ზოგიერთი გარეშე მდგომარეობით (მაგ., ნაწარმოების ამოღება თემატური გეგმიდან ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით, მესამე ორგანიზაციის უარი ნაწარმოების დამტკიცებაზე, როდესაც ასეთი საჭირო იყო ხელშეკრულების თანახმად და სხვ.). ნაწარმოების დაწუნებაზე უნდა შედგეს მოტივირებული უარი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „ზოგიერთი გარეშე მდგომარეობა“, რომელიც ავტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზით იქმნება, ვერ დააბრკოლებს ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდას, რასაკვირველია, თუ სამუშაოს ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

ორგანიზაციის მითითებანი შესწორებებზე სავალდებულოა ავტორისათ-

⁵ Правовое положение работников изобразительных искусств, «Профиздат», 1959 г., стр. 73.

ვის, თუ ისინი გამომდინარეობენ ხელშეკრულების პირობებიდან. შესწორებისა და გადამუშავებისათვის, აგრეთვე მეორადი ესკიზის ან ორიგინალის ჩაბარებისათვის ავტორს ეძლევა დამატებითი დრო მასთან შეთანხმებით; მათი განხილვაც უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მეორადი განხილვის შედეგად წერილობით უნდა ეცნობოს ავტორს.

თუ დადგენილ ვადაში ავტორს წერილობითი შეტყობინება არ გაეგზავნა, ნაწარმოები ითვლება მოწონებულად და ავტორს უფლება აქვს მიიღოს სახელშეკრულებო თანხის ის ნაწილი, რომელიც ერგება მას ინდივიდუალური ან ტიპობრივი ხელშეკრულების პირობებით ნაწარმოების მოწონების შემდეგ. იგივე შედეგი დადგება, თუ შეტყობინება არ დააკმაყოფილებს ნაწარმოების მოწონებისა და ჩაბარების წესს, მაგალითად დაწუნების საფუძველი თუ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების პირობებს, ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაში თუ არ იქნება გათვალისწინებული ზემოაღნიშნული სამი მდგომარეობიდან არც ერთი და ა. შ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ორგანიზაცია ვადის გაუგრძელებლივ იღებს ავტორისაგან შეკვეთილ სამუშაოს. თუ ორგანიზაცია ნაწარმოების ჩაბარებამდე არ გააუქმებს ხელშეკრულებას გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო ან არ დათქვამს ამის შესახებ რაიმეს, ამით იგი ხელშეკრულების პროლონგირებას ახდენს და ამის გამო ორგანიზაციას აღარ შეუძლია შემდეგში უარი უთხრას ავტორს სამუშაოს მიღებაზე იმ მოტივით, რომ იგი არადროულად იყო ჩაბარებული⁶.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შეკვეთილი ნაწარმოების ჩაბარებისა და ორგანიზაციის მიერ მისი მოწონების შემდეგ, ეს უკანასკნელი მოვალეა ავტორს გადაუხადოს გასამრჯელო. 519-ე მუხლით, საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე მისაცემი გასამრჯელო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, დამტკიცებული განაკვეთის ფარგლებში, თუ ასეთი განაკვეთი არსებობს. საავტორო გასამრჯელოს განსაზღვრისას მხარეებს უფლება არა აქვთ გამოვიდნენ დამტკიცებული განაკვეთის ფარგლებიდან. თუ საავტორო გასამრჯელოს დამტკიცებული განაკვეთები არ არსებობს, ავტორის საზღაური ნაწარმოების გამოყენებისათვის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, როგორც წესი, იყენებენ გვარობრივად მსგავს ნაწარმოებთა განაკვეთებს ან პრაქტიკაში დაკანონებულ ჩვეულებრივ საფასურს.

საავტორო გასამრჯელო ნაწილ-ნაწილ გაიცემა და არა მთლიანად. ხელშეკრულების დადებისთანავე ავტორი იღებს ავანსს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულების თანხის 25 პროცენტით. ზოგიერთი ხელშეკრულებით (მაგალითად, კინოსცენარისა და მხატვრული შეკვეთის ხელშეკრულებით) დასაშვებია ავტორის ავანსირება ნაწარმოების მოწონებამდე; მოწონების შემდეგ ავტორს ეძლევა განსაზღვრული გასამრჯელოს ნახევარზე მეტი, ხოლო ზოგჯერ მთელი თანხა. ჰონორარის საბოლოო თანხა ავტორს მიეცემა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოვალეობის შესრულების შემდეგ — ნაწარმოების გამოქვეყნებისას ან უფრო გვიან, ნაწარმოების გამოყენების დაწყებისას, ან მისი გამოყენების დროს.

ავტორს უფლება არა აქვს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის მიუღებლად გადასცეს მესამე პირს ნაწარმოები ან მისი ნაწილი იმავე წესით გა-

⁶ У. К. Ихсанов, Права авторов произведений изобразительного искусства, «Юридическая литература», М., 1966 г., стр. 17.



მოსაყენებლად, რაც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი შეზღუდვის ვადა წესდება ტიპობრივი ხელშეკრულებით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს იმ დღიდან, რაც ორგანიზაციამ ნაწარმოები მოიწონა. ტიპობრივი ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემთხვევას, როცა ავტორს უფლება არა აქვს გადასცეს ნაწარმოები გამოსაყენებლად თუნდაც სხვა ხერხით, ვიდრე, ის, რომელიც ხელშეკრულებით არის დათქმული (521-ე მუხლი).

მესამე პირის მიერ ნაწარმოების გამოყენების შეზღუდვის დრო გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა ორგანიზაციამ ნაწარმოები მოიწონა. თუ ხელშეკრულება მზა ნაწარმოებზე იდება, მოწონების დრო ემთხვევა ხელშეკრულების დადების მომენტს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს დღე განისაზღვრება შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით, ხოლო თუ შეტყობინება გვიან გაიგზავნება, მაშინ ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ ვადის დამთავრებისას, როდესაც ავტორს უნდა მიეღო წერილობითი შეტყობინება.

მესამე პირის მიერ ნაწარმოების გამოყენების ვადა უნდა განვსვავოთ იმ ვადისაგან, რომლის განმავლობაშიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს ნაწარმოები ან შეუდგეს მის გამოყენებას ხელშეკრულებაში დათქმული წესით. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს ნაწარმოების მოწონების დღიდან (522-ე მუხლი). ანალოგიურად წყდებოდა ეს საკითხი საქართველოს სსრ საავტორო უფლების შესახებ დებულების 25-ე და 32-ე მუხლებით და ტიპობრივი ხელშეკრულებებით. ამასთან „დებულების“ 35-ე მუხლით სცენარის შემქმენი ვალდებული არ იყო დაედგა სურათი, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული. ახლა ეს გამოჩაგისი 522-ე მუხლით ვრცელდება აგრეთვე მხატვრული შექვეთის ხელშეკრულების დამდებ ორგანიზაციაზეც. კანონით დაშვებული ეს გამოჩაგისი გამართლებული არ არის და ამას მხოლოდ უზუსტობა შეაქვს კანონის ტექსტში. უპირველესად აქ ილახება ავტორის უფლებანი (თითქოსდა უვარგისი ნაწარმოების შემქმნელისა) და ამავე დროს ორგანიზაციაც იღებს გარკვეულ ზიანს — თანხა იხარჯება ისეთი ნაწარმოების შემქმნაზე, რომლის შემქმნაც თურმე საჭირო არ იყო. ამასთან კანონის ტექსტიდან არა ჩანს, რომ იგი კრძალავდეს ტიპობრივი ხელშეკრულებით ორგანიზაციის პასუხისმგებლობის დადგენას მოწონებული ნაწარმოების გამოყენებაზე. ეს გათვალისწინებულია მაგალითად ტელეფილმებზე ტიპობრივი სასცენარო ხელშეკრულებით⁷.

ნაწარმოების მოცულობის და გამოყენების ხასიათის მიხედვით ტიპობრივ ხელშეკრულებაში შეიძლება განისაზღვროს 522-ე მუხლით გათვალისწინებულ ზღვრულ ვადაზე ნაკლები დრო.

ხელშეკრულების დარღვევისათვის მხარეთა პასუხისმგებლობაზე ლაპარაკია კოდექსის 527-ე და 528-ე მუხლებში.

„ავტორი მოვალეა დააბრუნოს ხელშეკრულებით მიღებული, საავტორო

⁷ „დებულების“ 25-ე და 32-ე მუხლებით და ნორმატიული აქტებით (იხ. მაგ. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1963 წლის 20 ივლისის დამტკიცებული „დებულება არამუდმივ სამუშაოზე მყოფი მხატვრებისა და ფოტოგრაფების შრომის ანაზღაურებაზე, რომლებმაც შეასრულეს სამხატვრო განფიქვლი სამუშაოები პრესაში რეპროდუქციისათვის“, უფრო დიფერენცირებულად იყო განსაზღვრული ნაწარმოების გამოყენების ვადები. რამდენადაც ეს ნორმები არ ეწინააღმდეგებიან 522-ე მუხლს, ამდენად ისინი ძალდაკარგულად არ ითვლებიან.

გასამრჯელო, თუ ორგანიზაციამ მოშალა ხელშეკრულება, რომელიმე შემდეგ მიზეზით:

ა) თუ ავტორმა თავისი ბრალით არ ჩააბარა მას ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში“; ამ ტექსტიდან ჩანს, რომ ხელშეკრულების მოშლისა და საავტორო გასამრჯელოს დასაბრუნებლად საკმარისია ნაწარმოების გათვალისწინებულ ვადაში ჩაუბარებლობა ავტორის მიზეზით.

ამ პირობებში მხედველობაშია მისაღები ვალდებულებითი სამართლის ზოგადი პრინციპებიც. ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია, ავტორის ბრალის მიუხედავად, თუ ნაწარმოების გამოყენება შეუძლებელია ორგანიზაციისათვის, კერძოდ 224-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პირობით. რაც შეეხება ამ დროს ქონებრივი პასუხისმგებლობას ეს წამოიჭრება მხოლოდ ავტორის ბრალეულობის დროს (219-ე მუხლი), ხოლო პასუხისმგებლობის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით მიღებული საავტორო გასამრჯელოს ოდენობას (216-ე მუხლი).

ადრე მოქმედი კანონმდებლობით ეს საკითხი ასე არ იყო დაზუსტებული. ავანსის დაბრუნება ავტორის ბრალის არსებობისას გათვალისწინებული არ იყო, თუმცა დადგმის ტიპობრივი ხელშეკრულების მე-10 პუნქტის „ა“ ნაწილში (იგი ანალოგიის წესით ვრცელდებოდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზეც), სასამართლო პრაქტიკაში⁸ და თეორიულ ლიტერატურაში⁹, ასეთივე აზრი იყო გატარებული.

ახლა საკითხი გადაწყვეტილია, მაგრამ საჭიროა ტექსტის დაზუსტება. როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა ავტორი თავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ვთქვათ მძიმე ავადმყოფობის გამო, სხვა ქალაქში გადასვლის გამო და ა. შ.) ვერ ჩააბარებს ნაწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში? საკითხის ერთი მხარეა ხელშეკრულების მოშლა. ორგანიზაციას შეუძლია ამ შემთხვევაში მოშალოს ხელშეკრულება „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო“ (227-ე მუხლი), ხოლო ავანსის დაბრუნება-დაუბრუნებლობის საკითხი ამ დროს უნდა გადაწყდეს ავტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

როგორც ვიცით, ავანსი მისაღები თანხის ნაწილია, რომელსაც წინასწარ უხდიან ავტორს შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში. ამიტომ თუ ავტორის მიერ შესრულებული სამუშაო ამ თანხის თანაზომიერია, ავტორმა არ უნდა დააბრუნოს მიღებული ავანსი, ხოლო თუ ავტორს არავითარი სამუშაო არ შესრულებია, მაშინ მან უნდა დააბრუნოს ავანსი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა 527-ე მუხლს დამატებოდა შემდეგი: თუ ავტორი თავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ჩააბარებს ნაწარმოებს ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ამ უკანასკნელს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება, ხოლო მიღებული ავანსის დაბრუნება-დაუბრუნებლობის საკითხი გადაწყდება ავტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ავტორის ბრალს, ადგენს სასამარ-

⁸ იხ. ა. ი. ვაქსბერგის წიგნი (Издательство и автор, «Искусство», 1957, გვ. 150—154) მოყვანილი მაგალითები.

⁹ М. В. Гордон, Советское авторское право, 1955 г., стр. 172; В. И. Серебровский, Вопросы советского авторского права, 1956 г., стр. 207; Б. С. Антимонов, Е. А. Флейшиц, Авторское право, Москва, 1957 г., стр. 191—192; Е. Вакман, И. Грингольц, Авторские права художников, стр. 94—95 და სხვ.

თლო. ნაწარმოების დროულად ჩაუბარებლობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების მოშლის საფუძველს, თუ ნაწარმოები მიღებულია განსახილველად, კერძოდ, თუ ნაწარმოები ორგანიზაციამ გადაგზავნა რეცენზიისათვის ან ამ ნაწარმოებზე ორგანიზაცია აწარმოებდა სხვა მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც დაკავშირებული იყო ნაწარმოების შემდგომ შეფასებასთან¹⁰.

ბ) „თუ შეკვეთა შესრულებული არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ან შესრულებულია არაკეთილსინდისიერად“; ამ შემთხვევაში ავტორის მიერ მიღებული გასამრჯელოს დაბრუნების საკითხი სხვაგვარად წყდება.

შემოქმედებითი საქმიანობა სპეციფიკურია. მხატვარი იქნება ის, კომპოზიტორი თუ მწერალი, რაგინდ სახელგანთქმული და უზადო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს, დაცული არ არის შემოქმედებითი მარცხისაგან. ამიტომ თუ ავტორს შეემთხვევა „შემოქმედებითი სიღვე“ და ორგანიზაცია დაიწუნებს ნაწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მაგრამ ვერ დაამტკიცებს სასამართლო წესით ავტორის არაკეთილსინდისიერებას შეკვეთილი სამუშაოს შესრულებისას, მაშინ ავტორს რჩება ხელშეკრულების თანხმად მიღებული მთელი გასამრჯელო ან მისი ნაწილი განსაზღვრული ტიპობრივი ხელშეკრულებით. ეს ნაწილი არ შეიძლება ხელშეკრულების თანხის 25 პროცენტზე ნაკლები იყოს (527-ე მუხლის მეორე ნაწილი). ეს პრინციპი დადგინდა ტიპობრივი ხელშეკრულებებით¹¹ და თავისი უნივერსალური აღიარება ჰპოვა სასამართლო პრაქტიკაში¹².

თუ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ავანსის გაცემა, მაგრამ თანხა გადახდილი არ არის, ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს ავანსი განსაზღვრული რაოდენობით მის მიერ კეთილსინდისიერად შესრულებული ნაწარმოების დაწუნების შემდეგაც¹³.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ავანსი სახელშეკრულებო თანხის 25 პროცენტს აღემატება, ორგანიზაციას შეუძლია მოთხოვოს ავტორს დანარჩენი თანხის დაბრუნება. ამასთან ეს მოთხოვნა სამართლიანი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი პირდაპირ იქნება გათვალისწინებული ტიპობრივი ხელშეკრულებით, როგორც ეს გათვალისწინებულია „დროებითი დებულებით“. სხვა შემთხვევაში აღნიშნული თანხა რჩება ავტორს¹⁴.

გ) „თუ ავტორმა უარი თქვა ისეთ შესწორებაზე, რაც მას ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში მოეთხოვა“; აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვევს ხელშეკრულების მოშლას და მიღებული საავტორო გასამრჯელოს დაბრუნებას, თუ ზუსტად დადგინდება, რომ ავტორს სინამდვილეში მიეთითა შეეტანა ნაწარმოებში საჭირო შესწორებანი ხელშეკრულების

¹⁰ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 19 დეკემბრის ზემოაღნიშნული დადგენილება.

¹¹ იხ. საგამომცემლო ტიპობრივი ხელშეკრულების მე-9 პუნქტის შენიშვნა, დადგმის ტიპობრივი ხელშეკრულების მე-10 პუნქტი, სასცენარო ტიპობრივი ხელშეკრულების მე-10 პუნქტი.

¹² «Бюллетень Верховного Суда СССР», 1960 г., № 1, стр. 19—21.

¹³ იხ. Научно-практический комментарий к ГК РСФСР, «Юридическая литература», М., 1966, стр. 583.

¹⁴ კინოსცენარის ტიპობრივი ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში თუ კეთილსინდისიერ ავტორს დაუწუნებენ სცენარს, მას რჩება მიღებული თანხა მთლიანად, რომელიც შესაძლებელია აღწევდეს გათვალისწინებული გასამრჯელოს ნახევარს. ამ დროს მხედველობაშია მისაღები ავრთვე 487-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

პირობების ფარგლებში და ავტორმა უარი განაცხადა ამაზე. თუ ავტორი უარს იტყვის ორგანიზაციის ზერელე, ზოგად მითითებებზე ნაწარმოების „გადამუშავება-გადაკეთების“ თაობაზე და ორგანიზაცია ვერ დაამტკიცებს ავტორის არაკეთილსინდისიერებას აღნიშნულზე, ამ შემთხვევაში მასზე არ გაერცვლება შემოაღნიშნული ნორმა.

დ) „თუ დაარღვია მოვალეობა პირადად შეესრულებინა სამუშაო“; საავტორო ხელშეკრულებას პირადული ხასიათი აქვს. შემკვეთისათვის მნიშვნელობა აქვს სამუშაოს შემსრულებლის ვინაობას. შემკვეთს შესაძლოა სწორედ იმ ავტორის მიერ შესრულებული სამუშაო უნდოდეს, ვისთანაც დებს ხელშეკრულებას. და ეს ხშირად ასეა. ამიტომ ავტორის მიერ მოვალეობის დარღვევა — პირადად შეესრულებინა სამუშაო, ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მოშალოს ხელშეკრულება საავტორო გასამრჯელოს დაბრუნებით. იმავე შედეგს გამოიწვევს ორგანიზაციის დაუკითხავად თანავტორის მოწვევა.

ე) „თუ დაარღვია ამ კოდექსის 521-ე მუხლით გათვალისწინებული წესები“, ე. ი. აქ ლაპარაკია მესამე პირის მიერ იმ ნაწარმოების გამოყენების შეზღუდვაზე, რომელზედაც დადებულია ხელშეკრულება. მაგრამ ორგანიზაცია ვერ დაეყრდნობა ამ საფუძველს, თუ მან არ გამოიყენა ან არ დაიწყო ნაწარმოების გამოყენება 522-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში და მესამე პირს ნაწარმოები გადაეცა ამ ვადის გასვლის შემდეგ¹⁵.

ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებულია კოდექსის 528-ე მუხლით.

„თუ ორგანიზაცია არ გამოიყენებს მოწონებულ ნაწარმოებს ან არ შეუდგება მის გამოყენებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, იგი მოვალეა ავტორის მოთხოვნით გადაუხადოს მას მთელი დათქმული გასამრჯელო; ამ შემთხვევაში ავტორს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შესაბამისად ორგანიზაციისათვის ნაწარმოების ჩაბარებული ცალკების დაბრუნება“. თუ ორგანიზაცია დაკარგავს ან დააზიანებს ცალკებს იგი მატერიალურად აგებს პასუხს ავტორის წინაშე მიუხედავად ავტორისათვის გადახდილი ჰონორარის თანხისა.

ორგანიზაციის ეს პასუხისმგებლობა დაკავშირებული არ არის მის ბრალეულობაზე. ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მთლიანი ანაზღაურება, რაც გამომდინარეობს თვით ავტორის უფლებიდან — მიიღოს საზღაური (493-ე მუხლი).

ამასთან, როდესაც ნაწარმოები აღარ არის საზოგადოებისათვის სასარგებლო მისი გამოქვეყნების ვადის გასვლის მომენტში ან შეცდომით იქნა ვარვისად მიჩნეული გამოყენებისათვის, ამ დროს ავტორს არ მიეცემა ჰონორარის ის ნაწილი, რომელიც მას ხელშეკრულებით ერგებოდა ნაწარმოების გამოყენების შემდეგ.

„ორგანიზაცია ვათავისუფლდება მოვალეობისაგან გადაუხადოს ავტორს გასამრჯელოს ის ნაწილი, რომელიც უნდა მიეღოს უკანასკნელს ნაწარმოების გამოყენების შემდეგ, თუ დაამტკიცებს, რომ არ შეეძლო გამოყენებინა ნაწარმოები თვით ავტორისაგან დამოუკიდებელი გარემოების გამო“. აქ ლაპარაკია გასამრჯელოს მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ნაწარმოების გამოყენების დაწყების შემდეგ უნდა მიეღოს ავტორს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში,

¹⁵ «Судебная практика Верховного Суда СССР», 1944 г., вып. VIII (XIV), стр. 24—25.

(კერძოდ ნაწარმოების დაწუნებისას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზეზით ან ორგანიზაციის სხვა ცალმხრივ უარზე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე) ავტორს ეძლევა მთელი დათქმული გასამრჯელო.

ყველა დანარჩენი გარემოებანი, რომლებიც ორგანიზაციასთან არ არის დაკავშირებული (მაგ. გეგმის შეცვლა, ქაღალდის უკმარობა და ა. შ.) ავტორს არ უკარგავს უფლებას მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი დათქმული გასამრჯელო.

არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაცია ამა თუ იმ მიზეზის გამო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ შეატყობინებს ავტორს წერილობით, რომ მისი ნაწარმოები დაწუნებულია. 520-ე მუხლით, თუ დადგენილ ვადაში ავტორს წერილობითი შეტყობინება არ გაეგზავნა, ნაწარმოები ითვლება მოწონებულად ორგანიზაციის მიერ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ავტორს უფლება არა აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით დათქმული მთელი გასამრჯელოს გადახდა.

თუ დადგენილ ვადაში ორგანიზაციის ბრალით არ იქნება გამოყენებული ნაწარმოები, ამ დროს შესაძლოა საკითხი წამოიჭრას მის მიერ იძულებითი წესით ვალდებულების რეალურ შესრულებაზე (216 მუხლი). რასაკვირველია, ამ დროს გამოირიცხულია მესამე პირის უფლებანი (ვთქვათ, ნაწარმოების გეგმიდან ამოღება ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით, მესამე ორგანიზაციის უარი ნაწარმოების დამტკიცებაზე, როდესაც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა და ა. შ.). რამდენადაც კანონი არ ითვალისწინებს საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას ორგანიზაციის მიერ იძულებითი წესით გამოსაქვეყნებელი ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, ამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მიგვემართა კერძო განჩინებისათვის.

ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ე. წ. ნოვაციის ძალით. ეს გათვალისწინებულია 233-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ ვალდებულება შეწყდება მხარეთა შეთანხმების შედეგად, კერძოდ, შეთანხმებით, რომ იმავე პირთა შორის ერთი ვალდებულება მეორით შეიცვალა.¹⁶ ნოვაცია უნდა განვასხვავოთ ვალდებულების ცალკეული პირობების შეცვლისაგან. აქ ცალკეული პირობების მოდიფიცირება ხდება.

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, თუ მისი შემდგომი გავრძლება შეუძლებელი ხდება (მაგ., ავტორის გარდაცვალების ან მძიმედ დაავადების შემთხვევაში და სხვ.).

ხელშეკრულება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნაზე შეიძლება შეწყდეს აგრეთვე ერთი ან მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლით ან მხარეთა საერთო შეთანხმებით.

¹⁶ პრაქტიკაში გვხვდება ხოლმე მაგალითები, როდესაც შემკვეთს არ უნდა დაკარგოს ავტორისათვის გაცემული ავანსი და მოშალოს ხელშეკრულება და ამიტომ ხელშეკრულებით დათქმული ნაწარმოების მაგივრად სხვა ნაწარმოებს იღებს.

ზიანის ანაზღაურება და მიზეზობრივი კავშირის ზოგადი საკითხი

ო. კიკვიძე

ზიანის მიყენებით გამოწვეული პასუხისმგებლობის წარმოშობის აუცილებელი პირობაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ზიანის მიყენების მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.


ეს ნიშნავს დადგინდეს მოცემული შედეგის გამომწვევი მიზეზი, ის რომ პიროვნების დასახიჩრება ან სიკვდილი გამოწვეულია სახელდობრ ზიანის მიმყენებლის მოქმედებით და არა სხვა პირების მოქმედებით, სხვა მოვლენათა ზეგავლენით. ხშირად ამის დადგენა და, ამრიგად, პასუხისმგებლობის დაკისრებაც სირთულესთან არ არის დაკავშირებული. კერძოდ, ასეთი შემთხვევებია მაშინ, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვისას გვაქვს ისეთი საფუძვლიანი დოკუმენტები, როგორც არის: უბედური შემთხვევის აქტი წარმოებაში მომხდარი დასახიჩრების შესახებ, პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა ბრალეულობის შესახებ და სახალხო სასამართლოს განაჩენი ზიანის მიმყენებლის სისხლის სამართლის წესით დასჯის შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც მიზეზობრივი კავშირის დადგენა რთულია. სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ წარმოიშობა აუცილებლობა დამატებითი ღონისძიების განხორციელებისა, რათა დადგინდეს ნამდვილად არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასა და შედეგს შორის.

კერძოდ, რა არის ის გარემოებები, რაც შედარებით ართულებს მიზეზობრივი კავშირის დადგენას? ამ გარემოებებს ეკუთვნის ისეთი მიზეზობრივი დამოკიდებულება, რომლის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ხანგრძლივი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში შესწავლილ უნდა იქნას ნამდვილი მიზეზი და განსხვავებულ იქნას მთავარი მიზეზი დროებითი და წარმავალი მიზეზებისაგან. ამ საკითხის გადაწყვეტას მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს საქმის ობიექტურად გადაწყვეტისათვის.

საკითხის წარმატებით გადასაწყვეტად სასამართლო ზოგჯერ საჭიროდ თვლის მიმართოს ექსპერტს სპეციალური დასკვნისათვის, ან საქმის კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით გამოითხოვოს დამატებითი მასალა საჭირო ორგანიზაციებიდან, ან იხელმძღვანელოს დაკითხულ მოწმეთა ჩვენებით მიზეზობრივი კავშირის დასადგენად.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 11 თებერვალს განიხილა თაბუაშვილის საქმე და გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი უთხრა სარჩელზე უსაფუძვლობის გამო. გადაწყვეტილება ძალაში დარჩა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 26 იანვრის განჩინებით. კოლეგიამ საფუძვლიანად განმარტა, რომ, მართალია, მოსარჩელეს ჭიდაობის შემდეგ გამოუვლინ-



და სხეულის დაზიანება, მაგრამ არაფრით დადგენილი არ არის რაიმე მიზეზობრივი კავშირი ამ მარცხსა და მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციების მოქმედებას შორის. ყურადღებას იქცევს სახალხო სასამართლოს მიერ ყველა საჭირო ღონისძიების გატარება იმისათვის, რომ დადგენილიყო მიზეზობრივი კავშირი მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციების მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თაბუაშვილს სასამართლოსამედიცინო შემოწმების მიხედვით დაკარგული ჰქონდა როგორც საერთო, ისე პროფესიული შრომის უნარი, ეს დაზიანება მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებოდა მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციის მოქმედებასთან, რაც დადასტურდა სასამართლო პროცესზე დაკითხულ მთელ რიგ მოწმეთა ჩვენებით.

მარქსისტული დიალექტიკა კანონზომიერად თვლის, რომ როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივი მოვლენები შეიძლება გამოწვეულ იქნას არა ერთი, არამედ მრავალი მიზეზით. მაშასადამე, ყველა საფუძველია იმისათვის, რომ კანონზომიერად მივიჩნიოთ გარემოება, რომლის დროსაც ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში დადგენილი იქნება მიზეზობრივი კავშირი არა მარტო ერთ ორგანიზაციის ან პირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, არამედ მრავალი ორგანიზაციისა და პირის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ასეთ ვითარებაში, კონკრეტული მასალების ღრმა ანალიზის შედეგად უნდა გაირკვეს მთავარი და ძირითადი მიზეზობრივი კავშირის პერსონალურად მოცემული ზიანის მიმყენებლის (ორგანიზაციის ან პიროვნების) მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ან მრავალი ზიანის მიმყენებლის (ორგანიზაციების ან პიროვნებათა) კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამის მიხედვით პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებლად დაეკისრება პირველ შემთხვევაში ერთი ზიანის მიმყენებელს, ხოლო მეორე შემთხვევაში — მრავალ ზიანის მიმყენებელს (რამდენიმე ორგანიზაციას ან პიროვნებას).

შესაძლოა აგრეთვე წარმოიშვას მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა მაშინ, როცა ზიანი მიყენებულია არა მარტო მოქალაქეთა ქცევის შედეგად, არამედ იმ ცხოველების (პირუტყვთა) მიერ, რომლებიც ეკუთვნიან მოქალაქეებს ან ორგანიზაციებს. ასეთ დროს საკითხი მიზეზობრივი კავშირის დადგენის შესახებ, როგორც პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობა, უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის ზიანის მიმყენებელი პირუტყვის მფლობელი, აგრეთვე იმის მიხედვით, მიღებულ იქნა თუ არა საჭირო ზომები მისი მოვლა-პატრონობისათვის, რათა თავიდან აცილებულიყო ზიანის მიყენების (სხეულის დაზიანების, ან ქონებრივი ზიანის) შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანი გაპირობებულია მისი მფლობელის წინასწარი შეცნობით, ან უხეში, დაუდევარი ქცევით, რაც გამოიხატა აღნიშნული პირუტყვის შენახვა-პატრონობის მიმართ საჭირო გამაფრთხილებელი ზომების მიუღებლობით. საფუძველი არსებობს ჩავთვალოთ, რომ დამდგარი ზიანი (მავნე შედეგი) მიზეზობრივ კავშირშია ზიანის მიმყენებელი პირუტყვის (ცხოველის) მფლობელის მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, რის გამო წარმოიშობა პირობა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროს ზიანის მიმყენებელს (პირუტყვის მფლობელს).

ასეთი საქმის განხილვის დროს გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ სავსებით საფუძვლიანად ცნო სარჩელი სუხიტაშვილისა მოპასუხე გუგუნიშვილისადმი უკანასკნელის კუთვნილი ძაღლის მიერ დაკბენის შედეგად მი-

ყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. დეტალურად გაცნო რა სასარჩელო განცხადებაში მოყვანილ შინაარსს და შეისწავლა რა საქმეში არსებული ყველა მასალა, ერთი მხრივ სასამართლო სამედიცინო შემოწმების აქტი ძალის მიერ დაკბენის შედეგად მიღებული მძიმე ხასიათის დაზიანების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ სასამართლოსამსჯავრო პროცესზე დაკითხულ მოწმეებისა და თვით მოსარჩელეს განმარტება, სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოპასუხე გუგუნაშვილის ძალის მიერ დაკბენით 1964 წლის 3 თებერვალს სუხიტაშვილმა მიიღო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, გუგუნაშვილმა გამოიჩინა უხეში, დაუდგარი ქცევა და უყურადღებობა ძალის მოვლა-პატრონობაში, რაც გამოიხატა იმით, რომ არ დააბა ძალის, რითაც გამორიცხავდა ზიანის მიყენებას.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება საკითხს ძალის მფლობელის უმოქმედობის შესახებ. შეიძლება თუ არა საეჭვო გახდეს მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის? ამ საკითხის ირგვლივ იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია განვითარებული. იურისტ-მეცნიერთა ერთი ჯგუფი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ შეუძლებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობასა და დამდგარ ზიანს შორის, ხოლო მეორე ჯგუფი აღიარებს ასეთ პირობებში მიზეზობრივი კავშირის არსებობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავსებით საფუძვლიანია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც დადებითად თვლიან მიზეზობრივი კავშირის არსებობის ობიექტურობას კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობასა და დამდგარ ზიანს შორის. ამასთან დაკავშირებით ჭეშმარიტებას შეიცავს ა. ა. პიონტკოვსკისა და კ. კ. იაიჩკოვის მიერ წამოყენებული დებულება, რომ გარკვეულ პირობებში კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობა წარმოადგენს ისეთსავე გარკვეულ ქცევას, როგორსაც შეადგენს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება¹.

აქედან მოქალაქის კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობა სრულიად უყოყმანოდ განხილულ უნდა იქნას როგორც ერთ-ერთი საფუძვლიანი ნიშანი მიზეზობრივი დამოკიდებულებისა და მიზეზობრივი ფაქტორისა².

არ შეიძლება დავეთანხმოთ მ. დ. შარგოროდსკის დებულებას, რომლითაც იგი აბსოლუტურად უარყოფს მიზეზობრივ კავშირს კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობისას. ასე, მაგალითად, ის აღნიშნავს: „უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირი გამორიცხულია და გადაწყვეტილ უნდა იქნას საკითხი არა იმის შესახებ, რომ უმოქმედობა წარმოადგენს დამდგარი შედეგის მიზეზს, არამედ მხოლოდ იმის შესახებ, როდესაც ადამიანი პასუხს აგებს უმოქმედობისათვის³. თუ გავიზიარებთ შარგოროდსკის ამ მოსაზრებას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პასუხისმგებლობის საკითხი ზიანის ანაზღაურებისას გადაწყვეტილ უნდა იქნას ყოველგვარი მიზეზობრივი კავშირის დაუდგენლად, რაც თეორიულად და პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ვიცით, რომ პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხი.

¹ А. А. Понтковский. Проблема причинной связи в праве. «Ученые записки ВЮИ и ВЮА». М., Изд-во РИО, ВЮА, 1949 г., стр. 88—89.
² К. К. Яичков. Права, возникающие в связи с потерей здоровья, Изд-во «Наука», стр. 60.
³ М. Д. Шаргородский. Причинная связь в уголовном праве. «Ученые труды», ВЮИ, X, 1947 г., стр. 185.

მაშასადამე, აქედან შეიძლება ერთადერთი დასკვნის გამოტანა, რომ პირველ რიგში გადაწყვეტილ უნდა იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ უმოქმედობა წარმოადგენს დამდგარი შედეგის მიზეზს, რაც თავის მხრივ გადაწყვეტს საკითხს უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ დასკვნის ობიექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს უმოქმედობის მიზეზით ისეთი შედეგის დადგომა, რომელიც კვალიფიციურებულია როგორც ზიანი, რომლის ანაზღაურება აუცილებლად უნდა დაეკისროს ზიანის მიმყენებელს.

მ. დ. შარგოროდსკის შეხედულებების გაზიარება კანონსაწინააღმდეგო უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის უარყოფის შესახებ ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ არაქმედუნარიანთა მშობლებს, მეურვეებსა და სხვა პირებს, რომელთა უყურადღებობით და უხედამხედველობით მიყენებულ იქნა ზიანი, ე. ი. შედეგი დადგა მათი უმოქმედობის მიზეზით, ან კიდევ უარყოფილ იქნას მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობასა და დამდგარ ზიანს შორის, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ არ იქნა დაცული ქუჩებისა და გზებზე მოძრაობის წესები ან რომ არ იქნა დაცული რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესები.

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამენ უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხში ისეთი ცნობილი საბჭოთა იურისტები, როგორიც არიან: თ. ვ. წერეთელი, ა. ნ. ტრაინინი, თ. ს. იოფე და სხვები, რომლებიც უარყოფენ რა მ. დ. შარგოროდსკის, ბ. ს. ანტიმონოვის, ვ. ა. ფლეიშიცისა და მათი მიმდევრების პოზიციას, სავსებით სწორად მიუთითებენ, რომ „ადამიანთა საზოგადოებაში შრომის ფართო განაწილების პირობებში არა მარტო ადამიანის ცალკეული აქტიური მოქმედებით შეიძლება გამოწვეულ იქნას გარკვეული ცვლილებანი გარეგან სამყაროში, არამედ ისინი შეიძლება წარმოიშვას პირთა უმოქმედობითაც“⁴.

წარმოყენებული დებულება დამაჯერებლად მოწმობს, თუ რაოდენ გარდუვალ პირობას წარმოადგენს და რამდენად დიდ როლს ასრულებს მიზეზობრივი დამოკიდებულების არსებობა ზიანის მიმყენებლის როგორც მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ისე პირთა უმოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამრიგად, მაგალითი სახალხო სასამართლოს მიერ განხილული საქმისა ძალისაგან დაკბენის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სავსებით აკმაყოფილებს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს დებულებიდან ძალის მფლობელის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის შესახებ და იგი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

⁴ «Советское уголовное право». Общая часть. Госюриздат. М., 1959 г., стр. 135.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 4

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 15 ნოემბრის დადგენილების — „საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა სამუშაოზე აღდგენის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

19 ივნისი, 1969 წელი.

განხილა რა საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მიერ 1968 წელს სამუშაოზე აღდგენაზე განხილული საქმეების სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მასალები, პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ამ კატეგორიის საქმეებს ძირითადად სწორად განიხილავენ, შრომის კანონმდებლობის ნორმების გამოყენებით, კანონით დაწესებულ ვადებში. გაუმჯობესებულა განხილვის და გადაწყვეტილების სტაბილობის ხარისხი, ამასთან ერთად სასამართლო ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

1968 წელს განხილულ სამუშაოზე აღდგენის კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების 8,1% გაუქმებული იქნა საქსაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთ სახალხო სასამართლოებს გადაწყვეტილებები გამოქონდათ არასრულყოფილად, გამოურკვეველი მასალებისა და შრომის კანონმდებლობის ნორმების არასწორი გამოყენებით, ასევე ადგილი ჰქონდა შრომის საქმეების განხილვას კანონით დაწესებული ვადების დარღვევებით, რის შედეგადაც 1968 წ. 10 დღის ვადაში განხილულია ამ კატეგორიის საქმეების მხოლოდ 84,3%.

მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდან დათხოვნა ხშირად ხდება რა, ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონთა უხეში დარღვევით, სასამართლო ორგანოები აღნიშნულზე ყოველთვის არ ახდენენ კანონით გათვალისწინებულ რეაგირებას, არ გამოაქვთ კერძო განჩინებები, საქ. სსრ სამ. სამ. საპ. კოდ. 39 მუხ. საფუძველზე არ აბამენ საქმეში მესამე პირებს, საქორიების შემთხვევაში არ ატარებენ საჩვენებელ პროცესებს, არ იხილავენ საქმეებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნულმა დარღვევებმა ხე-

ლი შეუწყო იმ გარემოებას, რომ 1968 წ. სამუშაოზე აღდგენის საქმეების რაოდენობამ წინა წელთან შედარებით რესპუბლიკაში იმატა. სამუშაოზე აღდგენის საქმეების 73% სარჩელების დაკმაყოფილებული იქნა სასამართლო ორგანოების მიერ. სასამართლოს მიერ სამუშაოზე აღდგენილ პირთა 31% ადმინისტრაციის მიერ განთავისუფლებული იყო პროფკავშირთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ხოლო 12% აღდგენილი იქნა იმის გამო, რომ მუშაკები, რომელთა საქმე იხილებოდა, ადგილკომის სხდომას არ დასწრებიან.


სასამართლო ორგანოების მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევისა და კანონის არასწორად გამოყენება გამოიხატება არაქვემდებარე საქმეების განხილვაში, მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის არასწორად გამოყენებაში.

პლენუმმა დაადგინა:

1. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სასამართლოებს მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის საქმეების დროულად და კანონიერად გადაწყვეტის მიზნით მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ სამ. სამ. საპრ. კოდ. 149 მუხლის მოთხოვნა საქმის წინასწარი მომზადების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნას კანონით დაწესებულ ვადაში საქმის დროულად განხილვა.

2. დაევალოს სახალხო სასამართლოებს სამუშაოზე აღდგენის საქმეების განხილვის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ შრომის კანონმდებლობით, საქ. სსრ სამ. სამ. საპ. კოდ. 39 მუხლით და ამ საკითხზე სსრკ და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებით, შრომის კანონმდებლობის აშკარა დარღვევის ყველა შემთხვევაში საქმეში ჩააბან მესამე პირებად დამნაშავე პირები და გამოიტანონ კერძო განჩინებები მათ მიმართ.

3. დაევალოს სასამართლოებს, საქართველოს



სსრ სამ. სამ. საბ. კოდ. 217 მუხ. მე-4 პუნქტის საფუძველზე, ყველა შემთხვევაში წინასწარ მოიყვანონ სისრულეში გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ. ურჩიონ ადმინისტრაციას საკასაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში დაუბრუნონ ბრძანების ასლი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შესახებ.

4. განემარტოთ სასამართლოებს, რომ ვინაიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ. 15 ნომბრის დადგენილების მე-3 მუხ. საფუძველზე პროფკავშირთან წინასწარ შეთანხმების გარეშე მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევაში, სასამართლოები არ შედიან საქმის არსებით განხილვაში და ამდენად აღდგენის შემდეგ ადმინისტრაციას უფლება აქვს ადგილკომში დააყენოს საკითხი იმავე მოტივით მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს მუშაკს უფლებას ხელმოწერედ დააყენოს საკითხი სასამართლოში სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

5. განემარტოს სასამართლოებს, რომ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წევრების სამუშაოდან დათხოვნისათვის საჭიროა ადგილკომის და ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციის თანხმობა.

6. განემარტოთ სასამართლოებს, რომ იმ პირების, რომელთა თანამდებობები საკონკურსოა, სამუშაოზე აღდგენის საქმეში სასამართლოებს არ ექვემდებარებათ, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძველებით და მოტივით იქნებიან ისინი სამუშაოდან განთავისუფლებული.

7. განემარტოთ სასამართლოებს, რომ სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების მე-12 მუხლის საფუძველზე, შრომის წიგნაკის მუშაკზე თვითნებურად არ გაცემა უნდა იქნას გათანაბრებული იმ გარემოებასთან, როცა ადმინისტრაციის წარმომადგენლის ბრალით სისრულეში არ მოდის სააღსრულებო წარმოება სამუშაოზე აღდგენის შესახებ. აღნიშნულის გამო, სასამართლოებმა მუშაკს უნდა აუნაზღაურონ მთელი დროის განცდული ხელფასი. საქმის განხილვის დროს მესამე პირებად ჩაბან ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომლის ბრალით მუშაკმა ვერ მიიღო შრომის წიგნაკი.

8. დაევალოს სახალხო მოსამართლეებს და სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წევრებს სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-მოსენებები წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **პ. მანისურაძე**
 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მისხენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5

სასამართლოების მიერ „სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 28 მარტის № 3 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე

19 ივნისი, 1969 წელი.

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა.ბ. ს. ი. ქაჯაიას მოხსენება სასამართლოების მიერ „სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 28 მარტის № 3

დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე, — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლოებმა გააძლიერეს ბრძოლა ხსენებული დანაშაულის წინააღმდეგ. განვილი პერიოდში გაუმჯობესდა მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვის ხარისხი, ნაკლები შეცდომები შეინიშნება დანაშაულებრივ ქმედობათა

კვალიფიკაციისა და დამნაშავე პირთა მიმართ სასჯელის ღონისძიებების შეფარდების საკითხში, უფრო მეტი ზომებია მიღებული ამ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მიზნით.

ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მყიდველთა მოტყუებასთან ბრძოლის ეფექტურობაზე.

ხშირად ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები. შესწავლილი საქმეებიდან ვადის დარღვევით განხილულია 20,5%.

კვლავ არადაამკაყოფილებელია განაჩენების სტაბილობა, 1968 წელში და 1969 წლის პირველ კვარტალში გასაჩივრებული განაჩენებიდან გაუქმდა და შეიცვალა 16,7%.

ბრალდებულთა სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები ზოგჯერ არ ასრულებენ კანონისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 28 მარტის № 3 დადგენილების მოთხოვნას და წარმოებაში ღებულობენ ისეთ საქმეებს, რომლებზედაც წინასწარი გამოძიება არასრულადაა ჩატარებული, დანაშაული მთელი მოცულობით არ არის გახსნილი და არ არის გამოვლინებული მასში მონაწილე ყველა პირი.

არის შემთხვევები, როდესაც მყიდველთა მოტყუება დიდი ოდენობით, კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის პირველი ნაწილით, ნაცვლად ამავე მუხლის მე-2 ნაწილისა.

თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის 1 ნაწილით დასაჯა გ. ნ. გოგბერაშვილი, რომელმაც რაიკობერატივის სოფ. რუფოთის მაღაზიის გამგე-გამყიდველად მუშაობის პერიოდში მოტყუებით, გაზრდილ ფასად მიჰყიდა მოქალაქეებს საქონლის კომბინირებული საკვები და ამ გზით მიიღო გამოჩენა 128 მანეთისა და 12 კაპიკის რაოდენობით.

ზოგიერთი სასამართლო შეცდომით, მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშნად თვლის მყიდველთა მოტყუებისათვის ადრინდელ ნასამართლობას, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ მომხმარებლისათვის მოტყუებით 1 მანეთისა და 08 კაპიკის ზედმეტად გადახდევინებისათვის საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით დასაჯა ქ. თბილისის კვებვაპრობის № 11 მაღაზიის გამყიდველი ო. გ. დავთაძე იმ მოტივით, რომ იგი თითქმის ნასამართლევი იყო ანალოგიური დანაშაულისათვის,

თუმცა მას წინა ნასამართლობა სსრ სსკ 169 მუხლის ძალით მოხსნილი ქონდა.

ცალკეულ შემთხვევებში არასწორად წყდება იმ კერძო პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც გაუფორმებლად, მხოლოდ საეკროან საზოგადოებრივი კვების საწარმოს მუშაკთა თხოვნის საფუძველზე ახდენენ ხსენებული საწარმოდან მყიდველებზე საქონლის გაცემას და ამ მუშაკებთან წინასწარი შეთანხმებით ჩადიან მომხმარებელთა მოტყუებას, კერძოდ, შეინიშნება ისეთი ფაქტები, როდესაც აღნიშნულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქ. სსრ სსკ 153 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც საეკრო დარგის მუშაკები მოქალაქეებისაგან ფაქტიურად ქრთამს ღებულობენ მათთვის დეფიციტური საქონლის მიყიდვასთან დაკავშირებით და ასეთი მოქმედებანი შეცდომით კვალიფიცირდება როგორც მომხმარებელთა მოტყუება.

ჯერ კიდევ გვხვდება ჩანადენის შეუსაბამო, აშკარად ლმობიერი სასჯელის შეფარდების ფაქტები.


არასათანადოდ წარმოებს ბრძოლა მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ. ჯეროვან ღონეზე არ დგას დასჯით პრაქტიკა ქ. თბილისის 26 კომისრისა და ლენინის რაიონების, ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის და აფხაზეთის ასსრ რიგი რაიონების სასამართლოებში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონით სავალდებულოა მყიდველთა კვალიფიცირირების მოტყუების შემთხვევაში დამნაშავე პირთა მიმართ ისეთი დამატებითი სასჯელის გამოყენება, როგორც არის საეკრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა (საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილი), ცალკეული სასამართლო არ ასრულებს ამ მოთხოვნას და საერთოდ არ მსჯელობს აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის ხსენებული სასჯელის შეფარდებაზე.

აშკარად არასაკმარისია საქართველოს სსრ სსკ 29-ე მუხლზე მითითებით აღნიშნული დამატებითი სასჯელის გამოყენების შემთხვევები, საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის 1-ლი ნაწილით თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების დროს.

იშვიათია ქონების კონფისკაციის დანიშვნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გვხვდება თანამდებობის დაკავების უფლების უვადოდ ჩამორთმევის, აგრეთვე პირობითი მსჯავრის შეფარდებისას აღნიშნული სასჯელის უკანონოდ გამოყენების ცალკეული ფაქტები. ჯერ კიდევ სათანადო ღონეზე არ დგას ისეთ



პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების საკითხი, როგორცაა საქმეთა განხილვა დანაშაულის ჩადენის ადგილებზე, საზოგადოებრიობის მონაწილეობა საქმეთა განხილვისას, კერძო განჩინებების გამოტანა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს სასამართლოებს უზრუნველყონ მყიდველთა მოტყუების საქმეთა კანონის დაწესებულ ვადაში განხილვა და მკვეთრად გააუმჯობესონ ამ საქმეთა განხილვის ხარისხი.

2. ბრალდებულთა სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოებმა უფრო მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი და არ დაუშვან შემთხვევა ისეთ საქმეთა წარმოებაში მიღებისა, რომლებზედაც გამოძიება სრულყოფილად არ არის ჩატარებული, კერძოდ, არ არის გამოვლინებული აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი, მთელი მოცულობით არ არის გამოაშკარავებული დანაშაული ან ადგილი აქვს კანონის სხვა დარღვევას, რომლის გამოსწორება შეუძლებელია სამსჯავრო გამოძიებით.

3. სასამართლოებმა ზუსტად დაიცვან კანონისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 28 მარტის № 3 დადგენილების მე-6 პუნქტის მოთხოვნა და აღმოფხვრან პრაქტიკიდან დამამძიმებელ გარემოებებში მყიდველთა მოტყუების საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის პირველი ნაწილით ან პირიქით დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი მოტყუების საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირების შემთხვევები.

4. განემარტონ სასამართლოებს:

ა) მყიდველთა მოტყუებისათვის ადრინდელი სასამართლობა მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს მიჩნეული მოცემული დანაშაულის მაკვალიფიცირებულ ნიშნად, თუ იგი მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის.

ბ) სწორად იქნას მიჩნეული სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლებიც მყიდველთა მოტყუებას 100 მანეთის ფარგლებში და ზევით როგორც წესი განიხილავენ დიდი რაოდენობით მოტყუებად.

გ) მყიდველთა მოტყუება იმ პირთა მიერ, რომლებიც შრომით ურთიერთობაში არ იმყოფებიან სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოსთან, მაგრამ აღნიშნული საწარმოს თანამშრომელთა შეთანხმებით ახდენენ საქონლის რეალიზაციას და დანაშაულს ჩადიან ამ თანამშრომლებთან შეთანხმებით, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს საქ. სსრ სსკ 169 მუხლის მიხედვით.


უკეთეს ხსენებული პირები მყიდველებს ატყუებენ დამოუკიდებლად, საწარმოს მუშაკებთან შეთანხმების გარეშე, მათ პასუხი უნდა აგონ საქ. სსრ სსკ 153 მუხლით.

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სავაჭრო დარგის მუშაკთა მიერ დეფაქტურის საქონლის მიყიდვას მომხმარებლებისათვის და ამასთან დაკავშირებით მყიდველებისაგან ამ უკანასკნელთა თანხმობით გასამრჯელოს მიღებას, ხსენებულ პირთა მოქმედებანი დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც მექრთამეობა.

5. პლენუმი კვლავ მიაქცევს სასამართლოების ყურადღებას იმაზე, რომ მყიდველთა მოტყუება ატარებს მომეტებული საშიშროების ხასიათს და რომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის განსაზღვრის დროს.

საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრის დადების შემთხვევაში სასამართლოებმა ზუსტად უნდა იხელმძღვანელონ კანონის მოთხოვნით დამნაშავე პირებისათვის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის აუცილებლობის შესახებ და არ დაუშვან ამ სასჯელის დაუსაბუთებლად არ გამოყენების შემთხვევები, ამავე დროს იქონიონ მსჯელობა მსჯავრდებულის ქონების კონფისკაციის თაობაზე.

სასამართლოებმა სსკ 29 მუხლის შესაბამისად უნდა იმსჯელონ დამნაშავე პირებისათვის სავაჭრო საზოგადოებრივ საწარმოებში თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვაზე, როგორც დამატებითი ღონისძიების გამოყენებაზე, იმ შემთხვევაშიც, როცა დამნაშავე პირებს სსკ 169 მუხლის პირველი ნაწილით ევარდებათ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაოები.



6. სასამართლოებმა განუხრელად შეასრუ-
ლონ საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუ-
მის 1968 წლის 28 მარტის № 3 დადგენილების
მოთხოვნა და აღნიშნული კატეგორიის საქმე-
ები უფრო ხშირად განიხილონ დანაშაულის ჩა-
დენის ადგილებზე, საზოგადოებრიობის ფართო
მონაწილეობით, ამასთანავე უზრუნველყონ სამ-
სჯავრო გამოძიების ისე ჩატარება, რომ გამო-
ამკარავებელი იქნეს დანაშაულის ჩადენის

ხელშემწყობი მიზეზები და პირობები და ყველა
საჭირო შემთხვევაში გააკეთონ რეაგირება კერ-
ძო განჩინებების გამოტანით ან სათანადო ორ-
განობში წარდგინებების შეტანით.

საქართველოს სსრ სისხლის სამ. საპრ. კოდ.
324 მუხლის შესაბამისად სასამართლოებმა გა-
მამტყუნებელი განაჩენის დადგენისას განიხი-
ლონ საკითხი მისი სათანადო კოლექტივში
დაყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მანისუბაძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მესხინაძე**



პეხგანვ VI სემეკვირქეო კენონი

დ. ფურცელაძე

განტანვ VI რქულმდებლის სახელი ფართო და ნყოფიერი სყოლიფიკაციო მოღვაწეობამ დაუქვიდრა. ამასთანავე სამართლის წიგნთა კრებულისა და „დასტურლამალის“ გარდა მისი საქანონმდებლო მექვიდრობა ერთ სხვა, თუმცა კერძო საქითხისადმი მიძღვნილს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან აქტსაც შეიცავს. ეს არის 1722 წლის სიგელი თბილისის მოსახლეობისადმი მექვიდრობის წესის შეცვლისა და ერთ-ერთი გამოსაღებისაგან განთავისუფლების თაობაზე, რომელიც XVIII საუკუნეში ჩამოყალიბებულთ ე. წ. „საკუთრების საქალაქო წესის“ სათავდაც კი ითვლება¹.

ამ კანონს ჩვენს ლიტერატურაში ხშირად იხსენიებენ, მაგრამ ვერ ითქმის, რომ იურიდიული თვალსაზრისით იგი მთლიანად იყო ამოხსნილი. მისი გავების შემდგომი დახვეწისათვის, ვგონებთ, უსარგებლო არ იქნება ზოგი მოსაზრება, რაც სიგლის ტექსტის დაკვირვებისა და შინაარსის ისტორიულ-სამართლებრივი განხილვის შედეგად იხადება.

1722 წლის სიგლის დედანი, სამწუხაროდ, არ მოგვებოვება, ჩვენამდე მოღწეული ორი პირი კი ზოგ რამეში განსხვავებულია.

საბუთის ერთი პირი, ვთქვათ A, საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება², მეორე კი, B, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს ეკუთვნის (Sd-2938). A პირი 1819 წლის ახლო ხანს არის გადაღებული (კვირინისის მიხედვით ქალაღი ამ წლისაა), როგორც გამოცემულები აღნიშნავენ, „რუსეთის უზრუნავი ხელისუფლების განკარგულებით“; ბოლოში მას უფრო ბაცი მეღნით და თითქოს სხვა ხელითაც აწერია: „ასლთან (ძვ. ასლი=დედანს. მამსაღამე, დედანთარო. მაგრამ შესაძლოა თვითონ თავდედანი, ე. ი. კანონის ავთენტური ტექსტი კი არ იგულისხმებოდეს, არამედ მისი პირივე, რომლიდანაც

ახლო ეს ახალი პირი გადაწერილა) სწორ არს“, რასაც ხელმოწერა მოსდევს. არ ეტყობა, რომ ეს პირი დახელოვნებულ მწიგნობარს გადაეწეროს: არ არის ნახმარი ძველი ასოები, არც სასვენი ნიშნები; მეტად არსებით ადგილს გამორჩენილი უნდა იყოს სიტყვა „ძე“ (ამაზე ქვემოთ), გვხვდება გადაწერის სხვა შეცდომებიც, მაგალითად, — „...იავრევენიო საქონენი და საჭურჭლენი თქვენი...“, „...თქვენი სამსახური ვითარცა ლაპარაკით აღანთეთ და ვითარც თველი პატოხისანი წინაშე ჩვენსა განათლეთ...“ და სხვა.

B პირი უფრო გვიანდელია; გადაწერის ხელი და მართლწერა, თხელი თეთრი ქალაღი ზემო მარჯვენა კუთხეში დამკდეული პატარა საქარხნო მარკით და, რაც მთავარია, წარმომავლობა დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკიდან³ გვაფიქრებინებს, რომ იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარზე აღრინდელი არ უნდა იყოს. მასში ძველი ნიშნებისაგან ნახმარია მარტო ქარი, თუმცა არა ყველგან („მელ“ სიტყვა ერთგან მაინც „ხელ“— აღ სწერია; აგრეთვე — „ობრება“); გამოყენებულია პუნქტუაცია; აქ თავის ადგილას ებოულობთ „ძე“-ს; A პირის ზემოთე აღნიშნული შეცდომები არ არის: „იავარჰვენიო...“ და „...ვითარცა ლამპარი აღანთეთ... განანათლეთ...“ და სხვა. ამ ნუსხას თავში აწერია „კოპია“, ხოლო ბოლოში ლურჯი ფანქრით გადახაზულია: „ასლთან თანასწორ არს. სოვენიო კაბიტანი თავადი თეიმურას ბაგრატიონი“. მას, ისევე როგორც მასთან ერთად აკინძულ სხვა საბუთებსაც, დ. ბაქრაძის ნამუშევრობის კვალი ატყვია; მრავალი ადგილი ხაზგასმულია წითელი მეღნით, ზოგი — მანამდე ფანქრით; კიდებზე არის ქართული და რუსული მინაწერები ამონიშვნითი და განმარტებითი ხასიათისა და სხვა.

ძნელი სათქმელია თავდედნიდან არის გადაწერილი ეს ნუსხები თუ პირის პირებია, არც

1 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მეღიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატანი, საქართველოს ისტორია, I...დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 332. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 224.
2 ფ. 1450, დავთ. 24, საბ. 14. იგი გამოქვეყნებულია: დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის... I, შეადგ. ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა, 1962, საბ. 105; აგრეთვე, რირითადად ამ პუბლიკაციის მიხედვით, — ქართული სამართლის ძეგლები, II... გამოსცა ი. დოლიძემ, 1965, საბ. 99.
3 დოკუმ. თბილ. ისტორ: ლაპარაკით.
4 Sd-2938 აკინძულია. მრავალ სხვა საბუთთან ერთად და დაცულია ყღაში, რომლის იარღიესაც აწერია: „№ 5162 ...ღმი. ზაქარ. ბაქრაძე. კრებული ქართული საბუთებისა...“

ერთი მათგანი ამის გასარკვევად საიმედო საბუთს არ იძლევა. მაგრამ ასეა თუ ისე ჩვენთვის საინტერესო საკითხები, სახელდობრ ვის და რა წყალობა უბოძა ვახტანგ VI, ორივე ნუსხის შეპირისპირებით უნდა გაირკვეს.

პირველი გარემოების გამო ორივე პირის ტექსტი არსებითად ერთნაირია: „...ესე წყალობის წიგნი და სიგელი... გიბოძეთ თქვენ... მკვიდრ-სა ტფილისისა მს< > ხლობელთა მოქალაქეთა, კელერთბირ დიდებულთა ვაჭართა, ქეთხულათა, სომეხთა და ქართველთა, უფროსთა და მცირეთა...“⁵ თუმცა XVI და XVII საუკუნეთა მიჯნაზე მოქალაქეობა თბილისს მკვიდრად მაცხოვრებელთა მალაღი, სავანებო დავთარში

A9

„...ესე წყალობა გიყავით, — რომელი პირველთაგან გედვით და აწ აღმოგიკვეთია: [1] თუ ქალაქში (ე. ი. თბილისში). — დ. ფ.) კაცნი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს [ძე] და არცა ასული, იმისი საქონელი, სახლი, კარი და აგარაკი, მამული და მიწა-წყალი, ვინც იმისი ვარისი გამოჩნდეს, იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ხელი არა გვაქვს და ვერც ვინ ჩვენი მოსაქმე მიედევებს; [2] არც სათათრო-სამტყ< > ეო გამოგერთმეოდეს...“

ამრიგად ვახტანგ VI „აღმოუკვეთია“ ის, რაც თბილისელებს მანამდე „სდებიათ“ და ამძიმებდათ: ა) ბეითალმანობის გავრცობილობა და ბ) სათათრო გამოსაღებთაგანი. საეჭვო არ არის, რომ სიგელში ნამდვილად ორ შედეგათზეა ლაპარაკი, რადგან მემკვიდრეობისა და სათათრო გამოსაღებთა დაკავშირების ცდა უნაყოფო იქნებოდა.

XVIII საუკუნეში ჩვენ ვიცით სათათრო საური, იგივე ფეშქაში, სათათრო მალი და სათათრო ულუფა. ორი უკანასკნელი კარგა ხნით აღრე, უბრალოდ მალისა და ულუფის თუ სურსათის სახით, უკვე ქართულ ადგილობრივ გადასახადებად არის ქცეული და გარდა ამისა

აღრიცხული, პრივილეგიური ფენის სახლობელთა, პრივილეგიური ფენის სახლობელთა, ვეფქრობთ აქ „მკვიდრსა ტფილისის მს< > ხლობელთა მოქალაქეთა“ უფრო ფართო აზრით არის ნახმარი; მომდევნო „ველერთბირ... უფროსთა და მცირეთა“ „მოქალაქეთა“—ს გახსნას უნდა წარმოადგენდეს და სწორედ ამაზე მიუთითებდეს, მით უფრო რომ საკუთრივ მოქალაქენი ხარისხებად არ იყოფოდნენ; მთავარი უთუოდ თბილისის მკვიდრობა (დომიცილიუზობა) იქნებოდა. ასე გულისხმობენ, ეტყობა, შ. მესხია და ი. დოლიძე⁶.

წყალობის რაობისათვის ორივე პირის ტექსტს მოვიტანთ.

B9

„...ესე წყალობა გიყავით, რომელი პირველთაგან გედვით და აწ აღმოგიკვეთათა თუ ქალაქში კაცი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს ძე და არცა ასული, იმისი საქონელი, სახლი კარი და აგარაკი, მამული და მიწა-წყალი ვინც იმისი ვარისი გამოჩნდეს იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ქელი არა გვაქვს და ვერც ვინ ჩვენი მოსაქმე მიედევება, არც სათათრო-სამტყვეო გამოგერთმეოდეს...“

ისინი და სატყვეო სულ სხვადასხვა არსისაა. სამაგიეროდ საური უშუალო კავშირშია ფეშქაშად ტყვეების მირთმევასთან. მაგრამ „დასტურლამალი“ ადგენდა, „ქალაქის სატყუეოს ხარჯისა ასე არის. ქალაქ[ს] საური და ტყვის ხარჯი არ აძეს“—ო. მაშ რაღა „აღმოგიკვეთათ“ ქალაქელებს? უნდა ვიფიქროთ ის, რაზედაც იქვე ნათქვამია, „მაგრამ როდესაც ბედნიერის კელმშიფის (ირანის შაჰის. — დ. ფ.) ფეშქაშა (საურით გაწყობილს. — დ. ფ.) გაისტუმრებენ, ვინც ქალაქში სახლობენ, ასი თუმანი ბატონს უნდა შეაწიონ“¹⁰—ო.

ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ეს საგადასახადო შედეგატი, არამედ ცვლილება სამემკვიდრეო სამართალში. პირველი დაკვირვე-

⁵ ტექსტის გამართვისას, კერძოდ პუნქტუაციის მხრივაც, ვითვალისწინებთ პუბლიკაციებსაც. ხაზგასმა, < > და [] ჩვენია.


⁶ Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв., 1959, გვ. 169 — 171.

⁷ იქვე, გვ. 179.

⁸ იქვე, გვ. 315: ვახტანგ VI თბილისელ ვაჭარ-ხელოსნებისათვის სახიერო ახალი წესი დააკანონაო. ქართ. სამართლ. ძეგლ. II, საბ. 99; „...წყალობის წიგნი... ტფილისის მოსახლეობისადმი“; „...მოქალაქეთა ხელ ერთბირ...“ (ხაზგასმა პუბლიკაციისა). ნ. აგრეთვე ქვემოთ „დასტურლამალის“ ციტატი: „...ვინც ქალაქში სახლობენ...“.

⁹ A გამართულია ორივე პირისა და პუბლიკაციების გათვალისწინებით; B შედარებისათვის დატოვებულია ხელუხლებლად. ხაზგასმა ჩვენია.

¹⁰ ქართ. სამართლ. ძეგლ. II, გვ. 282. ნ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში..., 1958, გვ. 242—246, 248, 253, 265.



ბიფე ყურადღებას იპყრობს განსხვავება მე-მეკვირეთა წრეებს შორის, რაც ბეითალმანობას განაპირობებს. A-ში გვაქვს: „თუ არ დარჩეს და, არცა ასული“, B-ში კი — „თუ არ დარჩეს ძე და არცა ასული“, ე. ი. აქ „და“ კავშირად გვევლინება და მას წინ უძღვის „ძე“; საფიქრებელია დედანში ასეც იყო და A-ში „ძე“ ვადამწერს გამორჩენილს.

მოვსინჯოთ ჯერ A რედაქციის საბუთიანობა. ასულის კანონისმიერი მემკვიდრეობა, მეტ-ნაკლებდ ფარგლებში და ამა თუ იმ სახით, მოულოდნელი არ არის. მას იცნობდა რომის სამართალი, ასევე კანონიკური და ბიზანტიურიც.¹¹ ჩვენში ასულის მემკვიდრეობა დამოწმებულია VIII—IX საუკუნეებისათვის მინც.¹² თუ შემდგომი ხანის სამართლის წიგნებში (ბექასა და აღბუღასთან, გიორგი V) ცხადად გამოსახულ სამისო კვალს ვერ ვპოულობთ, შესაბამის ნორმებს შეიცავს ვახტანგ VI „სამართალი“ (მუხ. 110, 145, 203, 248, 257) და მისი კრებულის უცხოური სამართლებიც, ბერძნული (მუხ. 277, 279—281) და სომხური (მუხ. 1, 4, 13, 89, 90, 151, 152, 251—254, 330, 331)¹³. დაბოლოს, ერეკლე II ანდერძი მიუთითებს, ერეკლესავე და თეიმურაზ II განწყობებს ბეითალ-

მან მამულზე დარჩენილი ქვრივისა და ასულის სარჩოს თაობაზე¹⁴, ხოლო „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“ ითვალისწინებს ასულის მემკვიდრეობას¹⁵.

სხვაგვარია სამემკვიდრეო უფლების მხრივ დის მდგომარეობა. მართალია, რომისა და ბიზანტიის სამართლით შორეულ მემკვიდრეებში ისიც არის¹⁶, მაგრამ ვახტანგის კრებულის სომხური სამართლის გარდა (მუხ. 1, 2, 13, 89, 251), და თუ ბერძნულის 282-ე მუხლის „სხვა ნათესავს“ არ ჩავთვლით, არც ერთ მოტიანილ წყაროში დას მემკვიდრედ ვერ ვხვდავთ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებიდან“ ცნობილი შემთხვევა, როცა გიორგი ჩორჩანელმა, რომელიც „შეილთაგან ოქერ და უქმ იყო“, თავისი ქონება „...დასა მისსა შექვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთუხა“... (IX საუკუნე: ხაზგასმა ჩვენია),¹⁷ გულისხმობს ანდერძს¹⁸ დისწულების სასარგებლოდ და „შევედრება“¹⁹, ნიშნავს სამკვიდროს მიბარებას დასაცავად მემკვიდრეთა დასაკებამდე თავის დისა, ხოლო მათი დედისათვის, როგორც მეურვისა თუ მზრუნველისათვის²⁰.

ამრიგად, ცოტა არ იყოს უცნაურად გამოი-

¹¹ И. А. Покровский, Лекции по истории римского права, 1905, გვ. 255—258. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1929, გვ. 377. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 157.

¹² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. თხზ., II, გვ. 376, 378. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მოტიანილ ადგილში — „და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგენი მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა“ (ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V—X სს).. ილია აბულაძის ხელმძღვ. და რედაქც., 1963, გვ. 263; ხაზგასმა ჩვენია). ეს „დაუტევეს“ ანდერძს ხომ არ გულისხმობს? ნ. გ. ნადარეიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 159.

¹³ ქართ. სამართლ. ძეგლ. I... გამოსცა ი. დოლიძემ, 1963. შემდეგაც ვახტანგ VI „სამართალი“ და მისი კრებულის სხვა ნაწილები მითითებულია ამ გამოცემით.

¹⁴ ქართ. სამართლ. ძეგლ., II, საბ. 142, მუხ. 47.

¹⁵ ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, 1960, მუხ. 31—33, 36.

¹⁶ И. А. Покровский, დასახ. თხზ., 255—258. გ. ნადარეიშვილი, დასახ. თხზ., 157.

¹⁷ ძვ. ქართ. ავთოგრ. ლიტერ. ძეგლები, I... გვ. 339. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. თხზ., II, გვ. 378—379.

¹⁸ ნ. იქვე, გვ. 388, 392.

¹⁹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV₁ და უ, 1965-1966, ნ. შევედრება, ვედრი. ნ. ანალოგიური ანდერძი დისწულებისათვის — საქართ. სიძვ., ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, 1909, საბ. 7—XIV ს.

²⁰ ნ. აგრეთვე ქართ. სამართლ. ძეგლ., II, საბ. 42 [წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ურდოელისადმი] (1438 წ.): „...თქუნენ, ურდოელმან... რასცა მქონებელნი ხართ, მითა ყულათა თქუნენი შეილი სუმბატ პატრონსა დედოფალსა უანდერძით და შევედრეთ. და როგორცა მათისა შემოვედრებულსა და ანდერძსა მართებს, აგრე სამკვიდროდ ჰქონდეს თქუნენსა შვილსა სუმბატს და მისთა შვილთა...“ (ხაზგასმა ჩვენია).

შ. მესხიას მიერ მოტიანილ 1799 საბუთში ნათქვამი, ქალაქის რიგით და სამართლითაც ძმის ბეითალმანი დას უფრო ერგებოდა და ამიტომ მას ვუბოძეთო (დასახ. თხზ., გვ. 320), დის ძველთაგანს სამემკვიდრეო უფლებაზე კი არ მოწმობს, არამედ უფრო ვახტანგ VI 1772 წლის სიგლით შემოდებული ახალი წესის მოქმედებაზე. ნ. ქვემოთ.

ქართული
ისტორია

ყურება უშორესთაგანი მემკვიდრის, დის, ამოყენება ასულის, ერთ-ერთი უახლოესი უფლებამონაცვლის, გვერდით და თანაც მისით დაწყება ბეითალმანობის ზღვარისა. ამით, სხვა არა იყო რა, ირღვევა, როგორც ვნახეთ, საკმაო საბუთის გარეშე, ბუნებრივი და ტრადიციული საკანონმდებლო ფორმულა, რომელიც ჩვეულებრივ ასეთია ხოლმე: „თუ კაცი ამოვარდეს და ვაჟიშვილი არ დარჩეს, და ქალი დარჩეს...“ (ვახტანგის „სამართალი“, მუხ. 145), „...კაცი მიიცივალოს, რომე არც დარჩეს ვაჟი და არც ქალი...“, „...თუ ვისაც არც დარჩეს ვაჟი და არც ქალი...“ (სამართალი სამხური, მუხ. 151, 252), „რომელიც... გარდაიცვლებოდა, არ დარჩებოდა ვაჟი ანუ ქალი...“ (ჩვეულ. სკუტნი, მუხ. 31).

ყველა ამის გამო, ჩვენი აზრით, უბირატესობა B-ს რედაქციას („...თუ არ დარჩეს ძე და არცა ასული...“) უნდა მიეცეს.

მავსადამე, თბილისის მკვიდრის ქონება, თუ იგი უშვილოდ გადაეგებოდა, ბეითალმანად ითვლებოდა, ე. ი. მოქმედებდა ვახტანგ VI „სამართლის“ დებულება, რომ, თუ ვაყრილი „...უშვილოდ მოკვდა... ძმები და ბიძაშვილები გერას მოედავებიან და ვერც არას შეუფულენ... მისი მამული ქელმწიფისა არის, ვისაც უნდა უბოძებს“ (მუხ. 113)²¹. გაუყრელი ოჯახისათვის, რა თქმა უნდა, ბეითალმანობის საკითხი იმდენად მწვავე არ იყო და ვახტანგის „სამართლის“ აღნიშნული მუხლითაც განაყარი სასლიკაცო, თუ ვისმე შეგეთვისებოდა, „...ვისთანაც მოკუდების, მისი მამული და ქონება მას დარჩების“.

1722 წლის სიგელს ის სიახლე შემოაქვს, რომ უშვილობის დროს სამკვიდროს პრეტენდენტად შეიძლება „ვარასი“ (A) თუ „ვარისი“ (B) წარმოედგინოს. ეს სიტყვა ჯერ კიდევ დ. ბაქრაძეს კალმის შეცდომად, დამახინჯებულ „გვარის“-ად მიუჩნევია; მას B პირის კიდზე მიუყვრია: „ამოწყვეტილის კაცის მამული. და ძე არცა ქალი დარჩეს ამის გვარის კაცისათვის გვიბოძებია ჩვენ ხელი არა გვაქვს“. ასევე ესმით საქმის ვითარება თ. ჟორდანიასა და გ. ნადარეიშვილის შ. მესხიას „ვარასი“, „ვარისი“ გაგებულნი აქვს ნათესავად («родственникам»)²².

მაგრამ დ. ჩუბინაშვილის (საბასთან ვარისი არის) ქართულ-რუსული ლექსიკონის (1887) ახსნა: „ვარისი, ს. ვეჟილი, მოსაქმე, поверенный, агент“ არც ერთ აღნიშნულ გაგებას არ უდგება და მემკვიდრეობის საკითხს საერთოდ არ უკავშირდება; თუნდა ითქვას აგრეთვე, რომ ლექსიკოლოგი თავისი განმარტების წყაროს არ უთითებებს²³. „ვარასი“, „ვარისი“ კი გვხვდება XVII-XVIII საუკუნეებისა და XIX საუკუნის დასაწყისის სხვა საბუთებშიც და თანაც სწორედ სამემკვიდრეო საკითხების გამო. 1769 წლის მოხსენებაში ერეკლე II-ისადმი ვკითხულობთ: „...ქ. გორჯახში და გოვპარ მდივანი სახლზედ რომ ცილობენ, იმისი ჰალიდათის (საქმის ვითარების)²⁴. — დ. ფ.) მოხსენება გეძიანთ. ქ. ეს სახლები ქელმწიფის ყმა ასლანისა არის, თითონ უძეოდ ამოვარდნილა და... ვალი დარჩომია, ეს სახლები უნდა გასყიდულყიდო და ამ ვალებში, როგორც ქალაქის რიგი არის, ისე მისცემოდა. ქ. რათვან გოვპარ მდივანი იმისი მოყვარე არის... ქელმწიფისათვის მოუხსენებია და ქელმწიფის მელიქ მამასახლისზე ოქმი უბოძებია, როგორც ქალაქის განწესება არის, ისე ვარიგონ... გოვპარ მდივანმა მოინდომა, ჩემი მოყვარის სახლებს მე ვიყიდო... ეს სახლები გოვპარ მდივანს დანებდა და გოვპარ მდივანმა... თავისი სახლი სხვაგან დაავირავა და ამ სახლს ვალებში მისცა და თამასუქები დაიხსნა... ქ. გოვპარ მდივანი ამ მიზეზით ეჭიდება: ჩემი მოყვარისა არისო. ქ. მეორე... ქელმწიფის ოქმი მე მაქვსო, რომ იმისი ვარასი მე ვარო. ქ. მესამე მოქალაქე ვარო და მოქალაქის სახლი მე მერგებო... ქ. ქალაქის განწესება ეს არის: ვინც მამულში მეტს ფასს ვაიღებს, იმას ერგება, მეტად ამისთანა სახლისა, რომ ვალი ბევრი არის... ქ. მეორეც რომ მოქალაქის სახლი მოქალაქემ უნდა იყიდოს და ქელმწიფის სამსახური იმიო გასწიოს...“²⁵ ეს საბუთი „ვარასის“ მნიშვნელობის გარდა სხვაფრივაც საყურადღებოა ვახტანგ VI დადგენილების გასაგებად, მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი ვიტყვი თ მხოლოდ, რომ მოტანილ კერძო შემთხვევაში „ვარასი“ გვეხატება უფლებამონაცვლე მოყვარედ და არა


²¹ ნ. აგრეთვე ი. ფუტყარაძე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, 1964—ვანჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, მუხ. 9.

²² ქრონიკები... შეკრებილი... თ. ჟორდანიას მიერ, III... გამოსაც. მოამზ. გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, 1967, გვ. 82-83. გ. ნადარეიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 164—166. III. А. Мес-хиа, დასახ. თხზ., გვ. 315.

²³ ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში რუსული თარგმანითურთ“ (1961) სულ განუ-მარტავია: [ვარისი].

²⁴ ი. დლიძე, ვახტანგის სამართლის წიგნის ერთი ადგილის აღდგენისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1967, 4.

²⁵ ნაქართველოს სიძველენი, III, 1910, საბ. 509.



ლექიდ ნათესავად და მისი ეს მდგომარეობა მეფის ოქმით დასტურდება.

მ. ბერძინიშვილი დ. ჩუბინაშვილივით განმარტავს, „**ვარისი...** ვეპილი, მოსაქმე; რწმუნებული საქმეში“—²⁶ და ოთხ საბუთს მიუთითებს, მაგრამ მათგან სამი მინც ასეთ მნიშვნელობას არ ეთანხმება. ორში ლაპარაკია ვალის გადახდაზე დეპიტორის სიკვდილის შემდეგ მისი „**ვარისების**“ (=უფლებამონაცვლებების) მიერ. 1776 წლის პირობის წიგნით მოქალაქე ზეინალ პეტრესიშვილი, რომელიც ტყვეობიდან გოგაა თუმანიშვილს დაუხსნია, გამოსყიდვისა და თბილისამდე ჩაყვანის ხარჯის უზრუნველსაყოფად, ვინცილობა გაზაში **სიკვდილი** შემთხვევდა, აქლევს მას გირაოდ სხვადასხვა ქონებას, „...მანამდინ შენს თერთს მოვაბარებდეს ჩემი **ვარისი ვინმე**“—²⁷. უცნობი პირის 1770-ანი წლებში ანგარიშის წიგნიდან ჩანს, რომ საბუთის პატრონის სხვაგან ყოფნაში **გარდაცვილია** დავითა ტერტერაშვილი, რომელზედაც მისი ვალი **ღარჩენილა**; „**როდესაც მოველ, — წერს იგი, — ამ თვრამეტს თუმანზედ ილაპარაკეს ავთანდილ მწერალმა, თომამ, ფრიდონამ და სხვათ დავითას ვარისებმა**, ფიცით და ცოდვის მოკიდებით მკითხეს (ეტყობა საქმე სასამართლოში **გარჩეულა**...— დ. ფ.), ამ დავითას წერილშიაც აცხადებს და სწორედ გამოვედით“...—²⁸. მესამე საბუთში „**ვარისის**“ მნიშვნელობა ასე ცხადი არ არის, მაგრამ აქაც ეს ტერმინი, უეჭველია, სამემკვიდრეო ურთიერთობას ეხება; ამასთანავე ირკვევა, რომ იგი იხმარებოდა თბილისის გარეთაც, ამჯერად გორის სამდივანბეგო განსჯადობის თავადაზნაურობის საქმეებ-

შიც. 1805 წელს „გლახაკი ანა“ სასამართლოს მიმართავს: „უფალო გორის მოსამართლენო, დიანბეგო დავით ბეგთაბეგ... გორს რომ ხელი მომაწერინეთ და **ვარისი გამომართვით** (სამემკვიდრეო საბუთი? რწმუნებული არ უნდა იყოს — შდრ. ქვემოთ მაზლისა და თავის კაცებზე და სავანელზე. — დ. ფ.), ერთს თვეზედ რაც ჩვენი ყმა იყო სრულებით გაყავითო და **ზარათები** (გაყრისა. — დ. ფ.) აქ ჩამოგვიტანეთო, ესეც გვიბრძანეთ, **საჭირნახულოს მანდ** გამოგიგზავნითო... (ამას მოსდევს საქმაოდ მრავალრიცხოვანი ყმის გაყოფისა და ამასთან დაკავშირებული უკმაყოფილებების ამბავი, სხვათა შორის არის): ...გავგზავნე რამაზ სავანელი. (მ)თას იქით(ი) სულ გ(ა)ეყოთ... (ბოლოს ნათქვამია:) თუ უსამართლო არ(ა) დამემართარა, ქალაქს (ე. ი. თბილისს. — დ. ფ.) წათ წავალ. თუ უსამართლო დამემ(ა)რ(ა)თა, მე რომ არ ვიჩივლო, ჩემი **შვილი** იჩივლებს... აღარ(ა) არის რა, ოცი კომლი თუ იქნება გასაყოფი (დანარჩენი უკვე გაუყვიათ. — დ. ფ.). ჩემს **მაზლს** კაცი უბოძეთ, **ჩემს კაცსაც** გ(ა)სლებ, გენებოსთ მანდ გაყავით, გენებოსთ აქ გაყონ“—²⁹.

ვარისი (და არა ვარასი) ქართული როდია; მისი გამოვლინებული მნიშვნელობა დასტურდება არაბულში, სპარსულსა და თურქულში: არაბულად **ვარის** მემკვიდრეა, ხოლო **ვარასა** ნიშნავს ანდერძებას, მემკვიდრედ დადგენას; სამხედ-დინ-სამი-ბეის თურქულ ლექსიკონში **ვარის** განმარტებულია გარდაცვილის ქონების

²⁶ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები, შეადგინა **მამისა ბერძინიშვილმა**, 1957, ნ. ლექსიკონში.

²⁷ იქვე, II... მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა **ნ. ბერძინიშვილმა**, 1953, საბ. 77.

²⁸ იქვე, III, საბ. 209.

²⁹ იქვე, საბ. 269 (ეს „გლახაკი ანა“ აბაშიძის ქვრივი ხომ არ არის, რომელიც თავის მახლებს ელავებოდა — იქვე, საბ. 264). **ვარისსა** თუ **ვარასზე** მემკვიდრეობა-მემკვიდრის აზრით ნ. აგრეთვე დოკუმ. თბილ. ისტორ., მგ. ნასყიდობის წიგნები: 53 („...თუ ვინმე ...წამოდღავოს ...ანა კაცმან, ანა დღეაკაცმან, ჩვენისა **სახლისმა ვარისმან** და **მეყვისმან**, ან ჩვენის **გვარისსა** და **ნათესავმან**...“), 74 („...მოგყიდე ჩემი ჯალაბის ანახანტუის წილი ქეზხანა... თავისი მამის **ვარასია**, რომ... მამისაგან დანარჩომია...“), 78 („...არავინ შემოგეცლოს... **ჩვენის სახლის ვარისმან**, არც **ქალისამან** და არც **კაცისა**...“).

მ. ბერძინიშვილისაგან მითვთებული მეოთხე საბუთი (მასალ. საქართვ. ეკონომ. ისტორ., II, 292—1815 წლის თამასუქი) ასეთივე მტკიცე დასკვნის შესაძლებლობას არ იძლევა („...როდესაც ეს... თეთრი მოითხოვო, ტერჯულად მოვაბარო ან მე, ან ჩემ(მა) **ვარისმა** თქვენ, ან თქვენს **ვარის(ს)ა**...), მით უფრო რომ მომეტებულად მსგავსი კონტექსტით გვეხვდება სხვა ტერმინიც: **ურდნო, ურდუნო, ურდუნა** (იქვე, საბ. 144, 145, 157, 174, 237, 284, 303, 310, 313) — მ. ბერძინიშვილის განმარტებით (დასახ. გამოცემა, დანართი... ლექსიკონი...), „დაქვემდებარებული პირნი (?)“—³⁰. კერძოდ 237-ე საბუთი გვაფიქრებინებს, რომ „**ურდუნობა**“ „**სრული ვეპილობის**“ საპირისპიროა და უნდა აღნიშნავდეს რწმუნებულუბას ცალკეული დავალების გამო. მაგრამ ამას შემდეგი გამოკვლევა სჭირდება.

მიმდებარე ღვიძლი ნათესაობის საფუძველზე ანდა ანდერძით³⁰.

რათა უკეთ გავერკვეთ, თუ რა არის 1722 წლის ნოველის არსი და აგრეთვე როგორ ესმით მემკვიდრეობის კალაქური წესი ლიტერატურაში, საჭიროა გავთავალისწინებელი გვექონდეს საერთოდ მემკვიდრეობისა და, კერძოდ, ქვრივის, ასულისა და დის სამემკვიდრეო უფლებათა ძირითადი დებულებანი ვანტანგ VI დროს მეტ-ნაკლები ძალის მქონე სამართლის წიგნებში, რამდენადაც მათ წინამორბედი განვითარების შედეგი უნდა აესახათ და ასე თუ ისე მომავალი პრაქტიკის ჩამოყალიბებაც განესაზღვროთ.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბაგრატ კურაპალატისეულ ნაწილში (XI ს.) მემკვიდრეობად გამოცხადებულია მამრობითი დაღმავალნი (მუხ. 156 და 153—155-იც), მაგრამ, როგორც ეტყობა, მემკვიდრედ უნდა ვიგულისხმობთ აგრეთვე ძმა (ახნაურის მკვლელი 3 წლით „...მამულიანაგან გაიყენოს და მამული მკვდრს[ა] ძმას[ა] აქუნდეს, ნუ ამოსწყუთენ“—ო—მუხ.150) და თვითონ ბექასთან მაინც (XIV ს.), — ახლო სახლიკაციც („თუ ძმამან ძმა ანუ მეყვისი გააძოს და მამულიანაგან გააბუზროს... როდესაც-ღა შინა მოვიდეს... ვითარცა მართებს, მამული-სა ეგრევე მოსაქმე იყოს“—მუხ. 48; მეყვისი= „თუ ძმამან ძმა მოკლას, ერთსახლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაუყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი...“ — მუხ. 22; შრდ. აგრეთვე ქვემოთ გიორგი V ძეგლის დაღება, მუხ. 7, 9). 156-ე მუხელს საყურადღებო გარემოებანი გვამცნობს: „თუ მამა-შვილინი გაიყარნენ შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლები, ამისვის რომე, რა მამა მოკუდების, მამულსა შვილსა არაგინ ეცილები, მან სხუა მთიგოს მამის სიკუდილამდის“³¹. შვილის უფლებამონაცვლეობის გარდა მემკვიდრეობა, ჩანს, და ამას შემდეგშიც ვნახავთ, გაუყრელ სახლს გულისხმობდა. გაყრა, შესაძლოა, მამის სამემკვიდრეო უფლებასაც კი ზღუდავდა. ბექასა და აღბუღას სამართლით უშვილო ქვრივის ქმრის სამკვიდროში წილი არ უძევს, შვილიანს ეკუთვნის „სასაქონლო“ (ე. ი. მოძრავი ქონება) და „სამამულეცა“ ასრე, რომე ნუცა რას გაუყი-

დის, ნუცა რას გაუცემს“ მემკვიდრეობა შვილებს (მუხ. 81, აგრეთვე 82; შრდ. ქვემოთ სამართალი ბერძელი, მუხ. 286). ქალს, ასულს, მამის ქონებიდან, ეტყობა, გამზიოვება ეკუთვნოდა (მუხ. 82; დაქვრივებული დედის მზიოვებაც ხომ მას მიპყვება)³².

გიორგი V ძეგლის დაღებითაც (XIV ს.) უპირველესი მემკვიდრე, მამულისაცა და „ნასყიდისაც“, შვილია (მუხ. 16), მაგრამ აქაც სამკვიდრო გაუყრელ სახლში რჩება: ძმის მკვლელი „...ათს წელიწადს მამულიდამ გაიძოს და მამული სასეფოვო დაიდვას“ (როცა, ეტყობა, სხვა ძმა თუ სახლიკაცი არ არის — შრდ. ზემოთ ბექასა და აღბუღას სამართალი, მუხ. 150); ამ ვადის განვლის შემდეგ „დარბაზის“ ნებართვით დაბრუნებულ გაძევებულს, „...რასაც გუარის იყო, იმ წესით სისხლი დაეურვოს და მამული ებოძოს“; თუ მოკლულს „...შვილი არ დარჩეს, არც მისი მოახლე გაუყოფელი...“ (მკვლელმა. — დ. ფ.) ძმის სისხლისათვის ნახევარი მამული მისი სულისათვის წაავოს და ნახევარი... სასეფოვო დაიდვას... იგი ნახევარი სისხლი, მისის სულისათვის გაჩენილი, მას მიეცეს, ვინც მისი მეყვისი (აქ განაყარი. — დ. ფ.) დარჩეს, — სულისათვის სასაურვოდ“ (მუხ. 17); ამრიგად, გაუყარი სახლიკაცის უყოლობის დროს ქონება ბეითალმანია და მასზედ კანონმდებელი ადგენს: „ბეითალმანად რაც პარტახტი ღმამული დარჩეს, რომე მემამულე აღარ მიანდეს, თუ მისის გუარის კაცინ გამოჩნდენ“ (შრდ. ვახტანგის სიგელში: „ვარისი გამოჩნდეს“. — დ. ფ.) ერთგუარნი, და რომელნიმე უფროსნი (უფრო ახლო. — დ. ფ.) მეყვისნი და მოსამართლენი იყვნენ, ჭირსა და ლხინში უფრო თანამდგომნი ყოფილ იყვნენ, — მათ ებოძოს, ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქუეყანასა“ (თუ ესეთებიც არ აღმოჩნდებოდნენ, სამკვიდრო სულ უტხოს ეწყალობებოდა; მუხ. 28). იმის წარბოზადგენს, თუ ვინ უნდა ვიგულისხმობთ გაუყარ „მოახლეთა“ თუ „მეყვისთა“ წრეში, გვაძლევს ამავე ძეგლის ორი შემდეგი მუხლის ერთობლივად დაკვირვება: „7. თუ ვინ ქვეისბერის კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შინა მოახლე, ერთსახლის კაცი, მოკლან — მამა, ბიძა, ძმა, ბიძახ-

³⁰ ამ კონსულტაციისათვის დიდ მადლობას მოვხსენებთ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს ც. აბულაძეს.

³¹ შრდ. გიორგი V ძეგლის დაღება, მუხ. 16; დაბერებულ, სამსახურის უნარდაკარგულ მამას რჩება ნასყიდი, შვილს—მამული. ასეთი წინააღმდეგობა ხანისა (XI და XIV საუკუნეები) ანდა სამოქმედო ადგილის (სამხრეთი საქართველო და აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთი) სტვობით ხომ არ არის განპირობებული?

³² ამასვე დასაყვის ბევრად აღრინდელი ხანისათვის ივ. ჯავახიშვილი — დასახ. თხზ., II, გვ. 378.

ძე, ძმისწული (ე. ი. მე-4 ხარისხამდე. — დ. ფ.), რა გინდა რა მისის გუარისა მისი მოახლე, — სისხლად... ექუსი ათასი თეთრი იყოს...“ და „9. და თუ ქვეისბერის განაყოფი და მისი გუარის კაცი მოკლას ვინმე, — თუ ძმაც იყოს ანუ სხუა რა გინდა რა მეყუსი იყოს, ქვეისბერის მოახლე იყოს განაყოფი, — განაყოფისა კაცისათვის სამი ათასი თეთრი სისხლის ფასად მისცეს...“ ქვირვის, ასულისა და დის მემკვიდრეობაზე გიორგი V ძეგლის დადგმაში ვერაფერს ვბოულობთ.

ვახტანგ VI „სამართლის“ 98-ე მუხლით მონაზულია გაუყრელი სახლის ჩვეულებრივი შეზღვევით, რომელიც არსებითად ემთხვევა გიორგი V ძეგლის დადგმის მე-7 მუხლის ჩამონათვალს. „უკეთუ ძმანი, ანუ მამაჰჲ-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი, ვეღარ მოთავსდენ და გაიყარენ“-ო, ნათქვამია ვახტანგთან და მერმე აღიარებულია გაუყრელობის უპირატესობა. მამასადამე, აქაც მემკვიდრეთა წრე, თუ „სხვა ნათესავს“ არ ვიანგარიშებთ, მოიცავს მამართლით დაღმავალი, აღმავალი და ელმოთითი³⁴ შტოების 4 ხარისხს (ნ. აგრეთვე მუხ. 107, 108, 113, 203, 204, 248, და 261-იც), მაგრამ განაყარს, როგორც ზემორეც ვნახეთ, „...ძმები და ბიძაშვილები ვერას... შეუტლენ... თუ... უშვილოდ ამოვარდა, მისი მამული ქელმწიფისა არის, ვისაც უნდა უბოძებს“ (ნ. განჩინებაც ბარისა და მთიურთა ადგილთა, მუხ. 9). ამასთანავე, „თუ კაცი ამოვარდეს და აღარა დარჩეს რა, რაც საქონელი დარჩეს, მალიგორად უნდა, — რამდენიც მოვალე იყოს, ისრე გაიყონ (ე. ი. კონკურსით. — დ. ფ.)... და სხვა მკუდრის სულს უნდა მოეკმაროს. მაგრამე საქართველოს რიგით ბატონიც წაიდებს“ (მუხ. 137; შტრ. ქვემოთ სამართალი ბერძული, მუხ. 288). ქვირვის მემკვიდრეობა მეტად შეზღუდულია. მხოლოდ შვილიანს, მართალია, კიდევ რომ დახოცოდეს შვილები, „...თუ არ უნდოდეს (გათხოვება. — დ. ფ.), თავის ომლებთან იყოს.“ (მუხ 203), ანდა „...თუ სახლში დადგების... ისრე თავის პატივით იყოს“ (მუხ. 231;

შტრ. ქვემოთ სამართალი სომხური, მუხ. 46). სხვა ვითარებაში ქვირვი „...სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს. და თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი არის, მისი მესამედი სამკუდროდ³⁵ გაყუენ... მამულს გარდა. თუ ქმრის სახლში გაუყარი კაცი არა ჰყავს, საქონელს თავის ბატონის მეტი ვერაფერ შეეცილებს.“ (მუხ. 231; ნ. აგრეთვე მუხ. 248: „ვისაც უმა ამოუარდეს... მისი საქონელი ბატონს უფრო ეტყუეს. თუ ცოლი და ქალი დარჩება, სამკვიდროთი და შესანახავით შეიჭროს...“ ქვირვი); ომლებთან დარჩენილ შვირებს „...მამულისა გასყიდვა და შეწირვა არ შეუძლია...“ (მუხ. 232; შტრ. ზემოთ ბექასა და აღბუღას სამართალი, მუხ. 81, ხოლო ქვემოთ — სამართალი ბერძული, მუხ. 286). ამრიგად, ქვირვის ქმრის წილი საქონლისა და სულადის, და არა მამულის, მესამედის მეტი არაფერი ერგება. რაც შეეხება ქალის, ასულის, სამემკვიდრეო უფლებას, იგი, ეტყობა, ძირითადად მზითვეს არ სცილდებოდა (მუხ. 110, 145, 203); ეს დაისვენება 257-ე მუხლითაც, რომელიც განსაზღვრავს გაუთხოვარი ასულის უფლებებს უძმობის დროს. ასეთ ქალს მამის სახლში „ნახევარი საქონლისა“ მიეცემოდა, ოღონდ „...ჩვენს ქუეყანას მამულს არ მისცემენ“-ო, ხოლო გათხოვებისას კი უნდა გამოითვებულყო; ამავე დროს, თუ მან „...თავის ადგილზე ქარი შეერთოს. პატრონი ბევრს ნურას უკითხავს“ (მუხ. 257) და „...მამის სახლ-კარი, საქონელი, მამული იმ ქალს მიეცეს...“-ო (მუხ. 145; შტრ. ქვემოთ სამართალი სომხური, მუხ. 251)³⁶, ე. ი. მამულის პატრონის ინტერესით ოჯახი და მის მიერ გასაწევი სამსახური ხელუხლებელი რჩებოდა. დის მემკვიდრეობას არ იცნობს ვახტანგის „სამართალიც“ (მუხ. 146).

გავსინჯოთ ახლა სამემკვიდრეო სამართალი ვახტანგის კრებულის უცხოურ სამართლის წიგნებში. ბერძნული სამართალით მემკვიდრეები შემდეგ რიგზე ეწყობიან: 1. შვილები, ვაჟიც და ქალიც; 2. დედა-მამა, ძმა (იუსტინიანეს სისტემით — დაც.37); 3. „სხვა ნათესავი“ (იუსტინიანე-

³³ მამის მემკვიდრეობაზე ნ. გ. ნადარეიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 163—164.

³⁴ ე. ი. ვვერდითი ანუ „მგურდალი“, „ვევერდ-განმავალი“. ნ. ქართ. სამართლ. ძეგლ., II: საბ. 53, გვ. 143, 147 და სხვა; საბ. 54, გვ. 151 და სხვა.

³⁵ ქართ. სამართლ. ძეგლ. I, გვ. 541: სამკუდროდ. მაგრამ 248-ე მუხლში ცოლისავე სამემკვიდრეო წილზე ნათქვამია „სამკვიდრო“-ო. ასევე ნ. თ. ენუქიძის გამოც. — ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, მუხ. 231 B ნუსხით (ქუთაისის ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწ. № 201): სამარხი.

³⁶ ეს ძველთაგან უნდა მომდინარეობდეს. ნ. ივ. ჭავჭავაძე, დასახ. თხზ., II₂, გვ. 378. ქართული სამემკვიდრეო სამართლის მოტანილ ზოგად დებულებათა ძველთაგანობას უნდა მოწმობდეს ცნობები რ. ხარაძის წიგნში, „დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში“, 1939, თ. III.

³⁷ Римское частное право, 1948, გვ. 252.

ნეთი ხარისხის განუსაზღვრელად³⁸; 4. ქმარი თუ ცოლი (მუხ. 277, 282, აგრეთვე 278, 284, 287). ამრიგად, ცოლი ქმრის ქონებას მხოლოდ მაშინ იმკვიდრებს, თუ წინამორბედი ჯგუფის პირები არ არიან, მაგრამ უმზითველთაგან, ე. ი. შეძლებას მოკლებულთათვის, დაწესებულია შვილების თანაბარი წილი, და აგრეთვე უშვილთათვისაც, — უთუოდ სამემკვიდრეოდ მოწოდებული სხვა უფლებამონაცვლის წილისოდენივე³⁹; ეს კია, რომ შვილების პატრონს განკარგვის უფლება ეზღუდება, თავის წილს „...ნუ ხარჯავს, შეინახოს“—ო (მუხ. 286). არის ერთი დამატებაც, „ბძანება ათანასე პატრიარქისა“—ო, რომელიც აღწერილ წესს რამდენადმე ეწინააღმდეგება, ცოლის მემკვიდრეობას სულ უარყოფს და სამკვიდროს 3 ნაწილად ყოფს: „...რომელიცა უშვილოდ დაქუივდებინა... მიისის საქონლისაგან მესამედს იმ მკუდრის ნათესავს მისცენ, ერთი წილი მისის სულის მოსატყენებლად გასცენ და ერთი წილი მისი ბატონისა არის. მისმა ბატონმა... ნახევარი თვითონ დაიჭიროს და ნახევარი მონასტერსა, გლახასა და უღონოს მისცეს“ (მუხ. 288). ქალის წილი მამის ქონებაში, მართალია, მკვიდროდ არის დეკლარებული მზითველთან (თუ მშობლებმა გათხოვება-გამზითვება დაუბრუნეს და ის კი მათ სიტყვას არ დაჰყვა, „...განიპატიჯოს და უმკვიდრო იქმნას“—ო — მუხ. 294), მაგრამ გათხოვილს შეუძლიან სამკვიდროს გაყოფა მოითხოვოს, ოღონდ მიღებული მზითველი წილში ჩათვლება (მუხ. 279; შდრ. ქვემოთ სომხურ სამართალს, მუხ. 251).

ბერძნულის მსგავსია მემკვიდრეთა წრე სომხური სამართლით. „მიცვალოს როს მამა... არც დარჩეს ქალი და არც ვაჟი, შორეული ნათესავნი და ნათესავთა შვილნი ვერ ეპატრონენ; მამის ძმა და ძმა და შვილნი მათნი ეპატრონონ, დედანი და ცოლნი მათნი... სძებნონ წმინდით თესლით ნაყოფი. და რომელიც უფრო ახლო ეყოდეს, ის დაპატრონოს კელმწიფემ... თუ არ ყუანდეს და ამოვარდნოდეს ნათესავი, ახლო მეყუისი მამისა, წარდგეს ახლო ნათესავი დედისა... და ყუანდეს მამა ცოცხალი, არა მართებს ანდერძისა თქმა... შვილმან რაც მოიგოს... ვისთვისაც მამას უნდა, დარჩეს მას“ (მუხ. 4, ე. ი. სირიულ-რომაული სამართლისა; ნ. ავ-

რეთვე 143-ე მუხლში დედის ძმების მემკვიდრეობაზე). მხითარ გოშის სამართლით კი მემკვიდრეობა იზღუდება ძირითადად „ოთხი თაობით“ თუ „ოთხი ჭიბით“ და თანაც „მამეული“ ხაზით: „...შვილთა მართებს დაპატრონება... თუ არა ყუანდეს, ქალი დაპატრონდეს... თუ არც ქალი დარჩეს, დაპატრონდეს ძმა... თუ არ დარჩეს... ძმა... მამის ძმა დაპატრონდეს. და თუ არც იყოს მამის ძმა, სხვა რომელიც ახლო ნათესავი იყოს მამეული, ის დაპატრონდეს, არათუ დედეული — ქალისა (ე. ი. ასულისა. — დ. ფ.) მართა პატრონობა, არათუ ქალის ნათესაობით... სხვა სახლში ნათესავი ვინც იყოს, რიგით დასთავალონ ოთხ კიპამდი, იმათ გარდაკუთვით წილი არ დაეღვასო, გამოჩენით ვინც საპატრონოს დაპატრონდეს, მან უნდა შეინახოს, და თუ ოთხ კიპამდი საპატრონო არ ჩნდეს, მასუკან მოსამართლემ წილი ყაროს მათზე...“ (მუხ. 251) და „...თუ ვისაც არც დარჩეს ვაჟი და არც ქალი... ოთხ კიპამდი მიეცეს პატრონობა მამეულს ნათესავსა და არა დედეულსა“ (მუხ. 252. ნ. აგრეთვე მუხ. 152, 253, 331). თუმცა მე-4 მუხლი ქვრივს მემკვიდრედ ასახელებს, მაგრამ გოშის სამართლით მას უძეობისას და მამრობითი სქესის სხვა მემკვიდრეთა უყოლობის დროსაც კი მხოლოდ სავალდებულო წილი, „ერთი დანგი“, ერგება (ისევე როგორც დას — „დანგი“ და დედას — „სამი თასუ“ (მუხ. 251)⁴⁰; შეილიანზე ნათქვამია, „...სახლის პატივის ნახევარი მისცენ მას ქვრივსა. და თუ... გასულა მოინდომოს, გავიდეს ცარიელს“—ო (მუხ. 48). ქალს სამკვიდროს „დაპატრონება“, ე. ი. უნივერსალური უფლებამონაცვლეობა, ეკუთვნის მხოლოდ უძეობის შემთხვევაში⁴¹ და ისიც გაუთხოვარს, საერთოდ კი დას ძმის კერძის ნახევარი ერგება; გათხოვილს მიღებული მზითველი წილში ჩათვლება, ოღონდ თუ „...მოინდომოს მამის საპატრონო, და წავიდეს ქმრითა, შვილითა და მამის საპატრონოს დაჯდეს, — მისი შეიქნას“—ო. (მუხ. 251; ნ. აგრეთვე 89, 252, 330). სირიულ-რომაული სამართლით (მუხ. 1) ძმის შემდეგ, თუ მამა ცოცხალი აღარ არის, სხვა ძმებთან ერთად მემკვიდრეობენ დები და დედა (ნ. აგრეთვე მუხ. 89), მაგრამ მხითარ გოშის სამართლით

³⁸ Римское частное право, 1948, გვ. 252.

³⁹ შდრ. იქვე.

⁴⁰ ეს დანგები და თასუ შესაძლოა სამკვიდროს წილად ნაწილსაც გამოხატავდეს: ნ. Армянский судебный Мхитаря Гоша, 1954, II, მუხ. 65 სამკვიდროს გაყოფის წესზე, რომლითაც მთელი ქონება პირობითად მიღებულია 6 დანგად.

⁴¹ ნ. დოკუმ. თბილ. ისტორ. საბ. 255: მთელი ქონების გატანება მზითვად უძეო ოჯახს მიერ.



დას, როგორც ითქვა, სავალდებულო წილად 1 დანგი ეკუთვნის⁴²

ასეთი იყო კანონმდებლობის ვითარება, რომელშიც ვახტანგ VI 1722 წლის სიგელი გაიცა.

მემკვიდრეობის ქალაქურ წესს საკმაოდ დაწერილობით იხილავს შ. მესხია⁴³. მისი აზრით, ვახტანგ VI დიდი რამ ცვლილება არ მოუხდენია, მემკვიდრეებელ მარტო „ახლო ნათესავებს“, გარდაცვლილის, „ასევე მისი ცოლის“, და-ძმასა ვხედავთ, ამბობს იგი.⁴⁴ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ თვითონ ცოლის სამკვიდროს არ ვიგულისხმებთ, ე. ი. თუ ცოლის და-ძმა, ქმრის მოყვრები და არა ნათესავები, მის ქონებასაც მემკვიდრეობდნენ, მაშინ მოყვრის ეს სამემკვიდრეო უფლება, ზემორე მიმოხილვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან სახსრედ უნდა ჩაითვალოს; და გორჯასბ და გოვპარ მდივნების დავის საბუთში აკი ვნახეთ კიდევ, რომ მოყვარე მართლაც შეიძლებოდა ვარისი, ე. ი. უფლებამონაცვლე, გამხზარიყო (აზიზე ნ. აგრეთვე ქვემოთ ჩვეულ სჯულნი, მუხ. 34). გარდა ამისა ნათესაობაშიც მემკვიდრეთა წრე, რა თქმა უნდა, და-ძმით არ შემოიფარგლებოდა (ნ. ჩეულებითი სჯულნი, მუხ. 30). შ. მესხია იქვე გადმოგვცემს 1777 წლის საბუთს, რომელიც მოგვიტხრობს, რომ ახლმე მანუჩარი უცხოეთში გარდაცვლილა და ახლო ნათესავი არ ღარჩენია; სამკვიდრო ქონება, კერძოდ, სახლიც, როგორც ბეთალმანი, სამეფოდ დადებულია და ვალი ხაზინიდან გასტუმრებულა, ხოლო მერმე სახლი, მისი საფასური „ფეშქაშის“ მირთმევით, მანუჩარის, ეტყობა, განაყარ ძმისწულს რგებია. აქაც, ვფიქრობთ, მისაღებია მხედველობაში ორი არსებითი

გარემოება: ერთი, რომ მანუჩარი უცხოეთიდან არ დაბრუნებულა და მაშინდელი კანონით გადახვეწილის ქონების კონფისკაცია ხდებოდა⁴⁵; მეორე. — ვალის გადასახდელად გაწეული ხარჯის ანაზღაურება, ცხადია, ისედაც სამკვიდროს მიმდებს მოეთხოვებოდა⁴⁶. ხვითონ შ. მესხია აღნიშნავს, რომ სამკვიდროდან პირველად კრედიტორები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ (ნ. ზემოთაც ვახტანგის „სამართლის“ მუხ. 137), და ამდენად გასაგებია ბეთალმანის გაყიდვის წესიც, რომელზედაც იგი მიუთითებს. ავტორი უარყოფს (1751 წლის საბუთის საფუძველზე: ქმარ-შვილის სიკვდილის შემდეგ სახლი ბეთალმანად აღწერილა) ქვრივის მემკვიდრეობას, ხოლო გამონათქვამის მიხედვით, ქალაქის რიგითაც და სამართლითაც ძმის ბეთალმანი დას უფრო ერგებოდა (1799 წლის საბუთი), დის სამემკვიდრეო უფლებას ასკვნის. მაგრამ ქვრივის სავალდებულო სამემკვიდრეო წილს ვახტანგისავე „სამართალი“ ითვალისწინებდა (ნ. ზემოთ მუხ. 231) და შემდეგაც, უფრო გვიან, იგი სოფლდაც კი ძალაში ყოფილა, როგორც ამას კახეთისა და ქიზიყის სარგოს ერეკლესული განჩინებები მოწმობს; ამ განჩინებებით არათუ მარტო ქალი (ვახტანგის „სამართალი“, მუხ. 145, 257), არამედ ქვრივიც, თუ ისინი სამკვიდროზე დარჩენით გათხოვებოდნენ, უნივერსალური უფლებამონაცვლეები ხდებოდნენ⁴⁷. ქალაქად ბეთალმანის სამად გაყოფა (მიცვალებულის სულისათვის, სამეფოდ და ნათესავებისათვის), დამოწმებული 1779 და 1780 წლების საბუთებით, კერძოდ კი მესამედის მიცემა გათხოვილი ქვრივისა და გათხოვილი ქალისათვის⁴⁸, ძირითადად სავალდებულო წილ-

⁴² სომხურ სამემკვიდრეო სამართალზე ნ. საერთოდ მუხ. 1, 2, 4, 11—13, 48—51, 65, 70, 77, 89, 90, 99, 142, 143, 147, 151, 152, 251—254, 261, 330, 331, 334.

⁴³ შ. ა. მესხია, დასახ. თხზ. გვ. 313—321.

⁴⁴ იქვე, 315, შტრ. ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართვე. ისტორ., 1... 1958, გვ. 332.

⁴⁵ შ. ა. მესხია, დასახ. თხზ. გვ. 316.

⁴⁶ იქვე, გვ. 317, ნ. ვახტანგ VI „სამართალი“, მუხ. 139.

⁴⁷ ქართ. სამართლ. ძეგლ., II, საბ. 112: მუხ. 20 „...კაცი რომ ამოსწყდეს, არც ვაყი დარჩეს, არც ქალი და არც ქვრივი...“ (ასეთი რედაქცია მოწმობს გაყრილობის შორისწასულობას, სახლის დაშლას ინდივიდურ ოჯახებად) — „საქონლის“ 1/2 სამკვიდროდ, 1/2 სამეფოდ; მუხ. 21 „...თუ ქვრივი დარჩეს...“ — 1/2 სამკვიდროდ, 1/4 ქვრივს, 1/4 საბატონოდ, ხოლო „ქვრივმა თუ იმ მამულზედ ქმარი შეირთოს...“, კომლი კომლად რჩება, სამეფოდ არაფერია (ასეთივე წესი მოქმედებდა, ეტყობა, ქალაქადაც — ნ. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ...გამოსცა დავით ფურცელაძემ, 1964, მუხ. 159); მუხ. 22 „...თუ ქალი დარჩეს, მამულიც იმისია და საქონელიც, თუ სხვაგან არ გათხოვდა... (არადა. — დ. ფ.) საქონელი იმისია და მამული ბატონისა არის“; შტრ. იქვე, საბ. 161, მუხ. 10; ნ. საქართვე. სიძე. III, საბ. 160: მუხ. 14—16 სრულიად ემთხვევა 112-ე საბუთის მუხ. 20—22. სარგოს განჩინების მსგავსი წესები შემოღებულა საეკლესიო ყმა-მამულისთვისაც (ნ. Грузинские церковные гуджари... Составил Д. П. Пурцеладзе, 1881, стр. 16—18). შტრ. ზემოთ კერძოდ ვახტანგის „სამართლის“ მუხ. 137, 145, 203, 231, 257.

⁴⁸ შ. ა. მესხია, დასახ. თხზ. გვ. 317.



სვე უნდა ემყარებოდეს. ქვრივის სრული მემკვიდრეობა გამოწავლისად, მეფის საგანგებო განკარგულებით, და აგრეთვე ქალისა⁴⁹ (შდრ. ზემორე მიმოხილვაში, კერძოდ ვახტანგის „სამართალი“, მუხ. 146), ადგილი შესაძლებელია 1722 წლის სიგლის ვარისობაც ყოფილიყო⁵⁰.

გ. ნადარეიშვილს კარგად ეჭვს ნაჩვენებია სამემკვიდრეო წრის შევიწროების პროცესი, კეთილმოწინააღიანის თანდათან განთავისუფლება თანამოგვარე მემკვიდრეთა პრეტენზიებისაგან; იგი ნათლად აყალიბებს განვითარებას გვარის წევრთა ურთიერთმემკვიდრეობისაგან ადრეკლასობრივ საზოგადოებაში მემკვიდრეობის შემოფარგვლისაკენ წვრილი ოჯახის ძირითად ნათესაური წრით, ხრლო შემდგომ „სულ სხვა ახალ საფუძველზე“, „კერძო კაპიტალისტური საწყისების ჩასახვის“ კვალობაზე, — კვლავ სამემკვიდრეო უფლებათა გაფართოებისაკენ⁵¹.

მას, როგორც უკვე ითქვა „ვარისი“, „გვარის“ — აღ ეგულება და ამაში ხელდას ეგი მემკვიდრეთა წრის გაფართოებას ვახტანგის „სამართლის“ 113-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, რომლითაც განაყარ სახლიკაცს სამემკვიდრეო უფლება ადარა ჰქონდა. მემკვიდრეთა წრის გაფართოების თვალსაზრისით ასეთი გაგება ერთგვარად უახლოვდება „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოს ფორმულას: ნათესავი, „რაც არ უნდა შორეული ყოფილიყო იგი“ — (I, 1958, გვ. 332).

მაგრამ რატომა ჰგონია, გ. ნადარეიშვილს, რომ ვახტანგისეული ნოველა „ჩქარა მოიშალა“, სახელდობრ რომელ აქტსა თუ აქტებს გული-სხმობს, როცა ერეკლე II მიერ „ახალი „საქალაქო განწყობების შექმნა“-ზე ამბობს, ანდა რად ზღუდავს ამ განწყობების შინაარსს იმით, რომ, შ. მესხისამ მიერაც დამოწმებული წესით, „შორეულ ნათესავს“ „ბეთაღმანის“ მართა მესამედი ეძლეოდა, მესამედ-მესამედი კი სამეფოდ და სამკვიდროს დამტოვებლის „სულის მოსახსენებლად“ იყო განსაზღვრული, — ყველა ეს. ცოტა არ იყოს, გაურკვეველი რჩება, რადგან ავტორი XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც

„სისხლით ნათესავთა წრის გაფართოებულობასა“ და ამ გაფართოებული წრით „მთელი გვარის მოცულობასაც“ აღიარებს⁵².

თუ ერეკლეს დადგენილებებად ქალაქური სამემკვიდრეო წესის თაობაზე იმ განჩინებებს ვივულისხმებთ, რომლებითაც გადახვეწილი პირის ქონების უტყობიდან განკარგავა აღიკვეთებოდა და იგი მემკვიდრეობა (შდრ. ქვემოთ) არ გადადიოდა, არამედ სამეფოდ იღებოდა⁵³, ისინი სამემკვიდრეო სისტემის არსს არ ეხებოდა; არ ეხება მას, რასაკვირველია, ბეთაღმანის გაყიდვის წესიც, და არც მოქალაქის უპირატესი უფლება მოქალაქისავე ბეთაღმანის შექმნისა⁵⁴ ვარისობის გაგებისათვის არ გამოგვადგება აგრეთვე თეიმურაზ-ერეკლეს განწყობება ბეთაღმან მამულზე დარჩენილი ქვრივასულის სარჩოს თაობაზე.

როცა 1722 წლის სიგლის ვარისობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი ტექსტის გამოთქმა: „...ინც იმისი ვარისი გამოჩნდეს, იმისთვის გვიბოძებია...“ აქედან ნათლად ჩანს, რომ ვარისი სამკვიდროს ერთგვარად არაჩვეულებრივი პრეტენდენტია, მისი უფლება ყოველ ცალკე შემთხვევაში აღიარებას საჭიროებს, მას სამკვიდრო ებოძება ხოლმე. ეს ჩვენ ენახეთ გორჯას და გოვპარ მდივნების საბუთოში და იგივე გამომდინარეობს შ. მესხის მიერ მოტანილი საბუთებიდან (მაგალითად, მანუჩარის ძმისწულის შემთხვევა).

ხელისუფლების სამემკვიდრეო პოლიტიკას ქალაქად, გასაგებია, საფუძველად ედო, ერთი მხრივ, საშემოსავლო და „სამსახურის“ განუწყვეტლობა-სრულფასოვნების ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, სააღმშვიდობი-სახელისონო ბრუნვისათვის ხელის შეწყობის ამოცანა⁵⁵. ეს კარგადა მჭედანდება თუნდაც სამკვიდროს მისაღები „ფეშქაშის“ პრაქტიკით. ამასთან დაკავშირებით გასახსენებელია იოანე ბატონიშვილის „წინადადება“-ს ის ადგილი, რომელიც იჯარით გასაცემ სხვა საშემოსავლო წყაროებს შორის „ბეთაღმან“-სა და „ბეთაღმანი მამული[ს] გასამყარელო“-საც ითვალისწინებს (არსებობდა ხომ „მებეთაღმანის“ თანამდებობაც⁵⁶); შემდეგ იოანე

49 Ш. А. Месхиа, გვ. 320.

50 ასულისა და ქვრივის შესაძლებელი ვარისობის გამო, ნ. მასალ. საქართ. ეკონ. ისტორ., II, საბ. 179, და დოკუმ. თბილ. ისტორ., საბ. 74, აგრეთვე — ნ. ბერძენიშვილი, საქართ. ისტ. საკითხ., III, 1966, გვ. 237.

51 გ. ნადარეიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 164, 166.


52 იქვე, გვ. 164—167.

53 Ш. А. Месхиа, დასახ. თხზ., გვ. 316.

54 იქვე, გვ. 317.

55 იქვე, გვ. 321.

56 ქართ. სამართლ. ძეგლ., II, საბ. 113 [ბოდბლის მოხელეების რიგის განაჩენი ერეკლე II-ისა] (1761 წ.), მუხ. 3.



უანაგრობს, „...ოდეს უკანვე უბოძოს მეფემან თვისთა მონათესავეთა (ბეითალმანი მამული. — დ. ფ.), ესენი დავასდეს და თუმანწედ ათი შაუ-რი მეფეს მიერთოს წყალობის წიგნისათვის“-ო (ხაზგასმა ჩვენია)57.

მთელი წინამორბედი მსჯელობის დასასრულს, მით უფრო რაკი ქალაქური სამემკვიდრეო წესის შესახებ ერეკლესეული განჩინებები, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენთვის კონკრეტულად ცნობილი არ არის, უთუოდ არ შევცდებით, თუ დავასკვნით, რომ ვახტანგ VI 1722 სიგლით და შემდგომი დადგენილებებითა თუ პრაქტიკით ჩამოყალიბებული ვითარება ის უნდა იყოს, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს აღწერს „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“-თ აისახა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ, თუ თავდაზნაურობის სამემკვიდრეო სამართლის გამო ეს ძველი ვახტანგის „კანონს“ (ან მისი კრებულის სომხურ სამართალს, კერძოდ მუხ. 251, 253) მიუთითებს (მუხ. 31), საქალაქო მემკვიდრეობითი წესების განმსაზღვრელი ძირითადი მუხონი (34) შემდეგი სიტყვებით მთავრდება, „...როგორათაც ამი მუხლებთა შინა თქმულების თანახმად კიდევ იქონება მეფეთ წყალობის სიგელი“-ო (ხაზგასმა ჩვენია)58.

ჩვეულებითი სჯულნით სამემკვიდრეო სისტემა შემდეგია. აღიარებულია უფლებამონაცვლეთა ორი კატეგორია (აქ ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს მემკვიდრეთა რიგითობა, რომელიც „...მეტ-ნაკლებ სისხლის მიხედვით...“ განისაზღვრებოდა — მუხ. 33); ა) „მასლობელნი ნათესავნი“ ანუ „ახლო მონათესავნი“ „ოთხ თაობამდე“ (მუხ. 31, 32, აგრეთვე 33, 34; ნ. ზემოთაც)59; ბ) „უშორესი ნათესავნი“, „...რომელთა შორისცა დიდი ხნის დამორებით ერთმანერთში სჯულიერის კანონით მოყვრობა მოხდებოდა“, ე. ი. მეშვიდე ხარისხამდე (მუხ. 31, 34)60.

57 იოანე ბაგრატიონი, სჯულდება... გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, 1957, მუხ. 11.

58 ამ ადგილის რუსული ტექსტიდან: В сходственности же сих статей и тогда даваемые были и царския грамоты] о чем, по словам этих должностных лиц, имеется и царская грамота უფრო მართებული კავისშემდგომი რედაქცია უნდა იყოს.

59 ნ. სამართ. ბატონისშვ. დავითისაც, მუხ. C 36: ოთხი თაობის შემდეგ მეფისძე თავადად იწოდებო.

60 ნ. ქართ. სამართლ. ძეგ., II, საბ. 53, 54, 55; აგრეთვე — გ. ნაღარეიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 158—159.

61 ამ კატეგორიის სამემკვიდრეო უფლება რჩებოდა ემიგრანტის ქონებაზედაც მუხ. 35; შრდ. III. А. Месхиа, დასახ. თხზ., გვ. 316). ემიგრანტის ქონების კონფისკაცია რომ არც ისეთი უთუშცაო უნდა ყოფილიყო, ამას თითქმის დავით ბატონიშვილის „სამართლის“ 21-ი მუხლიც გვანიშნებს.

62 ქართ. სამართლ. ძეგლ., II, საბ. 142, მუხ. 47.

1-ელ კატეგორიას შეადგენდნენ შვილები (ვაჟი და ქალი) და გაუყრელი მამული მამრობითი ნათესავები — ძმა, ძმისწული, ბიძა, ბიძაშვილი (მუხ. 30—33; ქალაქად, ეტყობა, დედუღლიც — მუხ. 34, „მამეულ-დედეული“-ო)61.

მე-2 კატეგორიის პირნი — „უშორესი ნათესავნი“ — თავდაზნაურობაში მემკვიდრეები არ იყვნენ; ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ უპირატესი უფლებით ნათესავის ბეითალმანი მეფისაგან ჰბობებოდათ (მუხ. 31). ქალაქად ეს ჯგუფი მოიცავდა მოყვრებსაც: „...თუ არც შვილნი და არც მამეულ-დედეული ახლო მონათესავნი არ დარჩებოდა, მაშინ ქონებას მისცა იმისთანა მონათესავე და მოყვარე ვერ დაიმკვიდრებდა...“, რომელიც მე-7 ხარისხზედ შორს იქნებოდა (მუხ. 34).

თავდაზნაურობაში ქალს, ასულს, კანონისმიერ (1-ელი კატეგორიის) მემკვიდრეთა არსებობის დროს მხოლოდ მშობის პრეტენზია ეკუთვნოდა (მუხ. 30: „...რომელსაც დარჩომიყო ქალნი გაუზითავნი...“). ბეითალმანობის შემთხვევაში ქალსა, და ქვრივსაც, თეიმურაზ II-ერეკლე II განწესებით, „სარჩო“ (ამ „სარჩოს“ შინაარსის გამო ნ. ზემოთ) ერგებოდათ62. სამკვიდროს შენარჩუნებას ქალის მიერ ზედსიძეთა თუ ეშველებოდა (მუხ. 36).

ქალაქად ბეითალმანობას ხელს უშლიდა შემდეგი ორი გარემოება: ა) ზედსიძეობა, როცა მემკვიდრედ მართო ქალიდა დარჩებოდა (მუხ. 32, 36); ბ) მე-2 კატეგორიის მემკვიდრეთა არსებობა (მუხ. 34).

როცა 1-ელი კატეგორიიდან მემკვიდრეობის მომთხოვნი მხოლოდ გათხოვილი ქალი იყო, სამკვიდროს დამტოვებლის „მონაღვაწი“ მთლიანად მასზე გადადიოდა, „წინაპართაგან დაშთომილი ქონება“ კი გაიყოფოდა მასა და, რა თქმა უნდა, შორეულ „მონათესავეთ“ შორის; ნაწილი, თუ საამისო ანდერძი იქნებოდა, გადადიე-

ბოდა გარდაცვლილის „სულის მოსახმარისად“ (მუხ. 33).

ქვრივს, თუ სახლიდან წასვლას არ აპირებდა, მისი ინტერესების დასაცავად ეძლეოდა უფლება ეწვილა ვინმე 1-ელი კატეგორიის მემკვიდრეთაგან და მათინ ისა ხდებოდა მთელი სამკვიდროს პატრონი (მუხ. 32).

სრული ბეითალმანობის დროს, ე. ი. მე-2 კატეგორიის მემკვიდრეთა უყოლობის შემთხვევაში, ქონება, უთუოდ მოძრავი და უძრავიდან მხოლოდ კეთილმონაგარი, სამად იყოფოდა: $\frac{1}{3}$ სამეფოდ იყო განკუთვნილი, მაგრამ საქველმოქმედო მიზნებისთვის კი — „სამადლო დასახარჯავათ“; $\frac{1}{3}$ „საზოგადოების სასარგებლო დასახარჯავათ“ ქალაქის „მოხელის“ (უნდა

ვიფიქროთ. მელიქ-მამასახლისის. — დ. ფ.) და ქეთხუდების“ (თავკაცების) ხელით; $\frac{1}{3}$ — გარდაცვლილის სულის მოსახმარისად“ (მუხ. 34; შდრ. ზემოთ).

ყველა შემთხვევაში სამკვიდროდან ჯერ ვალეზი უნდა გასტუმრებულყო (მუხ. 33, 35).

მოხაზული სურათი საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ვახტანგ VI 1722 წლის სიგლის ვარისობა გულისხმობდა ჩართვას მემკვიდრეთა წრეში განაჯარი ნათესავებისა და მოყვრებისაც მე-7 ხარისხამდე. ვარისად, იწოდებოდა ამ წრის პირთაგანი, რომელიც, რაკი 1-ელი კატეგორიის მემკვიდრე არავინ იყო, სამკვიდრო ქონების „დამკვიდრების“ პრეტენზიას განაცხადებდა.

ქალის უფლებრივი მდგომარეობა ზეოლაურ სოციალურში

პ. ნაღარკვიანი

V—VII ს. საქართველოში ისევე, როგორც იმ დროის სპარსეთსა და რომში ქალის უფლებრივი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. ამას ადასტურებს V საუკუნის ქართველი მწერლის იაკობ ცურტაველის თხზულება — „შუშანიკის მარტილობა“, ისტორიკოს ჭუანჭუჭყაძის თხზულება — „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ და სხვა.

„შუშანიკის მარტილობის“ მიხედვით ქალი მამაკაცის ბატონობით სარგებლობდა სხვადასხვა სახის უფლებების მქონე უფლებს ატარებდა. გამოირჩეული არ არის რომ ვარსკენის მეთაურ — შუშანიკი, — რომელსაც სპარსეთის მამიკონიანის ასული ქმარს ურვადის მეშვეობით ჰყოლიდა ნაყიდი. იუსტინიანეს ნოველების მიხედვით რომში არსებობდა მემკვიდრეობის აღიარებული წესი და საცოლის ყიდვის ჩვეულება.

ამ დროს რომში და საქართველოში მშობლის ინსტიტუტი არ უნდა ყოფილიყო განვითარებული და ქალის ქონებრივი უფლებებიც მტკად შეზღუდული იქნებოდა. ეს იწვევდა მის უფლებებთან აგრეთვე პირადი ურთიერთობის საკითხებშიც. ამას ადასტურებს „შუშანიკის მარტილობაც“, რომლის მიხედვითაც ქმარი ცოლის შეუზღუდველ ბატონად წარმოგვიდგება. ქმარი ცოლს ცემს, საპყრობილეში ამწყვდევს და ა. შ. ერთი სიტყვით, მას დაახლოებით ისეთი ხელისუფლება გააჩნდა ცოლის მიმართ, როგორც ბატონს მონის მიმართ.

ამ დროისათვის ქალი მიჩნეულია არასრულწლოვან, არასრულწლოვანი არსებად. იგი ნაწილობრივ სამართლის ობიექტია — ნივთია, ნაწილობრივ კი სუბიექტია — პირი.

ქართველ ისტორიკოსს — ჭუანჭუჭყაძეს აღწერილი აქვს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობათა ისტორია. ერთ-ერთი ლაშქრობის წინ ვახტანგ მეფეს ასეთი შინაარსის ანდერძი დაუტოვებია: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი სუარანძე შეირთოს მირიანს“¹...

თვით მეფეთა და დიდებულთა წრეშიც შეხამებული ყოფილა ე. წ. ანდერძით ქორწინება.

ქალი უნდა გათხოვდეს ოჯახის უფროსის მიერ დატოვებული ანდერძის მიხედვით.


ანდერძით ქორწინება კარგად არის ცნობილი ძველ სამყაროში.

ანდერძით ქორწინება მდგომარეობდა იმაში, რომ მშობელი ან ქმარი ტოვებდა ანდერძს, რომლითაც ავალდებულებდა ქალიშვილს თუ ცოლს, გათხოვილიყო მონადერძისათვის სასურველ პირს ვინააზრებდა. მაგალითად, ათენში მამას შეეძლო ანდერძში აღენიშნა, თუ ვისზე უნდა გათხოვილიყო მისი ქალიშვილი. მამის ანდერძი კი ქალიშვილს უყოყმანოდ უნდა შეესრულებინა. ასევე ქმარს შეეძლო ანდერძით სხვაზე გაეთხოვებინა თავისი ცოლი. როგორც პლუტარქე მოგვითხრობს ვარდაცვალების წინ დემოსტენეს მამამ თავისი ცოლი ანდერძით გაათხოვა ერთ-ერთ ახლო მეგობარზე. ასევე მოქცეულან პერიკლე და ბანკირი სოკრატეც². ქართული „ამირანიანის“ მიხედვით გვირმა ცამცემმა ასეთი ანდერძი დატოვა: „ვინც მე მომივლის, დამმარხავს ცოლიც, რაშიც ალალ მისი“-ო. ამ ნაწყვეტიდან აშკარად ჩანს შეხედულება ქალზე, როგორც ნივთზე, რომელიც რაშთან ერთად შეიძლება ანდერძით გასხვისდეს.

ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტილობა“, რომელშიც აღწერილია VI საუკუნის ამბები, ნაჩვენებია ბატონობით ქართულ ოჯახში მამის განუსაზღვრელი ხელისუფლება. მამას შვილების მიმართ სიკვდილ-სიცოცხლის უფლებაც კი გააჩნდა. ცხადია, ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ქალის უფლებრივი მდგომარეობა სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო.

V—VII საუკუნეებში ქართული ფეოდალური საზოგადოება შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. VIII—X საუკუნეებში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიმჩნევა მტკად მნიშვნელოვანი პროგრესი, მაგალითად, ბასილი ზარზმელის თხზულებაში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც IX—X სა-

¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955 წ. ტომი I, გვ. 151.
² Плутарх. Избранные биографии. М.-Л. 1941, стр. 94.



უკუნეების სამცხის სოციალური ურთიერთობის სწორ სურათს გვაძლევს, მოჩანს განვითარებული ფეოდალური საზოგადოება. ამ ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ წარჩინებულთა წარსულში ქალს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება ჰქონია...

IX საუკუნის საქართველოში მშითვის ინსტიტუტი საკმაოდ განვითარებული სახით არსებობს. ეს კი დიდი მნიშვნელობის ფაქტია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვევისათვის. ქალი უკვე ნივთი არ არის, იგი პიროვნებაა. ამერიდან ქალი შემოდის ქმრის სახლში „იმ სფეროთი გარემოცული რომელშიც ბატონობს მისი თავისუფალი ნება და, რომელშიც გამოიხატება მისი დამოუკიდებლობა. მშითვეი არის ქალის პიროვნება გამოხატული გარესამყაროში. ცნობილია, რომ აღმოსავლეთს ჰქონდა ურვათი, მაგრამ მან ვერ შეძლო მშითვემდე ამაღლებულიყო“³.

ქართველ შთელთა ნაწილში ურვათის არსებობის ფაქტის დადასტურება XIX საუკუნეში ვაგაულისხმებინებს, რომ შორეულ ისტორიულ წარსულში საქართველოშიც უნდა ყოფილიყო ეს ინსტიტუტი.

შუა ფეოდალიზმის ეპოქაში (X—XIII სს.) საქართველოში მშითვის ინსტიტუტი ისე განვითარებულა, რომ არა მარტო მოძრავი, არამედ ხშირად უძრავი ქონებაც (მიწა) შეიძლებოდა მშითვად მიეცათ ქალისათვის. ცხადია, ასეთი რამ უმთავრესად შეიძლებოდა მომხდარიყო წარჩინებულთა შორის.

ჟამთააღმწერლის ცნობით რუსუდანის ასულს თამარს მშითვად გაატანეს აწყვერი — მთელი სენიორია⁴. მიწა, როგორც მშითვეი დადასტურებულია დავით აღმაშენებლის მიერ არიშანთან დმი ბოძებულ წყალობის წიგნში⁵, შიო მღვიმის მონასტრის XIII საუკუნის სიგელში⁶, გრიგოლ ბაკურიანის ცნობილ ტიპიკონში⁷ და ა. შ.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, ფეოდალთა წრის და სამეფო საგვარეულოს ქალებს მემკვიდრეობის უფლება გააჩნდათ არამარტო სამოქალაქო სამართლის ხაზით. ამ


დროს ქალებს ვხედავთ სამეფო ტახტზე, სენიორიების მფლობელებად და სხვა.

მეფე ქალი საოჯახო ურთიერთობის სფეროში მამაკაცის უფლებების მქონეა. მას უფლება აქვს, თუ ქმარი უღალატებს, გააძევოს იგი. განქორწინებისას მეფე ქალი მამაკაცის უფლებებით სარგებლობს. მეფე ქალების ქმრებს საკუთარი გვარის — ახალი დინასტიის დამკვიდრების უფლება აღკვეთილი ჰქონიათ. ღაშაგიორგი თამარის ძედ იყო ცნობილი, დავით ნარინი რუსუდანის ძედ⁸.

ცხადია, ამ დროს ყველა ქალი არ სარგებლობდა ისეთი ფართო მასშტაბის უფლებებით, როგორც მეფე-მთავართა და დიდებულ აზნაურთა წრის ქალები. ამასთანავე აღსანიშნავია, თვით უშუალოდ მწარმოებელთა შორისაც ქალები უფრო მეტი უფლებებით ჩანან აღჭურვილი, ვიდრე ფეოდალური აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ისლამი ბატონობდა.

VIII—IX საუკუნეებიდან მოყოლებული გაბატონებულ-წოდებთა ქალი საკმაოდ გარკვეულ სფეროში ჩანს ქმედობაუნარიან სუბიექტად. ამაზე ჩვენამდე საკმაო რაოდენობით მოღწეულია იურიდიული დოკუმენტები. მაგალითად, XI საუკუნის დოკუმენტის — ნიკორწმინდის „დაწერილის“ მიხედვით ქალი — ნასრატხა ასული ყიდის გლეხს, რომელიც მისთვის მამამთილს მიუცია ხელწერილით. მომდევნო საუკუნეებიდანაც მრავალი დოკუმენტი გვაქვს, რომელთა მიხედვითაც ქალები თავისუფლად განაგებენ თავიანთ უძრავ და მოძრავ ქონებას, ყიდიან, მონასტრის წირავენ და სხვა. ცხადია, ქალს პრინციპში შეეძლო ზვარის, ხოლბაუნის და საერთოდ ყველა სახის ქონების შექმნა-განსხვსება. ჩვენ მივაკვლიეთ ამის დამადასტურებელ ათეულობით დოკუმენტს⁹ სამოქალაქო ურთიერთობის ყველა სფეროში. ქალის მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით გასარკვევია ქალის პროცესუალური უფლება და ქმედობაუნარიანობა. VIII—XVIII საუკუნეების ნარატიულ წყაროებში, დოკუმენტებსა და საკანონმდებლო ძეგლებში ამ საკითხზე ნათელი და ამომწურავი პასუხის პოვნა ჭირს. ფეოდა-

³ Н. Иванищев. Сочинения. Киев. 1876, стр. 90—91.
⁴ ქართლის ცხოვრება, ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 172.
⁵ ი. ცინცაძე, დავით მეფის სიგელი, საქართველოს არქივი, 1927, წიგნი II, გვ. 16.
⁶ ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა. 1896 საბ. № 60.
⁷ გრიგოლ ბაკურიანი, ტიპიკონი, ლუეენი. 1954.
⁸ ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1956, გვ. 140.
⁹ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი № 1451, დავთარი № 1, საბ. № 43, დავთარი № 1, ფურცელი 59, ფონდი № 1450, დავთარი 13, საბუთი № 97 და სხვ.



ულური სამართლის წიგნები არ იძლევიან მთელი მოქმედი სამართლის სრულ სურათს. დაწერილი სამართალი ივსებოდა დაუწერელი ჩვეულებებით სამართლის ნორმებით და სასამართლო პრეცედენტით.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით „თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი აქვს, სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა, მაგრამ მისის ენით მოადს არც ფიცი დაედება, არც არა წყართმის, თუ კაცს დაიმოწმებს. მცდარი არის. თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში ხელი არა აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს“.10. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის ქართული „სჯულის“ მიხედვით ქალს, რომელიც მამაკაცს უჩივის შეუძლია სასამართლოში მისვლა და მოსამართლე ვალდებულია მოუსმინოს მას. მაგრამ ქალის მოთხოვნით მოპასუხეს არ შეიძლება ფიცი დაეკისროს. ქალის მიერ მოწმედ დასახელებული მამაკაცის დაფიცებაც აკრძალულია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოდავე ქალია, მაშინაც თითქმის „მოთემემ“ უნდა გადაწყვიტოს საქმე და არა მდივანბეგების სასამართლომ. თუ კანონმდებელი „დედაკაცში“ დაბალი წოდების ქალს არ გულისხმობს, მაშინ სასამართლო პრაქტიკა მხარს არ უჭერს საკანონმდებლო ნორმას. ჩვენამდე მოღწეული პირველადი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ქალების საჩივარს მდივანბეგების სასამართლო — საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებაც არჩევდა. ზოგჯერ დარჩენილი დოკუმენტი თითონ გამოდიოდა მსაჯულად. დოკუმენტებიდან არა ჩანს, რომ ქალის პროცესუალური უფლებების დაცვა და ქმედობის დაცვა სერიოზულად ყოფილიყო შეზღუდული. როგორც ჩანს, XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკამ მთლიანად არ გაიზარა ვახტანგის სამართლის წიგნის 216-ე მუხლის დებულებები.

ქართული სამართლის ნორმებით ქალის უცილობელ საკუთრებას ოჯახში შეადგენდა მშობევი, ნიშანი, პირისანახავი და საკუთარი გარჯილობით შეძენილი ქონება. ნიშნის და განსაკუთრებით კი პირისანახავის და მშობის ინსტიტუტის არსებობა გვიჩვენებს, რომ ქალს საქართველოში ისეთივე მაღალი მდგომარეობა ჰქონდა ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორც ამ დროს ბიზანტიისა და ზოგიერთი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქალებს.

საქართველოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობა ხასიათდებოდა ქონებრივი განცალკევებულობის რეჟიმით. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით „პირის ახსანი და

პირის სანახავი არს მტკიცე და უმსა ვაჭრისა სახლისკაცთა თანა არა ჩავარდება წილში“. გაყრის დროს, ვალში ოჯახის ქონებაზე გადაღვივების მიტკევის დროს ქალის ინტერესები კანონით დაცული იყო და მის პირად ქონებას ხელს არ ახლებდნენ.

დიდებულთა წრეში მშობევი, ნიშანი და პირისანახავი მნიშვნელოვან ქონებრივ მასას წარმოადგენდა. მაგალითად, მეფე ერეკლე მეორემ თავის რძალს ციციშვილის ქალს პირისანახავად მიართვა გირდა ძვირფასი ნივთებისა (ოქრო, მარგალიტი, — იმ დროს ას თუმნათ ღირებული იაგუნდებით მორთული ამბარჯა) ზეთის სახდელი ქარხანა, მტკვრის ხიდის გადაღმა და მრავალი სხვა. გიორგი XII-მ თავის რძალს დავით ბატონიშვილის მეუღლეს პირისანახავად მიართვა როსტომ მეფისაგან აშენებული ქარვასლა, სოფელი გურჯაანი სახსო ყმებითა და მამულებით. პირისანახავის ობიექტად შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე ყმაგლეხები და სხვა.

შუა საუკუნეების საქართველოში ნაშობივი, ნასისხლი და ნასყიდი ქონება, როგორც წესი. მოუდევარ ქონებად ითვლებოდა. თვით სახელმწიფო ხელისუფლებაც კი თავს იკავებდა ხსენებული სახეობის ქონებრივი მასის მოუდევრობის დარღვევისაგან. ხელუხლებელი და მოუდევარი იყო მშობევი მშობლების მხრიდანაც. ზოგიერთი მცირე გამოხატვის გარდა.

მოდრავი ქონება, რომელიც ქალს მშობის ხასით ჰქონდა წამოღებული, მისი უპირობო, სრული საკუთრება იყო. რაც შეეხება უძრავ ქონებას, როგორც მშობევი, აქ სავსებით ანალოგიურ მდგომარეობასთან არ გვაქვს საქმე. ასე, თუ ცოლი ქმარს „მისი ნებითა და წადილით“ დატოვებდა და ხელახლა გათხოვდებოდა სხვაზე, მისი ყოფილი ქმრის ოჯახში მშობევი ნაქონები უძრავი ქონება ქალის მშობლების განკარგულებაში გადადიოდა და მათზედ იყო დამოკიდებული მისი ბედი. მაშასადამე, მშობლებთან მიმართებით „სამამულო მშობევი“ არც თუ სავსებით უპირობო საკუთრება იყო იმ შემთხვევაში, თუ ქალი რაიმე საოჯახო ხასიათის დანაშაულს ჩაიდენდა. მოვლენათა ნორმალური მსვლელობის დროს ქალი სრული მესაკუთრეა უძრავი ქონების ხასით მიღებული მშობისა.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 29-ე მუხლის მიხედვით ქმარს უფლება აქვს მრუში ცოლი გაავადოს, მაგრამ მშობევი ამ შემთხვევაშიც ვერ წაართმევს ცოლს. „თუ დიაცი მრუში არს, ზითევიცა მრუში იქნებაო“, — ამბობს კანონმდებელი.

10 ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. 1955. თ. ენუქიძის გამოცემა.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში გათხოვების შედეგად ქალი არ კარგავდა თავის სამოქალაქო უფლება-ქმედობაუნარიანობას. ქორწინების ძალით ქმარი არ ხდებოდა ცოლის ქონების მესაკუთრე, ვთქვათ ისე, როგორც ეს ფეოდალურ ინგლისში იყო მიღებული. ერთი დოკუმენტის მიხედვით, ცოლი ქმრის კრედიტორის როლში გამოდის.¹¹ საბუთის მიხედვით ქმარს უფლება არა აქვს თავისი საჭიროებისამებრ მოიხმაროს ცოლის მშითვი და თუ იგი ცოლის ნებართვით მის მშითვს დახარჯავს, მეუღლის მოვალედ იქცევა. ოჯახში მეუღლეთა ქონების განკერძოების პრინციპი აშკარად ჩანს. რამდენადაც მეუღლეებს შორის ქონებრივ გარიგებათა დადება ნებადართული იყო, ეს შეიძლება გამოვლენოთ იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში არსებობდა შუა საუკუნეებისათვის პროგრესული — მეუღლეთა ქონებრივი განკერძოებულობის რეჟიმი. ქართული დოკუმენტების მიხედვით ქმარი ცოლთან გარიგების კონტრაგენტია, იგი დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი მხარეა. ამ შემთხვევაში ქმარი არ შეიძლება იყოს ცოლის მზრუნველთან წარმომადგენელი. როდესაც საერთო-საოჯახო ქონებას ეხება საქმე, გარიგება იწერება მთელი ოჯახის სახელით.

მე-18 საუკუნის ერთი დოკუმენტის მიხედვით ქმარმა (გიორგი აბაშიძემ) ცოლის მშითვიდან თავისი საჭიროებისათვის მოიხმარა მისი ძვირფასი ნივთები და დაუხარჯა ფული — ოცდაათი თუმანი. რამდენიმე წლის განმავლობაში ქმარმა ვერ შეძლო ცოლის ვალის გადახდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქმრის მიერ ცოლის ვალის კონსტანტაცია: „გამოვიდა რამდენიმე ხანი და ვერ მოგვცე შენი ვალი. მთხოვდი და მაწუხებდი. შენს დედ-მამას ცრემლით შესტიროდი. ისინი იასაულათ დამაყენე. ბატონთან რევავ მოურავი ჩივილს მიპირებდა¹²“. როგორც ჩანს, აბაშიძის ცოლს სრული უფლება ჰქონია, რომ მეფესთან — „ბატონთან“ მოატანინოს სარჩელი მშობელს და საკუთარი მდგომარეობა დაიცვას ოჯახში. ამავე დროს გათხოვილი ქალის უფლებების მეთავალყურედ მშობლებიც გამოდიან. ქალის მამა — რევავ მოურავი მეფესთანაც კი აპირებდა ჩივილს, რათა მის სიძეს ცოლისათვის დახარჯული მშითვი დაებრუნებინა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალი გათხოვების შემდეგაც არ კარგავდა თავის გვარს და ამ

მხრივაც თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტენდენციას იჩენს.

წინაქრისტიანულ ეპოქასთან შედარებით ფეოდალურ საქართველოში ქალების უფლებრივი პროგრესი უფრო დინამიური იყო. უფლებები, რომელიც ქალს არ გააჩნდა ადრეფეოდალურ ეპოქაში, შუაფეოდალურ ხანაში უკვე ფაქტია. ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სფეროში ქალი მანაც დაჩაგრული იყო. მამაკაცისა და ქალის უთანასწორობა აშკარად ჩანს ქართულ საგანქორწინებო სიმართალშიც. ბექა მანდატურთუხეცესის სამართლის წიგნის მიხედვით ქმარს, რომელიც უბრალოდ „დაგდებს“ ცოლს, ნახევარი სისხლის გადახდით სჯიან; ხოლო ცოლს კი ქმრის მიტოვებისათვის — მთელი სისხლის გადახდევინებით.

თუ ქალი თავისზე უფრო მაღალი წოდების კაცის მეუღლეა და მას მიატოვებს, ქმრის გვარის შესაბამისი „სიძსლი“ უნდა გადაიხადოს სრულად; ხოლო თუ „კაცმან მისგან უსაბატიოესი ცოლი დააგდოს, რასაცა გვარის იგი კაცი იყოს, ეგეთსა მეტი სისხლი არ მართებს“ (ბექა, მუხლი 30). აქაც ქალის და მამაკაცის უფლებები არათანაბარია.

განსხვავებული იყო მამაკაცისა და ქალის უფლებები საოჯახო თანაცხოვრების სფეროშიც. ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით მეუღლური ერთგულების მოთხოვნის უფლება მამაკაცების პრივილეგია იყო. ქმარი არ შეიძლება იყოს იურიდიულად დამნაშავე ყოფილიყო მრუშობაში თავისი ცოლის წინაშე. რა თქმა უნდა, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, როგორც წესი, არც ერთ სახელმწიფოში თანამედვერულად არ შეიძლება ოჯახსა და საზოგადოებაში მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის პრინციპის გატარება არც ფორმალურად და არც მით უფრო, ფაქტიურად.

როგორც ფეოდალურ ევროპაში ასევე საქართველოშიაც მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სფეროში ცვლილებები ძალიან ნელა ხდებოდა. როგორც ჩანს, იგი ვითარდებოდა თანდათანობით, ნელი ევოლუციის გზით. მეუღლეებს შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობაში ქმრის განუსაზღვრელი ბატონობის სამართლებრივ პრინციპს თანდათანობით ცვლის ახალი სამართლებრივი იდეა, რომელიც მამაკაცს ცოლის მეურვედ აგვლის. ამავე სამართლებრივ პრინციპს შეესაბამება მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობის სათანადო სისტემა.

¹¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, საბ. № 168, გვ. 111.

¹² ქვე, გვ. 112.



არის შემთხვევები, როდესაც მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობის განვითარების დონე ჩამორჩება მათივე პირადი ურთიერთობის დონეს.

მეუღლეთა პირადი ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ადგილი არ ჰქონია რიგ ფეოდალურ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც ცნობილ ცოლის დაგირავების ფაქტებს. VIII—XVIII საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა პირადი ურთიერთობის დონე საერთოდ მაღალ-განვითარებული სახისაა.

XV საუკუნის ერთი საბუთის მიხედვით¹³ გამარტეკელ ჯავახიშვილს მეუღლე გულსურაბ შემოსწყრა. ქალმა ტყეში ქოხი ააგებინა და იგი დღე იქ ცხოვრობდა. დღემამდეა და ქმარ-შვილმა დიდი ხეწნით დაბარუნეს გულსურაბი სახლში. გულსურაბი რამოდენიმეჯერ დააგდებს ქმარს, მაგრამ მას დიდი ხეწნით ისევ აბრუნებენ ოჯახში. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ დიდი სახელმწიფო მოხელე და ძლიერი ფეოდალი — გორის მოურავი იუკადრისებდა ცოლის ასეთ საქციელს და ისევე მოიქცეოდა როგორც V საუკუნეში ვარსკენ პიტიახში, რომელმაც შეუთვალა ცოლს: თუ ნებით არ დაბრუნდები ოჯახში, ძალით მოგათრევო. იგი ასე არ მოქცეულა. ცოლქმრული ურთიერთობა მესუთე საუკუნესთან შედარებით უფრო რბილ ფორმებში შემოსილი ჩანს და ქალებს უფრო საპატიო და თავისუფალი მდგომარეობა მოუპოვებიათ. ახლა უკვე ისეთ მეუღლურ ურთიერთობასთან არა გვაქვს საქმე, როდესაც ქმრის ხელში მხოლოდ უფლებები იყო თავმოყრილი, ხოლო ცოლისაში — ვალდებულებები.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა პირადი ურთიერთობა არ შეიძლება ერთი ხელის მოსმით დავახასიათოთ, როგორც ბატონობა-მორჩილების ურთიერთობა. ქმარი ცოლის ბატონი კი არ არის აქ, არამედ მისი მეურვე და მზრუნველია. ამიტომაც ქმარს გარკვეული ვალდებულებებიც აკისრია ცოლის წინაშე. მეუღლეთა პირადი ურთიერთობა თითქოს სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომელიც მხარეთა გარკვეულ თანასწორობას გულისხმობს.

ოჯახში ქალის უფლებებიც აღიარება მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბაც მოყვა. ქალები პოლიტიკურ ახსპარეზზეც გამოჩნდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ X—XII საუკუნეებამდე ქალების პოლიტიკური უფლებების აღიარების საკითხი საქართველოში უფრო პროგრესულად როდი წყდებოდა, ვიდრე სხვა მეზობელ კულტურულ ქვეყნებში. გიორგი III მეფობის დროს (XII) ქალის პოლიტიკური უფლებები ფართოვდება და ქალს გამონაკლისის სახით მაინც მიეცა მეფობის უფლება. მაგრამ ეს პრივილეგია მხოლოდ სამეფო საგვარეულოს შიგნით მოქმედებდა. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ სამოხელეო ასპარეზზე ქალებს, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის სახით ვხვდებით, ასე იყო განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში. ასე იყო გვიან შუასაუკუნეებშიც.

ცხადია, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში — საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ქალი უფრო საპატიო მდგომარეობაში იყო ვიდრე ზოგიერთ მეზობელ ფეოდალურ ქვეყანაში, განვითარების უფრო დაბალ საფენურზე მდგომ ხალხებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ისეთი საპატიო საქმე, როგორც სამეფო ტახტის მემკვიდრის აღზრდაა, ქალებს ჰქონდათ მინდობილი. მეფე გიორგი I-ს ზრდიდა მისი მამიდა გურანდუხტი, ხოლო გიორგი III-ის აღმზრდელი იყო დავით აღმაშენებლის ასული თამარი. როდესაც გიორგი III-მ ანისში მუსულმანები დაამარცხა და საქართველოში გამარჯვებული დაბრუნდა, მან თურმე თავიანი სცა თავის გამზრდელ ქალს. როდესაც დასავლეთ ევროპაში ქალის პიროვნება დაუნდობლად ითვებოდა და მას როგორც მოროტ საწყისს ცეცხლის კოცონზე სწვავდნენ, საქართველოში ნიკოლოზ გულაბერიძე ქალის ღირსებისა და პატივის შესახებ ტრაქტატებს წერდა,¹⁴ ხოლო გენიალური რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანში“ იდეალური, მამაკაცების თანაბარი ღირსებებით შემკულ ქალებს უმდეროდა.

ჩვენმა წარსულმა ცოტა როდი იცის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე ქალების სახელები. მათ შორის არაერთი იყო პოეტი — ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი, ვადაწყვერი, კალიგრაფი, პოლიტიკოსიც კი.

არ შეიძლება ქალის შედარებითი მაღალი მდგომარეობის და მისი პატივისცემის გამოხა-

¹³ იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 1, ტფილისი, 1937, გვ. 47.
¹⁴ კ. კეკელიძე. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები მახლობელ აღმოსავლეთში. „ენიშის“ მოამბე. ტ. XIII, 1943, გვ. 119.

ტულემა არ დაინახოთ ქართველი ხალხის იმ ჩვეულებაშიც, რომლის მიხედვითაც ქალის, მანდილოსანის გამოჩენა მეომარ მხარეთა შორის, როგორც მშვიდობის სიმბოლოსი, აუცილებლად მოასწავებდა მათ შერიგებას. ასე მოხდა, მაგალითად, თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც საპატიო მანდილოსნებმა — კრავამ ჯაყელმა და ხვაშაქ ცოქალმა მიეფ და აჯანყებული ურთულუ-არსლანის დასი შეარიგეს. ასეთი ჩვეულების შესახებ გვიანი შუა საუკუნეების ეპოქიდანაც შემოგვრჩა ცნობა (XVII საუკუნე). როსტომ მეფემ 1642 წელს თავისი მოსიხსლე მტრის — ნოდარ ციციშვილის დედას, რომელიც სახვეწრად ეხსლა, დიდი პატივი დასდო, მისი თხოვნით ნოდარს და მის მომხრეებს — სიცოცხლე შეუნარჩუნა და ბოლოს გაციის გზაც კი მისცა. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „საქართველოში ძველათ წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირებია შესახვეწრად, ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს: მეფენი და თავადნი პატივს დასდებოან“¹⁵ — და ამიტომაც როსტომ მეფემ „გაათავა ძველი წესი“¹⁶.

სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებებში ორიგინალის იმ ადგილს, სადაც ხანშესული ქალის სასიათი მეტად მუქი ფერებით არის გამოხატული, ქართველი მთარგმნელი უცვლელად როლი თარგმნიდა (მაგ. „ქილილა და დამანას“ მიხედვით). სპეციალისტებს შემჩნეული აქვთ, რომ დედნის საწინააღმდეგოდ მთარგმნელი ხაზს უსვამს სწიერი მანდილოსნისადმი მოკრძალების იდეას. საქართველოში სწიერ მანდილოსანს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ და ამიტომაც თარგმნილ თხზულებებშიც კი უცვლელად არ ტოვებდნენ მის შეურაცხყოფელ გამოთქმებს. ანალოგიურად მოქცეულა „ვისრამიანის“ ქართულად მთარგმნელიც.

კარლ ლამპრეხტი — გერმანელი ხალხის ისტორიის ცნობილი მკვლევარი აღნიშნავს, რომ XI საუკუნის გერმანიაში საზოგადოებრივი ურთიერთობანი მხოლოდ მამაკაცთა შორის ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. არ შეიძლება სავსებით იგვიფ გავიმეოროთ ფეოდალური საქართველოს მისამართით, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქალის მდგომარეობა გარკვეულად წინააღმდეგობრივია. საზოგადოებრივი პროგრესის, ძველი ჩვეულების, ქალის კულტურისა და რაინდობის განვითარების შედეგად ქალს

პატივისცემით ექცეოდნენ და ამასთანავე გარავდნენ კიდევ მას.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის სურათი სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით იმ გარემოებასაც, რომ საქართველოში საოჯახო-წინემობრივი დანაშაულის ჩადენა ქალის მხრივ სასტიკად ისჯებოდა.

ცხადია, საქართველოში ცოლის მკვლელობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ აქ ერთი გამოწვევისი მაინც იყო დაშვებული. ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მიხედვით იმ გარემოებათა შორის, რომლებიც პასუხისმგებლობას გამოირიცხვენ, დასახელებულია აშკარად მრუში ცოლის მოკვლა. „თუ კაცმან თავისი ცოლი მრუშობაზე დაახლოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვებინ“. ქმრის ასეთ უფლებას იცნობს უკვე ჰამურაბის კანონები, იცნობს მას XIX საუკუნეში შედგენილი საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც (მუხლი 324).

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში რომ ცოლის მიმართ ქმრის განუსაზღვრელი ხელისუფლების გამოვლინებასთან არ გვაქვს საქმე, ჩანს იქიდანაც, რომ იმავე მუხლის სხვა პუნქტით შეურაცხყოფილ ქმარს არა მარტო ცოლის, არამედ ცოლის საყვარელის მოკვლის უფლებაც ეძლეოდა. აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ვახტანგის „სჯულის“ იმავე 42-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის მიხედვით ყმას უფლება ეძლევა მოკლას ბატონი, თუ მას თავის ცოლთან მწოლარეს შეასწირებს. „თუ ბატონმან ყმის ცოლს უაშიყოს, ამ დამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახლოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ ციკრე, სისხლი არ ეთხოვებინ“. აქაც მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევა აქვს კანონმდებელს მხედველობაში.

სერთოდ კი ვახტანგის სამართალი ცოლის მკვლელობას სასტიკად სჯიდა. მხოლოდ ცოლის მკვლელობაში, მეფის დალატში, დიდებულის მკვლელობასა და ეკლესიის გაძარცვაში ეჭვმიტანილებს უნდა ემართლებინათ თავი მდუღრითა და შანით.

იმას ვინც ცოლს სტანჯავს და „უპატიურად ეპურობა“, მეფის ბრძანებით „დააბამენ“ (დაატუსაღებენ), „ავად მოეპურობიან“, „დატუქსავენ“ და ა. შ. (მუხლი 64).

ქალის პიროვნება უკვე სავსებით გარკვევით საკანონმდებლო დაცვის საგნად იყო ქცეული.

¹⁵ ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეთაცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი II, დ. ჩუბინაშვილის რედ. საბ. 1854, გვ. 520.

აგომური ნედლეულის საბაქთაბეზივი კაპივი კაპივადისუკ ქვეყნებში

ა. იორივი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ნედლეულის წყაროებისათვის იმპერიალისტთა ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონოპოლიების მისწრაფებას დაეუფლონ ატომური ნედლეულს. ატომური მრეწველობის სწრაფი განვითარება მზარდ მოთხოვნებს აყენებს ახალ ნედლეულზე.

ატომური ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლაში სახელმწიფო-მონოპოლისტური ხასიხათი მიიღო. მონოპოლიები ატომური ნედლეულის წყაროების დაუფლებებისათვის იყენებენ კორპორაციულ კავშირებს სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიებთან, რითაც ფებს იკიდებენ ამ ქვეყნების სამთამადლო მრეწველობაში. ძლიერი იმპერიალისტური მონოპოლიები იყენებენ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებს, სახელმწიფო სესხებს და ა. შ., რათა დაეუფლონ სხვა, უფრო სუსტი სახელმწიფოების მოპოვების მრეწველობას. ამავე მიზანს ემსახურება კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო კანონმდებლობა, რომელმაც შემუშავა მადნეულის, ნედლეულისა და სლენადი მასალის სამართლებრივი სტატუსი.

მადნის ღებ ნედლეულის აღმოჩენა, მოკომვება ღებ ბამომქმება. მადნის და ნედლეულს, რომელიც აუცილებელია ატომური ენერჯის მიღებისათვის, მიეკუთვნებათ გარკვეულ ქიმიური და ფიზიკური თვისებების მქონე ნივთიერებები, პირველ რიგში ატომური სავვაი ურანი და თორიუმი, შემდეგ კი სხვადასხვა კონსტრუქციული მასალები — ცირკონი, გრაფიტი, ბერილიუმი და სხვ., რომლებსაც ბირთვული იარაღისა და რეაქტორების შექმნისათვის იყენებენ. საფრანგეთის კანონმდებლობა მათ განსაზღვრავს როგორც „ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ატომური ენერჯის მიღებას“. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ატომურ ნედლეულში გულისხმობს ურანს, თორიუმს და ყველა იმ მადანს, რომელიც შეიცავს ურანსა და თორიუმს ატომური ენერჯის კომისიის მიერ დადგენილი რაოდენობით. ატომური ენერჯის კომისიას უფლება აქვს დროდადრო ატომურ ნედლეულს მიაკუთვნოს სხვა მასალებიც. კომისიის გადაწყვეტილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ პრეზიდენტის წერილობითი დასტურებისა და კონგრესის მხარდაჭერის შემდეგ. დიდი ბრიტანეთის 1946 წლის კანონის თანახმად განსაკუთრებულ რეჟიმს დაქვემდებარებული ნივთიერებებია: ურანი, თორიუმი, პლუტონი, ნეპტუნი და ყველა მათი შემადგენელი ნაწილი ან ყველა სხვა სახის ნივთიერება, რომელთაც სათანადო უწყების მინისტრი საჭიროდ ჩათვლის მიაკუთვნოს ატომური ენერჯის მისაღებად გამოსაყენებელ ნივთიერებებს.


იმის მიხედვით, თუ გადაამუშავების რა სტადიას გაივლის ნედლეული ან მადნეული, ყველა ისინი როგორც ძიების, მოპოვების და გამოყენების ობიექტები მეტნაკლებად ექვემდებარებიან განსაკუთრებულ რეჟიმს. ამავე გავლენას ახდენს ის ფაქტორიც, რომ მათი მარაგის რაოდენობაზე დამოკიდებულია ენერჯის დანარჩენი ფაზა, რომელსაც ატომური ენერჯის პრაქტიკულ გამოყენებამდე მიჰყავს.

თითქმის ყველა ეროვნული კანონმდებლობის, სამართლებრივ ნორმებს მადნის და სლენად ნივთიერებათა ძიებისა და მოპოვების დარგში საფუძვლად უდევს ბუნებრივი წიაღისეულის გამოყენების ზოგადი წესი.

ამჟამად ცნობილია ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების რამდენიმე სისტემა:

- ა) საბამსნიო სისტემა — მიწის მფლობელს ეკუთვნის ყველა ბუნებრივი სიმდიდრე, რაც მისი კუთვნილი ნაკვეთის წიაღშია.
- ბ) მოპობის სისტემა — მადაროს მესაკუთრე ხდება პირი, რომელიც აღმოაჩენს ბუნებრივი სიმდიდრის საბადოებს.
- გ) სახელმწიფო საკუთრების სისტემა (დომინირებული სისტემა) — ბუნებრივი სიმდიდრე ეკუთვნის სახელმწიფოს;
- დ) რეპალიის სისტემა — ბუნებრივი სიმდიდრე წარმოადგენს *res nullius* და სახელმწიფოს აქვს უფლება გარკვეულ პირობებში დაუთმოს საბადო საკუთრებისა და ექსპლოატაციის უფლებით.

მადნის ღებ ნედლეულის ძებნა და მოკომვება. ამ საწყის ფაზაში შესაძლოა გამოყოთ სამართლებრივი გადაწყვეტის ორი ძირითადი ჯგუფი.



პირველი: მადნისა და ნედლეულის ძებნა და მოპოვება თავისუფლად წარმოებს, სახელმწიფო უშვებს ძებნისა და მოპოვების სრულ თავისუფლებას, რაიმე სპეციალური ნებართვის წინასწარ მიუღებლად. ეს საერთო წესია. მაგრამ პრაქტიკაში, უმეტესად კაპიტალისტური ქვეყნები, აღიარებენ რა ამ სფეროში თავისუფლებას, მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებენ.

ასე, მაგალითად, ნორვეგიამ 1955 წლის შემდეგ თავისუფალი ძებნის სისტემაში დაუშვა კერძო კაპიტალის მონაწილეობაც, იმის მიზეზებით, თითქოს ნედლეულის მდიდარი საბალოები საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, რომელიც წინათ ატომური ნედლეულის ერთადერთი მოპოვებელი და გამოყენებელი იყო, ამ საქმეში დაუშვას კერძო კაპიტალის მონაწილეობაც.

ამ რეჟიმს ატომური ენერჯის შესახებ 1954 წლის კანონით იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც ატომური წარმოების სხვა სტადიებისაგან განსხვავებით ურანის მადნის მოპოვება და პირველადი დამუშავება სახელმწიფო მონოპოლიას არ წარმოადგენს და მას კერძო კომპანიები აწარმოებენ. მთავრობის ატომური ენერჯის კომისიის კონტროლი იწყება მადნეულის გამდიდრების სტადიიდან და კონცენტრატების წარმოებიდან, რომელსაც ახორციელებენ კერძო ფირმები ატომური ენერჯის კომისიის ლიცენზიით. ეს შეესაბამება სამთამადნო მონოპოლიის განსაკუთრებულ ინტერესებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ურანის მადნის მოპოვებას და გადამამუშავებას აწარმოებენ ისეთი მსხვილი მონოპოლიები, როგორიც არის „იუნაიტედ სტიტის ვანადიუმ კორპორეიშნ“, „იუნინ კარბიდ ნიუკლეარ კომპანი“, „ფილიპები „იუნინ კარბიდ კორპორეიშნ“, „ანაკონდა კოპერ კომპანი“, „ატლას კორპორეიშნ“, „ფილიპს პეტროლეუმ“ და სხვ.

ყველა ესენი მჭიდროდ უკავშირდებიან ფინანსურ ჯგუფებს, რომლებიც გაბატონებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ მრეწველობაში. ურანის მოპოვების სახელმწიფოებრივი „მოწესრიგება“ უზრუნველყოფს ამ სფეროში დასაქმებული მონოპოლისტების მაქსიმალურ მოგებას.

მაგრამ ძიების და მოპოვების „თავისუფლება“ ვრცელდება მხოლოდ ნედლეულის ან მადნის ამოღების მომენტამდე, მადნეულის ყველა დანარჩენი გადაადგილება უკვე ექვემდებარება ნებართვის სისტემას. როგორც გამონაკლისი, ნებართვა არ სჭირდება უმნიშვნელო რაოდენობის ბირთვულ ნედლეულს, მაგრამ კრიტიკულს აქ აღგენს ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერჯის კომისია. სახელმწიფოს,

ატომური ენერჯის კომისიის დახმარებით, შეუძლია შეიძინოს უძრავი ქონება შეისყიდოს, ექსპროპრიაცია მოახდინოს და ა. შ., რომელიც შეიცავს ატომურ ნედლეულს, საძიებელი სამუშაოებისა და მადნეულის ექსპლოატაციის მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო ატომური მრეწველობის ძირითადი პოზიციები, უკანასკნელ წლებში შეიძინა მდიდარი მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილება. სახელმწიფო მონოპოლია წინანდელი მოცულობით აღარ შეესაბამება საფინანსო კაპიტალის ინტერესებს. ამან და მსგავსმა მიზეზებმა გამოიწვია ატომური ენერჯის შესახებ 1946 წლის კანონის გადასინჯვა და ახალი, 1954 წლის კანონის მიღება.


თუ 1954 წლამდე ძიებები ძირითადად ტარდებოდა ატომური ენერჯის კომისიის მიერ, შემდგომ ამ კომისიამ საძიებო რაიონები დაუთმო მონოპოლისტებს, მაგრამ ეს გავრცელდა მხოლოდ მსხვილ მონოპოლისტებზე. აღნიშნულ მონოპოლიებს წინათაც ჰქონდათ საკმაო გამოცდილება სამთამოპოვებითი მრეწველობის სფეროში, ფლობდნენ კარგ ტექნიკურ მოწყობილობას და ჰქონდათ დიდი ფინანსური შესაძლებლობები საძიებო სამუშაოების განვითარებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერჯის კომისია სტიმულს აძლევს (განსაკუთრებით ატომური ენერჯის შესახებ 1954 წლის კანონის მიღების შემდეგ) კერძო კაპიტალს, სამუშაოების შემსრულებლებთან დებს მრავალწლიან ხელშეკრულებებს გარანტირებული ფასებით.

ასეთი დუალიზმი შესაძლებლობას აძლევს ატომური ენერჯის კომისიას და ატომურ მონოპოლისტებს მუშაობაში ჩააბან მეცნიერების და ინჟინრების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც უშუალოდ ცენტრებში არ მუშაობენ, და ამით განახორციელონ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მეცნიერების შემდგომი მილიტარიზაცია, დაუქვემდებარონ იგი ატომურ მრეწველობაში გაბატონებულ მონოპოლიას.

ომის შემდეგ შევციამ ნედლეულის ძიების, მოპოვების და ექსპლოატაციის შესახებ 1954 წლის კანონში, რომელიც ფაქტიურად დამატება იყო 1886 წლის 28 მაისის შევეციის სამთომოპოვებითი მრეწველობის კანონისა, ფორმალურად გამოაცხადა ძიების შეუზღუდველი თავისუფლება. ეს სისტემა შენარჩუნებულია ახალ კანონშიც — ატომური ენერჯის შესახებ, რომელიც მიღებულია 1956 წელს.

შედარებით გავრცელებულია მადნეულის და ნედლეულის მოპოვება და ძიება წინასწარი ნე-



ბართვის. ასეთ ნებართვას იძლევა ატომური ენერჯის საქმეთა ორგანო, ან სამთომოპოვებითი ნრეწველობის შესაბამისი ორგანო ან ორივე ერთად.

საფრანგეთში სამთომოპოვებითი მრეწველობის სფეროში საძიებო სამუშაოები შეუძლიათ აწარმოონ: მიწის მფლობელმა პირებმა, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი ორგანოს თანხმობა, მაგრამ იმ პირობით, რომ ამის შესახებ აცნობებენ პრეფექტს: პირებმა, რომლებსაც სამთომრეწველობის მინისტრმა უფლება დართო, და ბოლოს პირებმა, რომლებმაც მიიღეს ძიებისათვის გამოწვევის ნებართვა. მიუხედავად ამისა, ატომური ენერჯის კომისარიატი მონაწილეობს ნედლეულის წარმოების კონტროლში. ამასთან სახელმწიფო თვითონ ახდენს ასეთი მადნეულის ექსპლოატაციას იმ შემთხვევაში, თუ მადნეულის მფლობელი არ იყენებს ან არასაკმარისად იყენებს მას.

დიდი ბრიტანეთში ლორდი — საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია აკრძალოს მუშაობა ყოველგვარ მინერალებზე, რომლებიც, მისი აზრით, შეიცავენ „კანონში გათვალისწინებულ ნივთიერებას“, რომელსაც აქვს რაიმე ღირებულება ატომური ენერჯის წარმოებისათვის“. ატომური ენერჯის სამმართველო უფლებამოსილია ან თვითონ მოაწყოს საძიებო სამუშაოები, ან ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მსგავსად კერძო მწარმოებლებს დაუღოს ხელშეკრულება. ამ მიზნით სამმართველო ახდენს აუცილებელი მიწის ნაკვეთების ექსპორტიაციას და მათს მფლობელებს უხდის სათანადო კომპენსაციას.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სამთომოპოვებითი მრეწველობის ყველა საკითხს წყვეტს მხარეების ხელისუფლება. პრუსიის 1865 წლის 24 ივნისის სამთომოპოვებითი მრეწველობის კანონს, ისევე როგორც სხვა მხარეების კანონებს ამ საკითხებზე, საფუძვლად უდევს პრინციპი: ყოველი პირი, რომელიც აღმოაჩენს სასარგებლო წიაღისეულის ფენებს, უფლება აქვს მოითხოვოს ნებართვა საძიებო სამუშაოების ჩატარებისათვის და ნებართვის მიღებისას იძენს უფლებას შეუდგეს მუშაობას. ამავე კანონში ჩამოთვლილია მინერალები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ რეჟიმს. კანონში ჩამოთვლილი მინერალები რჩება მიწის ნაკვეთის მფლობელის თავისუფალ განკარგულებაში. ამჟამად ეს კანონი შევსებულია: სიაში შეტანილია ურანი და თორიუმი. მათი ძიების და მოპოვების უფლება სახელმწიფოს ეკუთვნის. 1955 წლიდან ურანისა და თორიუმის მოპოვებისათვის აუცილებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ნებართვა.


ანალოგიურად წყდება ეს საკითხები შვეიცარიაშიც, სადაც კანტონებს უფლება აქვთ მოაწესრიგონ სასარგებლო წიაღისეულის გამოყენება.

ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ კანადის კანონმდებლობაც, თუმცა მას ზოგიერთ საკითხში აქვს არსებითი თავისებურებები. როგორც 1946 წლის კანონით, ისე 1954 წლის შეცვლილი კანონით, კანადის ატომური ენერჯის სამმართველო უფლებამოსილია მიიღოს კანონები იმ ნედლეულის და მადნეულის საძიებლად და მოსაპოვებლად, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ატომური ენერჯის წარმოებისათვის. სამმართველოს მიერ 1960 წელს მიღებული დებულების შესაბამისად, ყოველმა პირმა, რომელმაც აღმოაჩინა მინერალი, რომლის შემადგენლობა აჭარბებს ურანის ან თორიუმის 0,05 პროცენტს, ან შესაძლოა ასეთი შემადგენლობის არსებობა, აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ კანადის გეოლოგიური გამოკვლევის დირექტორს.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში კანადა სხვადასხვაგვარად აწესრიგებს საძიებო სამუშაოების თავისუფლებას ან შეზღუდვას. 1943-1948 წლებში სახელმწიფო ინარჩუნებდა ყველა უფლებას, რაც რადიოაქტიურ მასალებს ეხებოდა, ხოლო კერძო პირებს ძიებითი სამუშაოების ჩატარება შეეძლოთ მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ. 1948 წელს ეს შეზღუდვა გაუქმდა. აღნიშნული შეზღუდვის გაუქმების ფორმალური საფუძველი გახდა კონტროლის სხვა ფორმის შემოღება სახელმწიფო ორგანოების მიერ. მიუხედავად ამისა, ძალაში რჩებოდა მოთხოვნა, რომ მოპოვებული ნედლეული მასალა მიყიდვოდა მთავრობის კომპანიას. Eldorado Mining and Refining Ltd მთავრობა ადგენდა ფასს, რომელიც დამოკიდებული იყო მადნეულის შემადგენლობაში ურანის ან თორიუმის რაოდენობაზე. მფლობელს ნედლეულის თავისუფლად განკარგულების უფლება ჰქონდა იმ შემთხვევაში, თუ მას არ გამოისყიდდა ზემოაღნიშნული კომპანია და ნებას დართავდა ატომური ენერჯის კონტროლის კომისიას.

ნედლეულის და მადნეულის გამომყვანობა.
მადნეულის ან ნედლეული მასალის ამოღების მომენტიდან, რომლებიც მოხსენებული არიან იმ ნივთიერებათა სიაში და რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ატომური მრეწველობის წარმოებისათვის, მისი გამოყენების საკითხი ექვემდებარება შემდგომ შეზღუდვებს:

უმეტესად საჭიროა განსაკუთრებული ნებართვა მათი შენახვისათვის, გადაზიდვისათვის, ყიდვა — გაყიდვის ან შემოტანისათვის. ამ სტადიაზე წყდება მოქმედების თავისუფლება იმ ქვეყნებშიც, სადაც არსებობს ასეთი რეჟი-



მი საძიებო ფაზებისათვის. ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები.

როგორც აღვნიშნეთ, ატომური ნედლეულის ძიების თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში წყდება ნედლეულის მოპოვების მომენტიდან. ამის შემდეგ „საერთო ან განსაკუთრებული ნებაართვის გარეშე, რომელსაც გამოსცემს ატომური ენერჯის კომისია, ფედერალურ ერთეულებს შორის ვაჭრობის სფეროში არავის არ შეუძლია გადასცეს ან მიიღოს, გადაწოდოს, მიაწოდოს, დროებით ან მუდმივ სარგებლობაში მიიღოს, შემოიტანოს ან შესაბამისად გაიტანოს ბირთვული ნედლეული ამერიკის შეერთებული შტატებიდან“. ითვლება, რომ კონტროლის ასეთი ფორმის წყალობით, ლიცენზიის გზით, რომლის მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან რთულია, მიღწეულია რამდენიმე მიზანი: საერთო უშიშროება, ნედლეულით შესაბამისი წარმოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა და ზრუნვა იმისათვის, რომ ატომური ნედლეული გამოყენებულ იქნას გარკვეული მიზნით.

ანალოგიურად გადაწყვეტილია ეს საკითხი სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობაშიც. სახელმწიფო სამართლებრივ მოქმედებას იწყებს უკვე ძიების სტადიიდან, ხოლო ატომური ენერჯის გამოყენებისა და წარმოების პროცესში ყველაფერი ძლიერდება. ეს ეხება იმ სახელმწიფოებსაც, რომლებიც განსაკუთრებული ნორმებით აწესრიგებენ მადნეულისა და ნედლეულის უფლებრივ რეჟიმს, ისე იმ სახელმწიფოებსაც, რომლებმაც სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სფეროში მოქმედი ნორმები გაავრცელეს ატომურ ნედლეულზე.

ასეთია, მაგალითად, დანის, იტალიის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთის, შვეიცარიის, თურქეთის და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა. ამ საკითხზე არ არის არსებითი განსხვავება არც იმ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებმაც სამართლებრივი ნორმებით განამტკიცეს სახელმწიფო მონოპოლია ატომური ენერჯის გამოყენების სფეროში და არც იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც ეს სფერო შესაწყობად გადასცეს კერძო კომპანიებს.

ბირთვული საწვავი და ხელჩაღი ნივთიერება

ბირთვული ნედლეულისა და მადნისაგან განსხვავებით ხელჩაღი ნივთიერება და ბირთვული საწვავი ექვემდებარება შედარებით მკაცრ კონტროლს. მათი შენახვა, გადაზიდვა, წარმოება, გაყიდვა, შესყიდვა, გატანა და შემოტანა ყოველთვის განპირობებულია სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს წინასწარი ლიცენზიით.

ასეთი ლიცენზიის გაცემა დამოკიდებულია რამდენიმე არსებითი პირობის შესრულებაზე.

ლიცენზიის მთხოვნელი ყოველთვის ვალდებულია წარადგინოს მტკიცება, რომ ხელჩაღი ნივთიერების გამოყენებისას საფრთხე არ შეექმნება ადამიანის სიცოცხლეს, რომ გარანტირებული იქნება უშიშროება და მთხოვნელს აქვს აუცილებელი სპეციალური კვალიფიკაცია.

ზოგჯერ მოწმდება მისი ფინანსური შესაძლებლობანი. მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ პირთვული ენერჯის სფეროში ყოველი ღონისძიებისათვის საჭიროა მრავალი მატერიალური საშუალების გამოყენება.

ორგანოს, რომელმაც გასცა ლიცენზია, როგორც წესი, ენახება კონტროლის უფლება და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ჩამოართვას იგი. ლიცენზიის სხვისათვის გადაცემა არ დაიშვება.

ხელჩაღი ნივთიერებისა და ატომური საწვავის სხვადასხვა ოპერაციისათვის სპეციალური ლიცენზიის მიღების მოთხოვნა დამახასიათებელია ყველა კაპიტალისტური ქვეყნის კანონმდებლობისათვის.

სხვა საკითხები (ლიცენზიის გაცემა, ლიცენზიით მინიჭებული უფლება და ა. შ.) სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად წყდება. ეს განსხვავება მდგომარეობს ინიციატივის ხარისხში, რასაც სახელმწიფო ანიჭებს კერძო დაწესებულებებსა და ცალკეულ პირებს. ეს კრიტერიუმები საშუალებას იძლევა გამოვეყოთ ქვეყნების სამი ჯგუფი:

პირველ ჯგუფში შედიან კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც ხელჩაღი ნივთიერების და ატომური საწვავის გამოყენება სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებაა;


მეორე ჯგუფში — სახელმწიფოები, სადაც ეს საკითხი წყდება კომპინირებულად, როდესაც დაშვებულია კერძოკაპიტალისტური სექტორი, მაგრამ უპირატესობა აქვს სახელმწიფო სექტორს;

მესამე ჯგუფს ეკუთვნის კაპიტალისტური ქვეყნები, სადაც სახელმწიფო მონოპოლია სავსებით გამორიცხულია.

ა) სახელმწიფო მონოპოლია

პირველი ჯგუფის სახელმწიფოებში ხელჩაღი ნივთიერების და ატომური საწვავის გამოყენება სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებაა, უფრო ზშირად მოცემულია ატომური ენერჯით სარგებლობის წესდებებში ან იმ ნორმებში, რომლებიც მიღებულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე.

მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატების 1946 წლის კანონი „ატომური ენერჯის შესახებ“, რომელიც ატომური ენერჯის კომისიას ანიჭებდა „ნამდვილ მონოპოლიას, ყველაფერზე, რაც



ეხებოდა ხლეჩადი ნივთიერების წარმოებასა და გამოყენებას.

1946 წლის კანონი ატომური ენერჯის შესახებ ადგენდა სახელმწიფო მონოპოლიას ყველა ხლეჩად ნივთიერებაზე და მათი წარმოების საშუალებებზე.

ატომური საწვავის წარმოების ყველა სტადიაზე მეთვალყურეობა ევალებოდა ატომური ენერჯის კომისიას, რომელიც ვარდა ამისა იყო პატენტების მესაკუთრე მთელ მრეწველობაში და ხლეჩადი ნივთიერების გამოყენებაში.

1946 წლის კანონში მოხსენიებული არ იყო ჯანმრთელობისა და უშიშროების საკითხი. პირველ რიგში გათვალისწინებული იყო მეცნიერული, ტექნიკური და ყოველგვარი სხვა ინფორმაციის „დაცვა“, რომლებიც ეხებოდა ატომურ ენერჯიას. საიდუმლოების წესების დარღვევისათვის კანონი ადგენდა მკაცრ სასჯელს.

ნებართვის სისტემა, რომელიც არსებობდა ნედლეულის მიმართ, მიჩნეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების დაცვის საშუალებად. ატომური ენერჯის კომისიის კომპეტენციაში შედიოდა მხოლოდ ხლეჩადი ნივთიერებების განაწილება კვლევითი საჭიროებისათვის, მედიცინისათვის და სხვ.

პრაქტიკაში ამ ეტაპზე სპეციალური ატომური ნივთიერებების გაცემა ხდებოდა ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებსაც დებდა ატომური ენერჯის კომისიის საკვლევი განყოფილება, და არა ლიცენზიის საფუძველზე. იმ დროს არსებობდა მხოლოდ ერთი, არცთუ ისე დიდი საკვლევი რეაქტორი, კერძოდ, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში უნივერსიტეტის მიერ აშენებული. ამ დანადგარის კონტროლი ხორციელდებოდა გამოკვლევათა შესახებ დადებული ხელშეკრულების გზით, რომელიც იდებოდა ატომური ენერჯის კომისიასა და უნივერსიტეტს შორის.

საბოლოო ანგარიშით 1946 წლის კანონი ატომური ენერჯის შესახებ ინარჩუნებდა ხლეჩად ნივთიერებებზე სახელმწიფო კონტროლის უფლებას; ამავე ნივთიერებებზე (რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იყო) საკუთრების უფლებას და ასევე მათი გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას. ხლეჩადი ნივთიერების გატანა საერთოდ იკრძალებოდა.

ასეთი სახის სახელმწიფო მონოპოლიას ჩვენ ვხვდებით სულ რამდენიმე სახელმწიფოში (ესპანეთში და ნაწილობრივ ნორვეგიაში).

ბ) კერძო სექტორის მონაწილეობა
კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე ხლეჩადი მასალების გამოყენებაში წამყვან ადგილს იკავებს მონოპოლისტური კაპიტალი. ეს

არის ე. წ. სახელმწიფო სექტორისა და მსხვილი მონოპოლიის თანაარსებობა. ამასთან მრეწველობას უნარი შესწევს ექსპლუატაცია გაუწიოს ატომურ ენერჯიას და ახორციელებს მას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

ამ გადაწყვეტილების თავისებურება მდგომარეობს ლიცენზიის განვითარებულ სისტემაში, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს მსხვილი მონოპოლიების საქმიანობისა და მათ ინიციატივისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების 1954 წლის კანონით „ატომური ენერჯის შესახებ“ გადავიდნენ ლიცენზიის სისტემაზე, ამასთან მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომლებიც ამ სფეროში განხორციელდა 1946-1954 წლებში.


1954 წლის კანონში შენარჩუნებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება ყველა სპეციალურ ხლეჩად ნივთიერებაზე. კანონის 52 მუხლი აცხადებს: „ყველა უფლება, რწმუნება და ინტერესები რომელიმე უკვე წარმოებულ ან მომავალში საწარმოებელ სპეციალურ ბირთვულ ნივთიერებებზე, რომლებიც მიყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში, ეკუთვნის ამერიკის შეერთებულ შტატებს და იმყოფება ატომური ენერჯის კომისიის გამგებლობაში და მის კონტროლქვეშ. კომისია მოქმედებს მოქმედი კანონის შესაბამისად და გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახელით. ყველა პირს, რომელსაც უფლება აქვს რომელიმე სპეციალურ ბირთვულ ნივთიერებაზე, ამ ნივთიერებების ბირთვული ნივთიერებებისადმი მიკუთვნების შემდეგ მიეცემა სამართლიანი კომპენსაცია“...

მიუხედავად ამისა, იგივე კანონი კერძო პირებს უფლებას ანიჭებს შეინახონ სპეციალური ბირთვული ნივთიერება, იმ პირობით, რომ ეს კეთდება ატომური ენერჯის კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

ცნებას „სპეციალურ ბირთვული ნივთიერება“ ზუსტი შინაარსი აქვს. სახელდობრ ის შეიცავს პლუტონს, ურანს, რომლებიც გამდიდრებულია 233 ან 235 იზოტოპებით, ან ყველა სხვა ნივთიერებას, რომელსაც ატომური ენერჯის კომისია მიაკუთვნებს ამავე კატეგორიას. ამ ცნებაში არ შედის ბუნებრივი ურანი და თორიუმი, რამდენადაც ისინი ითვლებიან ნედლეულად და შეიძლება ეკუთვნოდნენ კერძო პირებს.

შვეიცარიაში კონფედერაცია უფლებამოსილია შეიძინოს ნედლეული და ხლეჩადი ნივთიერებები და გადასცეს ატომური დანადგარების მფლობელთა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის.

მიუხედავად ამისა, ხლეჩადი ნივთიერებების შენახვა, შემოტანა და გატანა მოითხოვს განსა-



კუთრებულ ლიცენზიას, რომლის გაცემას წყვეტს კონფედერაციის საბჭო ან მის მიერ დანიშნული ორგანო. ლიცენზია გაიცემა მხოლოდ საჭირო პირობების დაცვის შემდეგ, რომლის არსია შვეიცარიის „საგარეო უშიშროების“ უზრუნველყოფა, მის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ან მესამე პირის და მათი ქონების დაცვა.

ლიცენზიის მოხვედრის პირს, თუ იგი არ იძლევა საკმაო გარანტიას უშიშროებისათვის, ან პირს, რომელიც ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ატომურ დანადგარს, არა აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, თუ იგი არ წარმოადგენს გათვალისწინებულ პირობათა და ვალდებულებათა სხვა გარანტიას, — შეიძლება ლიცენზიის მიცემაზე უარი ეთქვას.

შესაბამისი ორგანო ლიცენზიას იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ შესრულებულია კანონის ყველა მოთხოვნა.

შვეიცარია ხლენადი მასალის შენახვა, გადაზიდვა და გამოყენება ექვემდებარება მთავრობის ნებართვას. მთავრობა მხოლოდ მაშინ გასცემს ლიცენზიას, როცა დაცულია კანონით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ უშიშროებას და სასოფლო-სამეურნეო ინტერესებს. მათი დაცვა ევალება ატომური ენერჯის საბჭოს. მასალების გატანა ასევე შეიძლება მოხდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. შვეიცარიის კანონმდებელმა ლიცენზიის გამოყენება გააგრძელა თორიუმზე და ყველა სხვა სახის ნივთიერებებზე, რომლებიც შეიძლება გადაიქცნენ ატომურ საწვავად და მათ შემადგენელ ნაწილებად.

იტალიაში იმ პირმა, რომელიც ინახავს სპეციალურ ხლენად ნივთიერებას ან რადიოაქტიურ მასალას, რომლის საერთო რადიოაქტიურობა აღემატება 1/10 კიურის, აუცილებლად უნდა შეატყობინოს ეს მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს.

ლიცენზიის რეჟიმი ასევე გავრცელებულია ხლენადი ნივთიერებების გაყიდვა-შესყიდვასა და გადაზიდვაზე.

ბ) სულხადაი ნივთიერებების თავისუფალი ბაზრის შემთხვევაში ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს. პრობლემატურია თვით პასუხი კითხვაზე, მიეცემა თუ არა ვინმეს როდისმე შესაძლებლობა თავისუფლად გამოიყენოს ხლენადი ნივთიერებები, თუ გავითვალისწინებთ ატომური ენერჯის სპეციფიკურ ბუნებას.

როდესაც იურიდიულ ლიტერატურაში ლაპარაკობენ ე. წ. თავისუფალ გამოყენებაზე, მხედველობაში აქვთ რეჟიმი, რომლის დროს „გა-

მორიცხებულია სახელმწიფოს ყოველგვარ მართლებრივი რეგლამენტაცია“.

თუ ცნება „თავისუფალ გამოყენებას“ განვიხილავთ სანებართვო სისტემის გარეშე, როგორც კერძო ფირმის უფლებას არა მარტო გამოიყენოს ხლენადი ნივთიერებები, არამედ მოპოვოს მათზე საკუთრების უფლებაც, მაშინ ამ ჭკუფში აუცილებელია შევიტანოთ ის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების 1964 წლის კანონი ატომური ენერჯის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მრეწველობის ათწლიანი პერიოდი (1954-1964 წწ.) აღინიშნა კერძო ატომური ელექტროსადგურების რიცხვის ზრდით, რომლებიც დღეს უკვე კონკურენციას უწევენ კლასიკურ ელექტროენერგეტიკულ მრეწველობას.

საერთო აზრით ხლენადი ნივთიერებების უკმარობა არ იერძობა და მისალოდნელი არ არის მომავალშიც. აქედან გამომდინარეობს ამ კანონის არსებითად ახალი თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური ბირთვული ნივთიერებები უკვე აღარ შეადგენს სახელმწიფოს ან ატომური ენერჯის განსაკუთრებულ საკუთრებას (როგორც ეს იყო 1946-1954 წლებში), არამედ შეიძლება იქცნენ კერძო ფირმების საკუთრებადაც. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ არსებითი ცვლილების მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება შექმნას ბაზარი ატომური ენერჯის სფეროში.

მიუხედავად ამისა, ახალი კანონი ინარჩუნებს ადრე მიღებულ სალიცენზიო სისტემას და ატომური ენერჯის კომისიას აძლევს უფლებას გამოისყიდოს ხლენადი მასალები იმ პირებისაგან, რომლებსაც ლიცენზია აქვთ, განსაზღვროს გარანტირებული ფასები რეაქტორში წარმოებული ხლენადი მასალების გამოსასყიდად, ასევე კომისიას ანიჭებს უფლებას გამოისყიდოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც მესამე სახელმწიფოს მიეყიდა (1964 წლის კანონის 4,5 და 6 მუხლები).

მოკვანილი წესიდან გადახვევა დაიშვება იმ შემთხვევაში, როცა ლაბარაკია განსაზღვრული სახის ატომური დანადგარების განვითარების შესახებ (მაგ., ხლენადი მასალების გადამამუშავებელი დანადგარი) ან ბაზარზე მარგულირებული ფასების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნული არსებითი ცვლილებებისა, ნებართვის სისტემა ატომური ენერჯის გამოყენების სფეროში რჩება სახელმწიფოს მხრივ კონტროლის იარაღად.

ბედნიანი, მოქალაქე, პროკურორი



გრიგოლ სამსონის ძე ბიწაძეს 60 წელი შეუსრულდა. ის ბედნიერია. ბედნიერია არა ყოფილი კეთილდღეობით, არამედ იმით, რომ განვლო რთული და მძლეობაზე ცხოვრების გზა — ჭიათურმანგანტრესტის № 2 მაღაროს ყოფილი მენიჩბე გახდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი. ბედნიერია, რომ არის მუდამ პრინციპული, გულმართალი, სამართლიანობისადმი მებრძოლი, სინდისისადმი, მოვალეობისადმი ერთგული. იგი ბედნიერია იმით, რომ გრძნობს გარშემო მყოფთაგან სიყვარულსა და პატივისცემას, თავისი შრომის ღირსეულ დაფასებას.

გრიგოლ ბიწაძე, როგორც იტყვიან, საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლისსისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანია. იგი ყოველთვის პროკურატურის ცხოვრების შუაგულშია; მისი ყოველდღიური მშფოთვარე ცხოვრების, მიღწევებისა და წარუმატებლობის გულშემატკივარია.

უაღრესად საპატიო, რთულ და პასუხსაგებ მოვალეობად მიაჩნია მას პროკურორის ჭეშმარიტი დანიშნულება — სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა. მძიმეა ეს ტვირთი, მაგრამ. საინტერესო და შინაარსიანი — იგი იცავს ადამიანებს

უადამიანობისაგან; უზრუნველყოფს სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს, რომელიც ერთი დანაშაული არ დარჩეს დაუსჯელი; საპროკურორო საქმიანობა — ეს არის ბრძოლა ადამიანებისათვის და ადამიანებთან, მშრომელთა საკეთილდღეოდ, და ეს რთული საქმიანობა მისთვის მოთხოვნილების საგნად არის გადაქცეული, შერწყმულია მის პიროვნებაში.

ხალხთან ურთიერთობაში ჩანს გრიგოლ ბიწაძე ყველაზე მეტად, როგორც ადამიანი და პიროვნება. გულისყურიანი და ფიქრიანი, მოთმინებით და გულისხმიერად რომ უსმენს მასთან მიღებაზე მოსულთ, ხან მკაცრია და უღმობელი, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი და დიდსულოვანი.

საბრალდებო სიტყვით გამოსვლისას — ყველგან და ყოველთვის თავს იჩენს მისი თანმიმდევრული პრინციპულობა და საქმის კარგი ცოდნა.

იურისტთა თავყრილობაზე ისე უშუალოდ და უბრალოდ, ნათლად და ღრმად ლაპარაკობს ტრიბუნიდან დანაშაულობის თავიდან აცილების, გამოძიების ხარისხის ამადლების და სოციალისტური კანონიერების სხვა საჭირობოროტო საკითხებზე, თითქოს ოჯახის წევრებს ყოფითს ამბებზე ებაასებათ.

ბევრი რამ უნახავს, ბევრი რამ იცის. მთავარი კი ის არის, რომ მას ესმის თავისი საქმე, ესმის ღრმად, ძირფესვიანად. ეს მისი სულიერი სამყაროა.

უანგარო შრომისთვის კი ღირსეულად აფასებენ — დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, სიგელებით, მაღლობებითა და ჯილდოებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება; პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საპატიო სიგელით არის დაჯილდოებული.

60 წელი შეუსრულდა ქართველ იურისტთა ერთ-ერთ კარგ წარმომადგენელს, მართალსა და გულისხმიერ პრაქტიკულ მუშაკს გრიგოლ სამსონის-ძე ბიწაძეს.

შრომითი გამარჯვებები, პირადი ბედნიერება და მზეგრძელობა ყოფილიყო მუდამ მისი თანამგზავრი.

ხალხის ინფანტერიის საღიარო



ქუჩაში ყოველთვის აჩქარებული ნაბიჯით დადის, თითქოს ვიღაცამ უხმო. ასე სერავს იგი ყოველდღე ნაცნობ ქუჩებს. წლებს წლები მოემატა, ჭადარას ჭადარა, ნაბიჯებს კი სიჩქარე არ მოკლებია. გზად შემხვედრნი მოწიწებით აძლევენ სალამს და მერე სიყვარულით საგსე თვალებით აცილებენ. ხალხის სიყვარული კი მან ბეჯითი შრომით, ბევრი თეთრად გათენებული ღამეებით დაიმსახურა. ოცი წელია კანონიერების სადარაჯოზე, ათეულ ათასობით ადამიანთა მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრების სადარაჯოზე დგას თელავის რაიონის პროკურორის თანაშემწე ივანე ბურდული. ამ ხნის განმავლობაში, რამდენი შემთხვევითი დამნაშავე იხსნა მან, რამდენს უჩვენა სწორი, მართალი გზა.

1940 წლამდე მისი ბიოგრაფია ძალზე ჩვეულებრივი იყო. დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში, ღარიბი გლეხის

ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა სიღნაღის საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს და მუშაობა დაიწყო მცხეთის საშუალო სკოლაში.

— დაიხსომეთ, თითოეული წამი, წუთი, გაკვეთილი უკვე ისტორიაა თვითეული თქვენგანისათვის, — ეუბნებოდა მოსწავლეებს.

იქნებ თამამად ნათქვამია, მაგრამ ეს ხომ მართლაც ასეა. ასეთივე სამახსოვრო გახდა მისთვის თვითეული წამი 1940 წლის ოქტომბრიდან, როდესაც იგი არმიაში გაიწვიეს.

ომის წლებმა წარუშლელი დადი დაარჩიეს ივ. ბურდულს. ამიტომაც არის, რომ უჩვეულო მდგეღვარება იპყრობს მას, როცა იხსენებს ომის წლებს.

ყველამ, მათ შორის ბურდულმაც კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო მთელი ხალხის სულიერი და ფიზიკური ენერჯის უკიდურესად დაძაბვა, თავგანწირვა, რომ გადარჩენილიყო კაცობრიობა. და აკი არც მან დაზოგა თავი სხვა მრავალთა შორის. მამაცი საბჭოთა ჯარები ესტონეთის ქალაქ ნარვის კარისათვის აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს. ამ ისტორიული ქალაქის გათავისუფლებისათვის გმირულად იბრძოდა მანამდე ორჯერ მძიმედ დაჭრილი ივანე ბურდული.

ჩვენმა ჯარებმა ნარვის კარი ვაათავისუფლეს ფაშისტთა ურდოებისაგან. ივანე ბურდული კი ჰოსპიტალში აღმოჩნდა... აღების დროს ნაღმმა მას მარცხენა მხარი მოწყვიტა.

როდესაც მასთან საუბრობთ, იგი წარსულის ბევრ ამადღევებელ ეპიზოდს იხსენებს. იგონებს თუ, როგორ იბრძოდა იარაღით ხელში, სამშობლოს დასაცავად

და როგორ დაუბრუნდა სამშობლოს ვალმო-
ხდილი. ომის წლებში ფაქტური შემართე-
ბისათვის იგი დააჯილდოეს სამამულო
ომის პირველი ხარისხის ორდენით.

ჯერ კიდევ ომის წლებში მიეცა საშუა-
ლება ივანე ბურდულს დაეწყო დამსხვრე-
ული ოცნებების განხორციელება. 1944
წელს მან სწავლა დაიწყო თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ
ფაკულტეტზე. 1949 წელს იგი უკვე სა-
გზურით ხელში მიდის ადიგენის რაიპრო-
კურატურაში სახალხო გამოძიებლად და
დიდი მონდომებითა და სიყვარულით ასრუ-
ლებს მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.

1951 წელს ივ. ბურდული გადაიყვა-
ნეს ყვარლის რაიპროკურატურის გამოძიე-
ბლად. მისი ნაყოფიერი მუშაობა შეუმჩნე-
ველი არ რჩებათ. მას აწინაურებენ და
1952 წელს ნიშნავენ ყვარლის პროკურორის
თანაშემწედ, სადაც მუშაობას განა-
გრძნობს ჩვეული ენერგიითა და მონდომე-
ბით.

1954 წელს ყვარლის პროკურორის მო-
ვალეობის დროებით შესრულების დროს
ივ. ბურდულმა მიიღო შეტყობინება ბანდი-
ტების მეთაურის გ. ცისკარიშვილის შესა-
ხებ. ივ. ბურდულმა გულდასმით შეისწა-
ვლა ყველა ფაქტი, დაადგინა ცისკარიშვი-
ლის ადგილსამყოფელი და რამდენიმე
დღეში დააპატიმრა კიდევ. ამ საქმეზე გა-
მოძიება თვითონ ჩატარა, გამოავლინა
ბანდის ორი ახალი წევრი. საქმეზე გამო-
ძიება 25 დღეში დაამთავრა. საქმეში გა-

მავალი ყველა დამნაშავე მსჯავრდე-
ბული იქნა. ოპერატიულობის გამოჩენისა
და საქმის ხარისხიანი გამოძიებისა-
თვის ივ. ბურდულს საქართველოს სსრ
პროკურორის ბრძანებით მადლობა გამოე-
ცხადა. მრავალი ასეთი ფაქტების ჩამოთ-
ვლა შეიძლება...

1954 წლიდან ივ. ბურდული თელავის
რაიონის პროკურორის თანაშემწეა. სამარ-
თლიანობა და უდრეკობა, გონებამახვი-
ლობა და ცხოვრების ალღო — აი მისი და-
მასხასიათებელი ძირითადი შტრიხები. იგი
ყოველთვის ეძებს სიკეთეს, რომელიც იმარ-
ჯევს ბოროტებაზე, აინტერესებს ხალხი,
მათი ბედი და ყოველთვის დაუსარელია,
დიდი სიკეთითა და სულიერი სილამა-
ზით აღსავსე პიროვნებაა.

მკვლევლობის საქმეთა გამოძიების დროს
ოპერატიულობისა და ინიციატივის გამო-
ჩენისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა.
ბოროტმოქმედთა დროული დადგენა და
მათი გასამართლება, ივ. ბურდულს მრავალი
მადლობა და ფულადი ჯილდოები
აქვს მიღებული.

....შრიალბეგ ნაძვის ხეები და ჭადრე-
ბი, ივ. ბურდული ამაყად მიაბიჯებს ქუ-
ჩაში და ჩუმად, სხვისთვის შეუმჩნევლად,
ხვალინდელი დღის გეგმებს ადგენს, იცის,
რომ მის წინ უფრო სასახელო და შინაა-
რსიანი ცხოვრებაა.

ვახვალა ვახალიშვილი

გონიერი ჩიქვი

თავი მეოთხე*

გლებ მოუ გახლდათ ჯმუხი, ტანდაბალი ჭაბუკი, რომელსაც უღალი გრუხა თმა ჰქონდა. მან ერბოკვერცხი ტაფიდან თევზზე გადმოიღო, ხედ ლორის ორი სქელი ნაჭერი დაადო და მაგილაზე დაიდგა.

ფანჯარასთან მდგომი პიტ ვანერი მას თვალს არ აშორებდა.

— რას შემომყურებ? — შეუღრინა უკმაყოფილო მოუმი.

— შენი მადლი აღფრთოვანებული ვარ, — მშვილად მიუგო პიტმა.

— აღფრთოვანებას ისა სჯობს, შენც დაეგლო და შეხეთქო. სულ ერთია, საქმე არა გვაქვს, უნდა ვისხდეთ და ველოდოთ.

— არა მშია, როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს მოგვიწევს კიდევ ლოდინი?

მოუმი ცნობისმოყვარეობით შეხედა.

„უცნაური ბიჭია, — გაიფიქრა მან. — ამის გამტყუნება ნამდვილად ძნელია. ყოველი ადამიანი, ვისაც კი ასეთი ღვინისფერი ტყირბი ექნება ცხვირპირზე უნებურად გახდება უცნაური.“

— ვიღრე არ გვიბრძანებენ, აქ ვისხდებით, — უპასუხა მოგვიანებით მოუმი.

მან ლორის ნაჭერი სწრაფად გადასანლა, ფინჯანი ახლოს მიიწია და ყავა გემრიელად მოხვრიბა.

— ვერ მივმხდარვარ, რაღა შენ დაგავალეს ასეთი სასიამოვნო საქმე. მაღლობა ღმერთს, ჯერ არ მოგმკვდარვარ, ხელში კიდევ მაქვს ძალა. მე ათობით კაცი გამისტუმრებია, შენ კი არც ერთი.

პიტმა ამოიოხრა.

— როდისმე ხომ უნდა დავიწყო. — მან ხელში აიღო ფრენსის კოლეშანის ფოტოსურათი, რომელიც იქვე მაგილაზე იდო, და დააშტერდა. — ნეტავ ეს სხვა ქალი იყო!

— ჰო, ეშმაკმა დალახვროს! — გაუღიმა

მოუმი. — სწორს ამბობ. გვირავი ჩასაკენეტო გოგოა.

პიტი ფოტოსურათს ათვალღერებდა. ქალიშვილის სახე უცნაურად აღეღვებდა. უცნობს ისეთი რაღაც ჰქონდა სახეში, რაც გულს უჩუყებდა. ალბათ ეს იყო სიცოცხლის ხალისის გულწრფელი გამოხატულება, ისეთ ადამიანს რომ აქვს, ვისაც ცხოვრება ყველაზე წარმატებულად გასასვლად მიაჩნია. მოუ თვალს არ აშორებდა პიტს.

სწორედ ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის მკვეთრი ხმა ბინის შესასვლელთან, და მოუ ოთახიდან გავარდა.


პიტმა ერთხელ კიდევ შეხედა ფოტოსურათს. მან წარმოიდგინა, თუ რა გამომეტყველებას მიიღებს ქალი მის დანახვაზე. სიცოცხლის ხალისი გაუქრება თვალზე და, შიშით აღსავსე, მტრულ მზერას სტყორცნის სწორედ ისე, როგორც ამას ყველა ქალიშვილი აკეთებს ხოლმე მის დანახვაზე.

— აიბარგე! წავედით! — შემოვარდა ოთახში ყვირილით მოუ. — ზუსტად ნახევარი საათია ჩვენს განკარგულებაში. უნდა მივადწიოთ იმ ადგილს, შევასრულოთ დავალება და უკვალოდ გავქრეთ. შეხვედრის ადგილი ქალაქის მეორე ბოლოშია.

პიტმა ხელი წაავლო ყურნალების დასტას (რათა ფრენსის ბინაში შესვლის საბაბი ჰქონოდა), ყოველი შემთხვევისათვის კიდევ შეამოწმა, ელო თუ არა პიკაჟის ქვეშ ქარქაშში სამდიუმანი, სამართებელივით ალესილი სტილენტი და მოუს დაედგენა. სახლის შესასვლელთან იდგა ძველი „ბაკარდი“. გარეგნულად შეღახულ მანქანას, მოუს რიგიანი მოვლის წყალობით, მოტორი თითქმის ახალი ჰქონდა. მანქანა ჩვეულებისამებრ არნახული სისწრაფით მოსწყდა ადგილს. პიტს ეს ყოველთვის აოცებდა.

— აი, როგორ უნდა მოვიქცეთ, — დაიწყო მოუმი. — მე ამ ჯაბახანაში დავგრჩები და არ გამოვრთავ მოტორს, შენ კი სახლში შეხვალ და

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1969 წ. № 1, გვ. 77—86, № 2, გვ. 92—96.



დარეკავ. თუ თვითონ მოვა კარებთან, მაშინ ეგ ოხერი უტრნალეები მოიშველიე და როგორმე მოახერხე, რომ ოთახში შეგიბატეოს. ხოლო თუ სხვა ვინმე გამოვიდა, სთხოვე დაუძახოს მის კოლეშას. გასაგებია? როცა მასთან პირისპირ დარჩები, უცოდველი კრავივით მოიკატუნე თავი, ან სხვა რამ მოიგონე. გაიგე? დანა რაც შეიძლება ძლიერად ატაკე და ხმის ამოღებასაც ვერ მოასწრებს. მერე სირბილით დაბრუნდი მანქანასთან. ჩვენ სასწრაფოდ გავჩნდებით უილკტონისა და მე-15 ქუჩის გზაჯვარედინთან და ამ ჯაბახანას იქ დავავადებთ. სწორედ ამ დროს მოვესწრებს დატჩი, ჩავგვვამს მანქანაში და კლუბში მიგვიყვანს. მერე ჩავსდებით სწრაფმავალ კატერში და კეიდის რეიდამდე მივალთ. აქედან თვითმფრინავით გავფრინდებით ჰავის კუნძულებზე.

პიტმა არაფერი უბასუხა. იგი თითქმის არ უსმენდა მიუხედავად იმისა, რომ ღიჯობდა: მის ცხოვრებაში როგორც იქნა დღეა გადაწყვეტი მომენტი.

— აი ეს ქუჩაც, — უთხრა მოუმი ხუთი წუთის მგზავრობის შემდეგ, — ლენოქს-ავენიუა. — მან სიჩქარეს უკლო და მანქანა ნელა გაატარა ოთხსართულიანი სახლების გასწვრივ. — აი იქ, ვხას იქით. — შემდეგ მანქანა მოატრიალა და ქუჩის მეორე მხარეს დააყენა. — აქედან მესამე სახლია, — აუხსნა მან. — აქ დავგლოდები. როგორც კი გამოხვალ, შენთან გავჩნდები.

პიტმა აიღო თავისი უტრნალეები, გააღო მანქანის კარი და გამოვიდა. როგორღაც გული დაუქშიმდა.

— როგორა ხარ? ხომ ყოჩაღად? — გადმოსძახა მანქანიდან მოუმი.

— გვარიანად! — მიუგო პიტმა.

გვარიანად მაშინ იქნება, როცა ქალიშვილის ზიზღით აღსავსე თვალებს შეხვდავს. სიამოვნებით ვაკეთებს იმას, რისთვისაც ახლა მიდის. როცა პიტი ორ პატარა ვაზონს შუა ბილიკს შეუყვია, პირველ სართულზე ერთი ფანჯრის ფარდა გადაიწია. მან ფეხი შედგა საფეხურზე და სადარბაზოში შევიდა. თვალი შეავლო ოთხ ფირფიტას, რომლებზეც გვარები ეწერა, და მერე მხერა კართან დაყენებულ ოთხ ზარზე გადაიტანა. გვარები წაიკითხა. ფრენსისის მეგობრის ბანტ ბოიდის ბინა მეორე სართულზე იყო. უცებ იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ. შემოტრიალდა თუ არა, შეამჩნია, პირველი სართულის იმავე ფანჯარაში ფარდა კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს. ფარდაში მოჩანდა მამაკაცის ლანდი. როცა მეორე სართულს მიადგინა, გაიგონა ჯაზური მუსიკა, რომელსაც რადიოთი ვადმოსცემდნენ. კიბის ბაქანზე შეჩერდა. ამ დროს ბინის კარი გაიღო.

ქერთამიანი ქალიშვილი, სახე შოკოლადის

ეტრეკეტზე ნახატს რომ მიუგავდა, ღიმილით გამოვიდა ბაქანზე. შეავლო თუ არა თვალი უცნობი მამაკაცის სახეს, ღიმილი ტუჩებზე შეაცივდა. მის თვალებში პიტმა დაინახა გამომეტყველება, რომელსაც მოელოდა, და იგრძნო, რომ ახლა ყველაფერს ჩაიდენდა.

მოსულმა ნაძალადევი ღიმილით გაიღიმა და წყნარი, შემპარავი ხმით შეეკითხა:

— მიბრძანეთ, გეთაყვა, მის კოლეშანი შინ არის?

— ფრენკისთან მოხვედით? — შეაგება კითხვა ქალიშვილმა. — მაშ თქვენ ბერტ სტივენსი იქნებით. ამ წუთას გამოვა.

ქალიშვილი ქუსლებზე შეტრიალდა და ბინაში შევარდა. პიტმა ხმის ამოღებაც ვეღარ მოასწრო.

იგი იღვავა, ელოდა, ხელით ბიჯაქის ქვეშ სტილეტის პლასტმასის ტარი ჩაებლუჯა. ქალიშვილს კარი ნახევრადღია დარჩენოდა და ახლა, როცა კორიდორში კიბის ბაქნისაკენ მოდიოდა მეგობართან ერთად, პიტის ყურამდე მიადგინა მისმა დრამატიზმით აღსავსე ჩურჩულმა: „საშინელება! არაფრით არ შეიძლება მის გვერდით ვავლა, არაფრით!“ მოსულს მოლოდინში გული ძალუმად უცემდა, სისხლი საფეთქლებში აწვებოდა. მაგრამ აი კარი გაიღო და მზის სხივებით განათებული კიბის ბაქანზე გამოვიდა ფრენსისი, ხორცშენსნული ფოტოსურათი. მხოლოდ ტანით უფრო პატარა იყო, ვიდრე პიტს წარმოედგინა. ქალიშვილის სახეს ასხივოსნებდა გულწრფელი ღიმილი. თვალებში სწორედ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მაშინ, ფოტოსურათს პირველად რომ შეხედა. მოსული მეზღადევივით იღვავა ერთ ადგილას. დამაბული ელოდა, როდის შეცვლიდა ღიმილს ზიზღით აღსავსე გამოხედვად. მაგრამ ღიმილი არ ქრებოდა, სახეს კვლავ ასხივოსნებდა სიხარული. ქალი მართლაც ბედნიერი ჩანდა მასთან შეხვედრით.

— თქვენ ალბათ ბერტი ხართ? — გაემართა უცნობი მამაკაცისკენ ფრენსისი და ხელი გაუწოდა. — ტერმი მითხრა, რომ თქვენ მის მაგივრად წამოხვალთ. ეს დიდი ყურადღებაა თქვენი მხრივ, დავიდუბებოდი, რომ არ მოსულიყავით.

სტილეტის ტარზე მოჭედილი ხელი მოუშვა და თავისთავად დაცურდა ძირს. პიტმა იგრძნო, როგორ შემოეჭრა მის ხელს ქალიშვილის ცივი თითები. უნდობლად შეხედა სახეში და გაოცებული დარწმუნდა, რომ ქალიშვილის თვალები არც ჩანდა და აღარც გამოჩნდებოდა.



კიბის ბაქანზე გამოჩნდა ბანტი. მას მოჰყვებოდა ბუძგურად გაკრეჭილი, მაღალი, კუნთმა-



გარი ჭაბუკი, რომელიც ფართოდ იღიმებოდა. წითელი მოხატული პერანგი კარგად გაუთოებულ სპორტულ შარვალზე გადმოეშვა. ხელში ეჭირა თეთრ-წითელ ზოლებიანი ნივთების ჩასაწყობი ჩანთა.

— ბერტ, ეს ბასტერ ვოლკერია, — უთხრა ფრენსისმა პიტს. — ბანტს კი უკვე იცნობ, ასე არ არის?

პიტმა შეხედა ჯანდონით საესე ჭაბუკს, რომელიც ღიმილით უწვილიდა ხელს. მის თვალებში არ ჩანდა გაცემა, მით უმეტეს ზიზღი, მხოლოდ მეგობრული კეთილგანწყობილება იხატებოდა.

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — უთხრა ბასტერმა. — სამწუხაროა მხოლოდ, რომ აღრე ვერ გავაფრთხილეთ.

პიტმა რაღაც წაიბურტყუნა და ხელი ჩამოართვა.

— არა სჯობს ეს ყურნალები დატოვო და როცა დავბრუნდებით, მაშინ წაიღო? — შეეკითხა ფრენსისი და ყურნალებს სწვდა.

პიტი მიპყვა ქალის ნებას. იგი მღუშმარედ უთვალავალდებდა, როგორ შებრუნდა იგი ბინაში, ყურნალები პატარა მაგიდაზე დააწყო, გამოვიდა და კარი მიაჯახუნა.

— აბა, წავიდეთ, — თქვა ფრენსისმა და ხელკავი გამოსდო მოსულს. პიტი ფრენსისს მორჩილად მიპყებოდა კიბეზე.

როცა კიბე ჩაათავეს და სადარბაზოს მიაღწიეს, ბასტერმა მიმართა პიტს:

— ტერიმ ალბათ ვითხრა, სადაც მივდივართ, ბერტ, არა?

პიტმა თვალი მოაჩიდა, განზე გაიხედა:

— არა... არ უთქვამს...

— ტერისაგან ასეც იყო მოსალოდნელი! — წამოიძახა ბასტერმა. — დიდი უცნაური ვინმეა! ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დღე პლაჟზე გავტაროთ, ხოლო შემდეგ ლუნა-პარკში წავიდეთ.

ბასტერმა გამოაღო სადარბაზოს კარი, განზე მიდგა და ქალიშვილები გაატარა.

— მანქანა კუთხეში მიდგას, — მიიძახა მან პიტს, დაეწია და მის გვერდით განაგრძო სიარული.

პიტმა თვალი მოაკრა, რომ პირველი სართულის იმავე ფანჯარაზე ფარდა კვლავ შეირხა და მის უკან მდგომმა მამაკაცმა ოთახის სიღრმისაკენ დაიხია.

— ბებრუტუნა ისევ გვითვალთვალავს, — წაიბუზღუნა ბანტმა.

— შესაძლოა იმიტომ, რომ მარტოხელაა, — დაიცვა იგი ფრენსისმა.

— შენი გამოსწორება არ იქნება, ფრენკი, — მოუთმენლად წარმოთქვა ბანტმა. — ყველა

ვიგინდარას მოუნახავ გასამართლებელ საბუთს.

პიტმა იგრძნო, როგორ აუჭარხალდა სახე. „თურმე რაში ყოფილა საქმე, სიბრაულეში! იგი იმ ადამიანთაგანია, რომლებსაც სიბრაულელის გრძნობა აუღლებმულვბთ“.

„პაკარდი“ ოციოდე იარღის მინძილზე იდგა. ახლა რომ დაარტყას დანა, მოასწრებს მანქანამდე მირბენას, ვიდრე ჭაბუკი და მეორე ქალიშვილი გონს მოეგებიან. მაგრამ ფრენსისი და ბანტი უკვე რამდენიმე იარღით უსწრებდნენ წინ, ხოლო გვერდით ბასტერი მიპყებოდა... პიტმა დაინახა, როგორ გაიჭრა წინ მანქანა და მერე ისევ გაჩერდა. საინტერესოა, რას ფიქრობდა ახლა მით. პიტმა იგრძნო, როგორ დაუარა ტანში ყრუანტელმა. გამორიცხული არ იყო, რომ მოუჩაერებოდა საქმეში და მანქანიდან ესროდა ქალიშვილს. პიტმა უნებურად აუჩქარა ფეხს, მანძილი შეამოკლა და ისე განაგრძო სიარული, რომ ფრენსისს ჩამოფარებოდა.

პატარა, დაღწილ სპორტულ მანქანას წაადგენ.

— მანქანა ცოტა არ იყოს ვიწროა, — ბოდიში მოიხადა ბასტერმა, — თუმცა ცუდად არ დადის. ბანტ, შენ უკან დაჯდები. ბერტი გვერდით მომიჯდება, ხოლო ფრენკი ბერტის კალთაზე მოთავსდება, ო კვი?

— თუ კი ბერტს არ ეშინია, რომ გავჰყვებ, კი, — იხუმრა ფრენსისმა.

— არა, არა, შესანიშნავია, — სასწრაფოდ მიიხედა პიტმა და მანქანაში შეძვრა.


პიტმა თვის სიციხლეში პირველად იგრძნო ქალიშვილის სიახლოვეთი მოგვრილი ბედნიერება. გაიღიმა, როცა ფრენსისი ჩაეხუტა. საპასუხოდ ქალიშვილმაც გაუღიმა და მერე შესციინა კიდევაც.

ვიდრე ზღვას დაინახავდნენ, მანამდევე მისწვდა მათს სმენას ლუნა-პარკიდან მოვარდნილი ღრიალცელი — ყვირილი, წივილი და სიცილი ადამიანებისა, რომლებიც დღეს პლაჟზე ატარებდნენ.

— ვერ გამიგია, საიდან მოდის ამდენი ხალხი, — ძალიან ხმაძაღლა თქვა ფრენსისმა, მოტორის ხმა რომ ჩაეხშო. — როცა უნდა მოხვიდე, პლაჟი ხალხით არის გატენილი.

პიტმა რაღაცის თქმა დააბირა, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოხვევით ჩაიხედა მანქანის ფრთაზე მიმაგრებულ პატარა, მრგვალ სარკეში. ჯერ „პაკარდის“ ბუნდოვანი კონტურები შეიცნო, ხოლო შემდეგ საჭესთან მჯდომი მოუხვლავი თმა. პიტს ცივმა ოფლმა დაასხა. უკანასკნელი ათი წუთის განმავლობაში აღარ განსენებია არც მოუ, არც სეიველის ბრძანება.

ბასტერი გაემართა მანქანებით გაქვდილი სადგომისაკენ, ძლივძლივობით შეძვრა ორ მან-



ქანას შუა და მოტორი გამოართო. ოთხნივე გადმოვიდნენ მანქანიდან, პლაჟისაკენ გაემართნენ და მოყაყენ ბროზში გაუჩინარდნენ.

პიტი ხანგამოშვებით უკან ხედებოდა, მაგრამ მოუ არ ჩანდა. სადღაც კიანობდა იმის იმედი, რომ მოუ მათს კვალს ვეღარ მიაგნებდა. ცის ფონზე მკაფიოდ იხაზებოდა უზარმაზარი „ემშაჟის ბორბალი“. კარუსელი წელა მოძრაობდა და პატარა კაბინებს ჰაერში ატრიალებდა. პლაჟისაკენ გაემართა.

— საბანაო ტრუსი ხომ წამოიღე? — ჰკითხა ფრენსისმა პიტს.

— ვშიშობ, რომ მე არ მომიწევს ცურვა.

— არა უშვავს რა, — სწრაფად შეაგება ფრენსისმა, — ნაპირზე დავსხდეთ. არც მე მინდა ბანაობა.

— რას ამბობ! როგორ შეიძლება! ძალიან მინდა, რომ იცურო, — უბასუსხა პიტმა.

— ბერტი მიხედავს ჩვენს ტანსაცმელს, — ჩივრია საუბარში ბასტერს.

ბლივდლივობით მიიკვლევდნენ გზას პლაჟზე. ბოლოს, როგორც იქნა მოძებნეს პატარა თავისუფალი ადგილი ქვიშაზე და სასწრაფოდ დაუპატრონენ ამ ადგილს.

ბასტერს საბანაო ტრუსზე ეცვა შარვალი და დიდი ხანი არ დასკირებოდა მოსამზადებლად. ქალიშვილებსაც კაბებქვეშ ეცვათ საბანაო კოსტიუმები. პიტმა გულის ფანქვლით შეხედა ფრენსისს, რომელსაც ხამანწყისფერი, ტანზე კარგად მომდგარი საბანაო კოსტიუმი ეცვა. „ასეთი ტანი არასოდეს მინახავს“, გაიფიქრა ვაჟმა. ფრენსისმა საბანაო ქული კარგად მოირგო და ვაჟს მიმართა:

— მართლა არა გწყინს, აქ რომ გტოვებთ? იქნებ სჯობდა მეც დაბრუნებოდი?

— არა, არა. რა არის საწყენი? დაგელოდები!

— აღარ წამოხვეალ, ფრენკი? — მოუთმენლად დაუყვირა ბანტმა, ბასტერს ხელი ჩაჰკიდა და მასთან ერთად გაიქცა ზღვისაკენ.

ფრენსისმა პიტს გაუღიმა. ვაჟს ყელში რაღაც მოეჭინა. ნუთუ ასეთ მომხიზლავ ქალიშვილს შეუძლია ისე უყურებდეს და უღიმოდეს მას, პიტს, თითქოს ესეც ბასტერივით ჩვეულებრივი ადამიანი იყოს, თითქოს სახეზე ეს ემშაჟის დამა არ ჰქონოდა?

— მალე მოვბრუნდები, — უთხრა ქალიშვილმა და ზღვისკენ გაემართა.

— ემშაჟმა დაგლაზეროს! გრილდები? — გაისმა ცოტა ხნის შემდეგ ვილაცის ბუზღუნის მის მახლობლად.

პიტი ადგილზევე გაქცავდა, გული საბუღიდან ამოვარდნას ლამობდა. მის გვერდით ჩატუქტულიყო მოუ და მოყურყუმალავე ფრენსისს თვალს არ აშორებდა. ამ გარემოს, პლაჟს, მზეს მიფიცებულ ხალხს სულ არ შეესაბა-

მებოდა მისი შავი კოსტიუმი, მოხატული ჰალსტუხი და ჰვინთებიანი თეთრი ფეხსაცმელი.

— ამ ყმაწვილმა გამიღო კარი, — დაიწყო პიტმა თავის მართლება შეძლებისდაგვარად მშვიდი ხმით, — შემდეგ ორი ქალიშვილი გამოვიდა. ვილაც სხვად მიმიღეს. ვეღარაფერი მოვანერხე, ამიტომ გამოვეყვი აქ. ახლა ხელსაყრელ მომენტს ველოდები, რომ დავიმართხოვლო.

— აი სადამდე შეიძლება მივიდეს საქმე, თუ ყველაფერს აღრე არ შეამზადებ, — მოუხს ხმაში თანაგრძობის ტონი გაჩნდა, მაგრამ მისი წვრილი თვალები უნდობლად მიშტერებოდა პიტს. — ხომ ვეუბნებოდი იმ უქნარა ლუის. მან საათზე დაიხედა.

— მაძებრები ახლა მაგ გოგოს ბინაზე იქნებიან. რაც შეიძლება მალე უნდა მოუღო ბოლო. აიყვანე „ემშაჟის ბორბალზე“ და ერთ კაბინაში განმარტოვდი მასთან ერთად. სულ გააფრთხობინე მაშინ, როცა სულ მალა იქნებით.

— ო'კეი! — დაეთანხმა პიტი.

— ლაპარაკი არ კმარა, საქმეა საჭირო, — მოუჭრა მოუმი, წამოდგა და პლაჟი დატოვა.

პიტი განაგრძობდა მზის გულზე ჯდომას, სახეზე ოფლმა დაასხა, შიშისაგან გული ეკუმშებოდა. ფრენსის მოკვლას არ აპირებდა, მაგრამ სანაცვლოდ თავის თავს სწირავდა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ორგანიზაციის ბრძანება არ შეესრულებინოს და ურჩობისათვის მზე არ დაბნელებოდა. მართალია, ხანდახან ირღვეოდა დისციპლინა, სამმა ქალაქიდან გაქცევაც კი სცადა: ერთმა ნიუ-იორკამდე მიადწია, მეორემ — მაიამიდე, ხოლო მესამემ — იტალიამდე, მაგრამ სამივეს მისწვდა ორგანიზაციის მისახვარი ხელი.

ახლა პიტი თავის თავზე აღარ ფიქრობდა. ქალიშვილი ისეთი ნორჩი, ლამაზი და კეთილი იყო, რომ სასიკვდილოდ არ ემეტებოდა. მაინც როგორ შეეძლო მისი გადარჩენა?

ერთადერთი გამოსავალი იყო ფრენსისის გაფრთხილება და მოუხს მოკვლა. თუ კი მოუხს ალაგმვას მოახერხებდა, ფრენსის დაახლოებით ერთი საათი დარჩებოდა თავის გადასარჩენად. ამ ხნის განმავლობაში იგი მოახერხებდა ქალაქიდან გასვლას და მიმალვას, ვიდრე ორგანიზაცია მიხვდებოდა, რომ მსხვერპლი ხელოდან დაუხსნლტა. მაგრამ პიტს დიდი სიფრთხილე მართებდა. მოუმი ნამდვილად იკრა სუნი. ამას გარდა, დიდად დახელოვნებული იყო ბისტოლეტის ტრიალში, პიტზე ბევრად უკეთ ისროდა. როგორმე უნდა აეხვია მისთვის თვალი და ხელსაყრელ მომენტში ბოლო მოეღო.

ჯერ კი საჭირო იყო ფრენსისის გაფრთხილება. ამისათვის დასკირდებოდა მისი ცალკე გაყვანა, ბასტერისა და ბანტისაგან მოშორება,

თორემ ბასტრის შეეძლო ფარაონის მოხმობა და მაშინ მოუს მოკვლა გაჭირდებოდა.



შე-თეთრი უჯრედებით მოხატულმა პოლიციის მანქანამ ლენოქს-ავენიუზე შეუხვია, სიჩქარეს უკლო და ოთხსართულიანი შენობის წინ გაჩერდა.

კონრადი ღელავდა. ძლივძლივობით მთახერხა თავის შეყავება, როცა მაკ კენმა დაურეკა და უთხრა, ფრენის კოლემანი ლენოქს-ავენიუზე, 35-ე ნომერში აღმოჩნდაო. ბარდენს მაინც დაელოდა და მასთან ერთად ჩაჯდა პოლიციის მანქანაში.

— მალე დამთავრდება შენი წამება, — დილით უთხრა ბარდენმა, — სანამღვოს ვდებ, რომ მას არავინ არ უნახავს.

— წამო, ვკითხოთ, — მიუგო კონრადმა და ბაღის ტიშკარს ხელი ჰკრა.

იგი შეჩერდა, ფირფიტებზე მობინდრეთა გვარები წაიკითხა და მეორე სართულის ზარს ხელი დააჭირა. საღარბაზო სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრა და კიბის საფეხურებს აუყვა. ბარდენი დაედევნა.

მეორე სართულის კიბის ბაქანზე შეჩერდნენ. კონრადმა კარზე დააკაკუნა. ცოტა ხანს ყური მოეღვრა, როცა არავინ გამოეპასუხა, ხელახლა დააკაკუნა.

— მგონი შინ არავინ არის, — წარმოთქვა კონრადმა და მოიღუშა. — ეშმაკმა დალაზვროს! ახლა რაღა ვქნათ?

— მოგვიანებით მოვიდეთ, — ფილოსოფიური ტონით მიუგო ბარდენმა. — ამ შესანიშნავ დილას ვინ გაჩერდებოდა სახლში?

— იქნებ ვინმემ იცოდეს, სად წაიდა, — წარმოთქვა კონრადმა, როცა საღარბაზოში ბრუნდებოდნენ.

მთავარ შესასვლელთან ჩამოვიდნენ. კონრადმა ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ კარი გაიღო და მაღალი, წელში მოხრილი მოხუცი გამოჩნდა. მას ხამი ქსოვილის კოსტიუმი ეცვა. მოხუცმა თავისი გამორცხილი ცისფერი თვალები უცნობ მამაკაცებს მიაპყრო.

— დილა მშვიდობისა, ბატონებო, — თქვა თქვა მან. — რითი შემიძლია გემსახუროთ?

— მე პოლ კონრადი ვარ სოლოქო პრაქტიკურიდან, ეს კი ლეიტენანტი ბარდენია ქალაქის პოლიციიდან, — მიუგო კონრადმა, — რაღაც საქმე გვაქვს მეორე სართულის ხალხთან, მაგრამ, მგონი, შინ არ არიან. შემთხვევით ხომ არ იცით, როდის დაბრუნდებიან?

მოხუცმა დიდი წითელი ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და ცხვირი მოიხატა.

— სჯობს შინ შემობრძანდეთ, ბატონებო, —

შეიბატიე მოხუცმა და ბინის კარი ფართოდ გაუღო.

— გმადლობთ, — მიუგო კონრადმა და ბარდენს მიჰყვა.

— დაბრძანდით, ბატონებო, — შესთავაზა მათ მასპინძელმა. — ნება მიბოძეთ ჩემი თავი წარმოგიდგინოთ: პოლკოვნიკი ნიუმენი. — იმედი მაქვს, ბატონებო, ჩემთან ერთად დალევთ.

— გმადლობთ, პოლკოვნიკო, მიუგო კონრადმა, — გვეჩქარება. ხომ არ შეგინიშნავთ, მის კოლემანი გამოვიდა თუ არა ამ დილით სახლიდან?

— როგორ არა. ყველანი ერთად წავიდნენ, — უბასხუა პოლკოვნიკმა, რომელსაც ხელში ვისკის სირჩა ეჭირა და სკამზე ფრთხილად ჯდებოდა. — ნუ იფიქრებთ, თითქოს ხალხს ვუთვალთვალვბდე, უბრალოდ — შევნიშნე, რამე დაემართათ?

— არა, მაგრამ მის კოლემანთან მინდოდა მელაპარაკა.

— შეგვეგვიმანთან? — პოლკოვნიკმა გაიღიმა. — დიხ, დიხ, ამ დილას ვნახე.

— სად წავიდნენ?

— რაღაცას ამბობდნენ ლუნა-პარკის შესახებ, — მიუგო პოლკოვნიკმა. — მგონი ერთმა შესთავაზათ, საბანაოდ წავიდეთო.

კონრადმა მწარედ ჩაიციხა. მან იცოდა, რომ პლაჟზე ფრენის კოლემანის ძებნა ამაო იქნებოდა.

დამწუხრებულმა მხრებილა აიჩეჩა.

— გმადლობთ, პოლკოვნიკო. შეიძლება ერთხელ კიდევ შემოვიხედო თქვენთან საღამო ხანს.


— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ არაფერი მომხდარა? — იკითხა პოლკოვნიკმა და კონრადს შეხედა. — როგორღაც ის ყმაწვილი არ მომეწონა, მათ რომ ახლდათ. თვებელი ადამიანის შესახებლაობა ჰქონდა.

— რომელი ყმაწვილი, პოლკოვნიკო? — ჩაკითხა კონრადი.

— არ იფიქროთ, რომ სულ ფანჯარას ვუზივარ, მისტერ კონრად. შემთხვევით გავიხედე ფანჯარაში, როცა ქუჩას მიუყვებოდნენ და ის ყმაწვილი შეგნიშნე მანქანაში. სახლიდან გასულელებს ნელა დაედევნა ის ყვალთმიანი ახალგაზრდა, და როგორღაც მისი გამოხედვა არ მომეწონა.

— ვისთან ერთად იყო მის კოლემანი? — შეკითხა კონრადი.

— მეგობრებთან. — პოლკოვნიკმა უკმაყოფილების ნიშნად წაიფრუტუნა. — არაფერი მინდა, ერთი ის ყმაწვილი, შარვალზე რომ გადმოუშვია პერანგი, ჩემს პოლკოში მომცა. მაშინ კი ისწავლიდა, როგორ უნდა იცვამდეს ჯენტლმენი. შემდეგ მათთან ერთად იყო კიდევ ქა-



ლიშვილი, რომლის გვარია ბოიდი, ყველაზე უფრო პირმსუქანი ქალიშვილი, როგორც კი საერთოდ მინახავს. საოცარია, და ზოგიერთი ქალიშვილი სულ არ აქცევს ყურადღებას ჭაბუკის გარეგნობას. სადღა ის ხალხი, ჩემს ახალგაზრდობაში რომ იყო. ვერ წარმომიდგენია, მის კოლეგანი როგორ უნდა გამოჩნდეს ხალხში იმ ტყირპიან ბიჭთან ერთად. მაგრამ იგი ხომ პატარა კეთილი არსებაა, ალბათ შეეცოდა.

კონრადმა და ბარდენმა ერთმანეთს შეხედეს. ორივე პირადად იცნობდა პიტ ვაინერს. იგი ჯერ არც ვრთს არ ჩაეარდნოდა ხელში, მაგრამ ორივემ იცოდა, რომ მან მათურების რამდენიმე დავალება უკვე შეასრულა.

— რაო, ვინ არისო ეს ტყირპიანი ბიჭი? — დაიბუბუნა ბარდენმა.

— არ ვიცი. წინათ არასდროს არ მინახავს. სახის მარჯვენა მხარეს ქვემოლან ტყირპი ამოუყვება.

— შეეგვრემანია, სუსტი აღნაგობისაა, სტუდენტს წააგავს, ხომ? — განაგრძობდა დაკითხვას ბარდენი.

— დიახ. შეიძლება კაცს მართლაც ეფიქრა, სტუდენტიყო.

— ხოლო მეორე ყმაწვილი, „პაკარდში“ რომ იჯდა? დაბალია, ოთხკუთხა მხრები, უღალი თმა და თეთრი სახე აქვს, ხომ?

— დიახ, დიახ, ძალიან ზუსტად აღწერეთ. ნამდვილად მანკიერი ტიპია. მანქანაზე ვერაფერს გეტყვით, მარკა არ შემინიშნავს. ისე რომ გცნობიათ ის ტიპი, არა?

ბარდენს პოლკოვნიკის შეკითხვისათვის ყურადღება არ მიუქცევია და თვითონ შეაგება კითხვა: — თქვენ ამბობთ, რომ ტყირპიანი ბიჭი ქალიშვილს გაყვება?

— ნამდვილად! თვალყურს ვადევნებდი, როცა ქუჩას მიუყვებოდნენ. აქედანაც მოჩანს გარაჟი, საიდანაც პატარა მანქანა გამოიყვანეს. წითური ტიპი თავისი მანქანით დაედევნა პატარა მანქანას.

კონრადი უფრო მეტად აღელდა.

ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ტყირპიანი და წითური პიტ ვაინერი და გლებ მოუ იყვნენ.

პოლ კონრადი და ბარდენი მსწრაფლ გამოვარდნენ სადარბაზოში, ქუჩაში გავიდნენ და პოლიციის მანქანაში ჩასხდნენ.

— ახლა რაღაც იტყვი? — პირქუშა ვაინერი კითხა კონრადი. — უნდა ვიმოქმედოთ, სემ. ჯერ გარაჟში მივიდეთ, შეიძლება იქ დაიხსომეს მანქანა. მერე მე ლუნა-პარკში გავემართები, შენ კი ხალხი მომაშველე. ორმოცი-ორმოცდაათი კაცი მაინც დაგვეკირდება. აბა, სწრაფად!

— ეშმაკმა წამიღოს, თუ მესმოდეს, რისთვის გინდა ამდენი ხალხი. მე და შენც ვეყოფით, — წამოიძახა მტკიცე ხმით ბარდენმა.

— მეეჭვება. — კონრადი გაფითრებული იყო. თვალები გაბოროტებით უციმციმებდა. — ის გოგო ახლა ორმოცდაათათასიან ბროში დაეხეტება და მას ფეხდაფეხ დასდევს მათურების ორი ჯაშუში. ამ გოგოს მაინც გადავარჩენ, თუნდაც ეს საქმე ჩემთვის უკანასკნელი იყო.

თავი მესამე

— ბანტ, ერთ წუთს მომიცადე, — უთხრა ბასტერმა. ხელებში ვედარ ეტეოდა თოჯინები, პატარა მოხატული ვაზები, ქოქოსის კაკლები და ორი დიდი კოლოფი შაქარყინული. — სადმე უნდა მოვათავსო ესენი. მომბეზრდა ამათი თრევა.

— რა საჭირო იყო ამ სისულელეების მოგება. — გაიცინა ბანტმა. — ახლა სადღა წაიღებ?

— მოდი მანქანასთან დაგბრუნდეთ, შიგ შეეყაროთ და მერე „ეშმაკის ბორბალზე“ დავედეთ.

პიტს სუნთქვა შეეკრა. აქამდე გამწარებული ცდილობდა ფრენისთან მარტო დარჩენილიყო და არაფერი გამოუდიოდა. როგორც იქნა მიეცა შესაძლებლობა. მან უკან მოიხედა. ერთ-ერთი პავილიონის მახლობლად იდგა მოუ, მისი სასტიკი თეთრი სახე ბოროტ ნაოჭებს დაედარა.

— კარგი, ბანტ, — უთხრა ფრენისმა, — ერთმანეთს შეგვხედეთ „ეშმაკის ბორბლის“ შესასვლელთან.

პიტი დარწმუნებული იყო, რომ მოუ დიდხანს არ დაელოდებოდა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოეშორებინა ფრენისი აქაურობისათვის. უცბად პიტმა მხარმარჯვნივ ნეონის აბრა შენიშნა. ზედ მსხვილი ასობით ეწერა:

სარკეების დიდი ლაბირინთი.

ნუთუ არა გსურთ განმარტობა? მობრძანდით ჩვენთან, და თქვენ გზა დაგვხევათ მსოფლიოს ყველაზე უფრო დახლართულ ლაბირინთში.

— ოც წუთზე მეტი დაგჭირდებოდა მანქანასთან მისასვლელად და უკან გამოსაბრუნებლად, — უთხრა პიტმა ბასტერს. — თქვენ დაბრუნებამდე ამ ლაბირინთში შევალთ. რას იტყვი, ლაბირინთის გამოსასვლელთან რომ შევხვდეთ ერთმანეთს?

— არა, არა! რა საჭიროა! — წამოიძახა ბანტმა. — გზა დაგებნევით და რამდენიმე საათს ვეღარ გამოხვალთ.

— არა-მეთქი! — სასწრაფოდ შეაგება პიტმა. — სულ ადვილია იქიდან გამოსვლა. მხოლოდ სულ მარცხენა მხარეს უნდა იაროს კაცმა. მაშინ ათ წუთში გამოხვალ. წამოხვალ, ფრენკი.

— კარგი, წავიდეთ, — დაეთანხმა ფრენსისი. მას ძალიანაც არ უნდოდა ლაბირინთში ხეტიალი, მაგრამ პიტი ისეთი გულისყურით ეხმარებოდა მის ყოველ თხოვნას, რომ უსამართლობა იქნებოდა ახლა უარი ეთქვა მისთვის.

— კარგი. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, შედით თქვენს ლაბირინთში. მაგრამ, თუ ნახევარ საათში არ გამოხვდით, აღარ მოგიცდით, — გააფრთხილა ბანტმა.

ისინი ნელა მიიკვლევდნენ გზას ხალხის გაუთავებელ ნაკადში. პიტმა კიდევ მიიხედა უკან. მოუ იქნეულად უთვალთვალებდა, როგორ შეერივნენ ხალხს ბანტი და ბასტერი.

პიტი სწრაფად მიუტრიალდა ფრენსისს.

— წავიდეთ, — უთხრა ქალიშვილს, — თავს შევიქცევთ.

— იმ კაცს იცნობ? — მოულოდნელად შეეკითხა ფრენსისი.

— რომელ კაცს?

— რომელსაც განუწყვეტლივ უთვალთვალებ. იმას, შავკოსტიუმისანს. დილიდან აგვედევნა და თვალს არ გვაშორებს.

— მართლა? — პიტი შეეცადა გულგრილად ელაპარაკა. — მეონი, სადღაც მინახავს.

ქალ-ვაჟი-სალაროსთან მივიდა. პიტმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ მათ ვარდა არაფერი ჩანდა ლაბირინთში შესვლის მსურველი.

— როცა შეხვალთ, სულ მხარბარცხნივ იარეთ, — დაარიგა მოლარემ. — თუ გზა დაგებნეთ, ზარის დილაკს დააჭირეთ ხელი.

პიტმა მიდლობა გადაუხადა და გაეშურა ფრენსისისაკენ, რომელიც შესასვლელთან ელოდებოდა. ქალიშვილმა პირველმა შედგა ფეხი

გრძელ კორიდორში, პიტი უკან მიჰყვა და ბოლო წუთში მოუსვენრად მიიხედა უკან. მოუ არ ჩანდა.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? — შეეკითხა წინ მიმავალი ფრენსისი. — ჰაერი საშინლად შეხუთულია, ხომ მართალს ვამბობ?

— ლაბირინთში აღარ იქნება შეხუთული ჰაერი, — დარწმუნებით უთხრა პიტმა. — სახურავი არა აქვს.

ლაბირინთი თხუთმეტფუტიანი სიმაღლის სარკეებით იყო ნაგები. კედლებს შორის თავისუფლად გაივლიდა ორი ადამიანი. სარკეები ისეთი კუთხით იდგა, რომ პირველ გრძელ კორიდორში შესვლისთანავე მათ დაერია საკუთარი თავის უამრავი გამოსახულება.

ვაჟმა ხელი მოკიდა ქალს და წინ წაიყვანა. მას განზრახული ჰქონდა ლაბირინთის ცენტრში შეეყვანა იგი, თუ კი მოუს თავს ვერ დააღწევდნენ.

...ყოველი კორიდორი, სადაც კი გაიარეს, გავლილი კორიდორის ზუსტ ასლს წარმოადგენდა. საკუთარი გამოსახულებები ყოველი მხრიდან ერტყმოდნენ გარს. ის, რაც უსასრულო ბილიკს წაავადა, მოულოდნელად თავდებოდა ჩხბით, და მათ უხდებოდათ იმდენხანს ტრიალი, ვიდრე არ მიავნებდნენ მანამდე შეუმჩნევლად დარჩენილ საჭირო მოსახვევს.

ორმა თუ სამმა წუთმა განვლო. ფრენსისმა წარმოთქვა:

— მე მგონია, უკან დაბრუნება უნდა ვცადოთ. ყოველივე ეს როგორღაც მოსაბეზრებელია...


პიტი შეჩერდა და უკან გახედა გრძელ კორიდორს, რომელიც ის-ის იყო გამოიარეს. ოცტყირპიანი ოცი საშინელი სახე შეპყურებდა მას.

როგორ გაუძნელდებოდა მთელი სიმაართლის თქმა, ახლად იგონო, როცა შესაფერისი მომენტი დადგა. მაგრამ გადასადებად დრო აღარ რჩებოდა: მოუს შეეძლო ყოველ წამს გამოჩენილიყო.

— განზრახ შემოვიყვანე აქ, რაღაც მინდოდა ამეხსნა, — დაიწყო ვაჟმა. — ვშიშობ, არ გესიამოვნება ამის მოსმენა.

— რისი თქმა გინდა?

— მე არა ვარ ბერტ სტივენსი. მე პიტ ვაი-



ნერს მეძახიან. თუ შეიძლება, მომისმინეთ და ნუ შეგვეზინდებთ.

ქალის თვალეზში ვაჟმა შიში ამოიკითხა და სიბრაღულმა გული შეუტყუშა.

— არ მესმის, — წარმოთქვა ქალმა მტკიცე ხმით, — ეს ხუმრობაა?

— ნეტავი ასე იყოს, — წამოიძახა ვაჟმა მთელი გულწრფელობით. — ვიდრე კიდევ გიტყოდე რამეს, მინდა ერთი რამ იცოდე: ამ ქვეყანაზე არაფრის გულისათვის არ მოგაყენებ ვნებას. ჩემთან არავითარი საფრთხე არ გელის. ამიტომაც გთხოვ ძალიან, ნუ შეგვეზინდება.

ქალმა ერთი ნაბიჯით დაიხია უკან.

— რაშია საქმე?

— ცოტა დრო გვრჩება, — განუმარტა ვაჟმა, თან შესაბამის სიტყვებს არჩევდა... — თვითონ არ ვიცი, რატომ ხდება ყოველივე ეს. მე მოგზაენილი ვარ, რომ შენ ვნება მოგაყენო. ადამიანი, რომელიც ჩვენ გვეთვალთვალეებს, ჩემთან ერთად არის მოსული. იგი სახიფათოა. კარგად ვიცი, წარმოუდგენელ აშბად მოგჩვენება ჩემი ნათქვამი, მაგრამ ეს კაცი შენ მოგკლავს, როგორც კი მართოს მოგიხელთებს. შენი გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა მისი მოკვლა და შენი მიმაღვა. აი რატომ მოგიყვანე აქ. შენ ზუსტად ისე უნდა მოიქცე, როგორც მე გეტყვი...

ვაჟი შეჩერდა, როცა დაინახა, როგორ ჩაუმიქვდა შეძრწუნებულ ქალს თვალეზი.

— გთხოვ, ფრენკ, ნუ გეშინია! — შეევედრა ბიტი.

— მომშორდით! — მიუგო ვაფითრებულმა ქალმა, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევდა ძალა თავი შეეკავებინა. — მე თვითონ შეგძლებ გასასვლელის მონახვას, თქვენი დახმარება არა მჭირდება. მხოლოდ გთხოვთ ახლავე წახვიდეთ, თავი გამანებოთ.

— წავალ, — მიუგო ვაჟმა სერიოზულად, — მაგრამ მანამდე უნდა მომისმინო. ის კაცი, რომელიც მოსაკლავად დაგდევს, სხვის ბრძანებას ასრულებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი ამას აუცილებლად გააკეთებს, თუ მე არ შევეშუალებ ხელი. მათ მომცეს შენი ფოტოსურათი, რათა ამის მიხედვით მეცნე. შეხედე, გაჩვენებ ამ სურათს. იქნებ მაშინ მაინც დამიჯერო, რომ სიმართლეს გეუბნები.

ვაჟმა აჩქარებით ჩაიყო ხელი პიჯაკის შიშა ჯიბეში, რომ საფულე ამოეღო. ასე ეგონა, თუ სურათს ვაჩვენებ, მაშინ ირწმუნებს იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრებაო.

მაგრამ როცა საფულეს იღებდა, საათი წამოეღო ტარს. დანა ამოვარდა ქარქაშიდან და მის ფეხთან დაეცა.

ახლა კი ქალს აღარ შეეძლო ჭოჭმანი, იგი დარწმუნდა, რომ მის წინაშე იდგა სახიფათო ფსიქოპატი, რომელმაც ამ ლაბირინთში მხოლოდ მოკვლის მიზნით შემოიტყუა. მან კარგად იცოდა, თუ საქმე ბრძოლამდე მივიდოდა, ვერაფრით მას ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომაც სწრაფად შეტრიალდა და სარკეებს შუა გავარდა.

— ფრენკი! გეთაყვა, შეჩერდი! — მიძახა ბიტი.

მაგრამ ამ თავგანწირულმა ყვირილმა ქალი კიდევ უფრო შეაშინა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა და გამალებით მიჰქროდა ვიწრო გასასვლელში.

წარმოდგენა არ ჰქონდა, რამდენ ხანს დარბოდა. ბოლოს ძალ-ღონე გამოეღია და სარკის კედელს მიეყრდნო. ხელები გულზე მიიღო, შეეცადა სული მოეთქვა.

ამ დროს მოულოდნელად დაინახა, რომ გრძელი შემოსასვლელის ბოლოს ვიღაცის ფიგურა გამოჩნდა.

ჯმუხი, ოთხკუთხამხრებიანი კაცი, რომელსაც შავი კოსტიუმი ეცვა, იდგა და მას უთვალთვალეებდა. ხელში მონიკელებული ავტომატური პისტოლეტი უბრწყინავდა. ეს იყო მოუ.



კონრადი ოციოდე წუთს გაფაციცებით ეძებდა სამადგილიან სპორტულ ავტომობილს ლუნაპარკის გარშემო განლაგებულ სადგომებზე და სულ უფრო რწმუნდებოდა თავისი განზრახვის უიმედობაში. მოულოდნელად მას შემოესმა პოლიციის სირენის ხმა და დაინახა, რომ ლუნაპარკისკენ მიმავალ ძირითად შესასვლელთან შეუხვია პოლიციელებით გაჭედილმა ბარდენის მანქანამ.

კონრადი მათკენ გაექანა.

მანქანა შეჩერდა და იქიდან ბარდენი გადმოხტა. იგი გაცხარებული და გაღიზიანებული ჩანდა.

— აბა, როგორ უმკლავდები აქაურობას? — შეეკითხა იგი. — ვერ იბოვნე მანქანა?

— აქ ათი ათასი დაწყველილი მანქანა მაინც იქნება. განალაგე შენი ხალხი და ძებნა დაიწყონ. კიდევ მოვა ვინმე?

— ორი დიდი მანქანა მოგვეყვება ფეხდაფეხ. კაპიტანი აყალმაყალს ატეხს, როცა გაივებს, რომ რეზერვი გამოვიყვანე.

— თუ კი ეს გოგო მოკლეს, ოლქის პროკურორი ისეთ აყალმაყალს ატეხს, როგორც მაკენს ჯერაც არ დასიზმრებია. დავზავნე შენი ხალხი!

— ოჰო! ერთ წუთს მაცალე, — მიუგო ბარდენმა. — შეხე, ვინ მოდის! — მან მიუთითა მაღალ, ბუძგურად გაკრეჭილ ჭაბუკზე, რომელსაც წითელი, მოხატული პერანგი შარვალზე გადმოეშვა. მას გვერდით მოჰყვებოდა თეთრ სპორტულ კაბიანი ქერა ქალიშვილი. — მგონი, სწორედ ის ორია, ჩვენ რომ ვეძებთ.

— ამ ბარკში ათასობით წითელპერანგიანი ჭაბუკია, — ამოიგმინა კონრადმა, — მაგრამ მაინც ვკითხავ. — იგი მიუახლოვდა ბასტერს. — თქვენ ეს-ეს არის მოხვედით ლენოქს-ავენიუდან, არა? — შეეკითხა იგი.

— სწორედ ასეა, მიუგო ბასტერმა. — საიდან იცით ეს ამბავი?

— თქვენ მის ბოიდი ბრძანდებით? — შეეკითხა კონრადი ქალიშვილს.

— დიახ, — გულგრილად მიუგო ბანტმა.

კონრადმა ბარდენს ნიშანი მისცა და ისიც შემოუერთდა მათ.

— სწორედ ის ორია. მოუარე, სემ.

— ლეიტენანტი ბარდენი, ქალაქის პოლიციიდან. სად არის მის კოლეშინი? — დაიბუბუნა ბარდენმა.

— ფრენკი? — გაოცებით შეხედა პოლიციელს ბასტერმა.

— კითხვაზე მიპასუხეთ! — დაუღრიალა ბარდენმა. — სად არის?

— ლაბირინთთან დავტოვეთ.

— მარტო?

— არა, ბერტთან ერთად.

— ბერტთან? — ეს ვინლაა?

— ბერტ სტივენსი. რა თქმა უნდა. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ბარდენმა კონრადს შეხედა.

— ამ სტივენსს ტყირბი აქვს? — შეეკითხა ახლა კონრადი.

— მერე როგორი!

— დარწმუნებული ხართ, რომ მისი გვარი სტივენსია?

— თვითონ ასე თქვა. რა მოხდა?

კონრადი ლაბირინთისაკენ გაიქცა.

ბარდენი მხოლოდ იმდენს ხანს დაყოვნდა; რამდენიც სერჟანტის ინსტრუქტირებას დასჭირდა:

— გარს შემოეტყით ლაბირინთს. არაფერ გამოუშვათ. ხომ იცით, ვისაც ვეძებთ.

იგი შეტრიალდა და კონრადს დაედევნა.

* * *

ლაბირინთში აღმაცერად დაცემულ მზის სხივებზე ელვარებდა მონიკელბუთული ავტომატური პისტოლეტი, მოუს ხელში რომ ეჭირა.

უკანდასახევი გზა აღარ იყო. სასოწარკვეთილმა ფრენისმა სარკეების რიგს გახედა და ათი ფუტის მოშორებით გასასვლელი დაინახა.

მთელი ძალღონე მოიკრიბა და წინ გადახტა. სწორედ ამ დროს ესროლა მოუშ.

პისტოლეტის გასროლის ხმა სარკეების ვიწრო კორიდორში ბომბის აფეთქებასავით გაისმა. ფრენისმა შემაძრწუნებლად შეჰკვივლა, როცა სარკე მასთან სულ ახლოს ათას ნამსხვრევად იქცა.



მან მოუხვია და თავის სიცოცხლეში პირველად გაიქცა ასეთი სისწრაფით. ზურგს უკან

მისდევდა მასზე უფრო სწრაფად მორბენალი აღამიანის ფეხის ხმა. ქალმა მეორე მოსახვევამდე მიაღწია, სწრაფად მოუხვია და სარკეს შეასკდა.

იგი შეეცადა წონასწორობა დაეცვა, მაგრამ ფეხი გაუტურდა და ცალ მუხლზე დაეცა. წამოდგომა უნდოდა და ამ დროს მოუმი მეორედ ესროლა.

ტყვიამ სახესთან გაუზუზუნა, სარკე დაიმსხვრა, რიკოშეტით მოხვდა მეორე სარკეს, და ისიც გატეხა.

ფრენისი ახლა ბრმად მიზნობდა, ქვითინი ახარჩობდა, სული ეხუთებოდა.

მოუ ანაზღეულად შეჩერდა, როცა სარკის ნამსხვრევებს წაადგა, კარგად იცოდა, დრო გადიოდა. ნაბრძანები ჰქონდა ამ გოგოს მოკვლა, და ისიც იცოდა, თუ ამას არ გააკეთებდა, მის სიცოცხლეს ჩალის ფასი აღარ ჰქონდა.

და უცებ ვიღაცამ უძლიერესად დაარტყა მხარში. პისტოლეტმა ყურებთან ივრგვინა. ხელი, რომელშიც პისტოლეტი ეჭირა, გადაეგრიხა და თითები გაეხსნა.

მოუ წაბარბაცდა და ზევით აიხვდა.



მან დაინახა კაცი, რომელსაც ხელში პისტოლეტი ეჭირა. მაშინვე იცნო: ეს იყო საოლქო პროკურატურის სპეციალური გამოძიებელი. სწორედ იმ მომენტში, როცა კონრადმა მეორედ ესროლა, მოუ მიწას გაერთხა.

ხელიდან სისხლი მოჟონავდა, მარჯვენა ხსარტიკვილისაგან ეწვოდა. გასასველეს გახვდა. გოგო გამქრალიყო. გამწარებულმა დაიდმუვლა.

კონრადი თხუთმეტ იარღზე იყო იმ ადგილს დაშორებული, სადაც მოუ მიწაზე გართხმული იწვა. კონრადი მას ჯერ ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ იქ იყო. კედელი სულ ექვსიოდღე დიუიმის სისქისა თუ იქნებოდა და ვერ გაუძლებდა. ხოლო პარალელურ კედლამდე მისაღწევად საჭირო იყო ექვს ფუტზე გადახტომა. ეს კი შეუძლებელი იყო.

ათზე მეტი პოლიციელი ადიოდა უკვე კედელზე.

— აქ არის! — დაიყვირა კონრადმა.

მოუ წამოდგა და კონრადს ესროლა, მაგრამ ააცდინა. შემდეგ უნებლიეთ გადაიხარა, წონასწორობა დაკარგა და სარკეებს შუა დაეცა ერთერთ გასასვლელში.

პოლიციელებმა ფიცრები მოიტანეს, კორიდორზე გარდიგარდმო გადეს და კედლიდან კედელზე გადავიდნენ. მაგრამ, როცა იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც მოუს ელოდნენ, ის ვეღარ ნახეს. იგი გამქრალიყო.

კედელზე მდგომმა სერჟანტმა კონრადს ჩახედა.

— ხომ არაფერი დაგიშავდათ, სერ?

— გადასარევადა ვარ, — იხმარა ძარღვიანი გამოთქმა კონრადმა. — აქ დავრჩები. ჯერ ის მოძებნეთ და მერე მეც გადამიყვანეთ იმავე მხარეს.

მოუმ დაჭრილ მკლავს ჯანსაღი ხელი შეაშველა და ისე გაემართა გასასვლელისაკენ. კუთხესთან მოუხვია, შეჩერდა და ყური მიუგდო. უცებ ერთ სარკეში ცისფერი კაბის გამოსახულება აირეკლა. მოუმ გამარჯვებული კაცივით ჩაიციინა.

შემდეგ პისტოლეტი მარცხენა ხელში გადაიტანა, ასწია და ფრენისის დაუმიზნა. ქალი მას ვერ ხედავდა, იღგა და სარკეს მიყრდნობოდა. უცებ რადიოში გაისმა ხმა, რომელმაც ლაბირინთს ქუხილივით გადაურბინა. „მის კოლემანს მის კოლემანს ყურადღება! პოლიცია დაგეძებთ, დაიყვირეთ, რომ მოგავნოთ. ფრთხილად იყავით. მკვლელი ჯერ კიდევ არ შეგვიპყრია“.

ფრენისი გაინახა, სუნთქვა ეკვროდა ცალკე შვებისა და ცალკე მღვლეარებისაგან. სასწრაფოდ მიიხვდა მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, და

გული კინაღამ საბუდიდან ამოუვარდა, როცა მისი მზერა კვლავ წააწყდა შავკოსტიუმთან ფიგურას, რომელიც მისგან ოცი იარდით იყო დაშორებული. პისტოლეტის ლულა მისკენ მიემართა. ქალმა სახეზე ხელები აიფარა და საშინელი კივილი აღმოხდა. პისტოლეტის გასროლის ხმამ გააყრუა, მკლავში მწვავე ტკივილი იგრძნო და დაეცა. მოუშეშეშა ესროლა. ტყვიამ სარკე დაამსხვრია და მიწაზე გართხმული ფრენისი სხეულს ნამსხვრევები სეტყვასავით დაეყარა.

კონრადმა გასასვლელის კუთხეს მიაღწია და შეჩერდა. მან თვალი შეავლო მიწაზე გართხმულ

მოუს, რომელსაც პისტოლეტი ხელში ეჭირა. მისგან არც თუ ისე შორს ცისფერკაბიანი ქალიშვილის სხეული მოჩანდა. მოუშეშეშა კონრადს, მაგრამ ააცდინა.

კონრადი მთელი ტანით გაერთხა, თავისი პისტოლეტი ასწია და ამჯერად ერთდროულად გაისმა ორი გასროლის ხმა.

ორი პოლიციელი გამოჩნდა კედელზე და კონრადის მახლობლად ჩამოიხედა ძირს.

— მოერიდეთ! — გააფრთხილა ისინი კონრადმა.

მაგრამ როცა მიუახლოვდნენ, მოუშეშეშა სუნთქავდა.

(გაგრძელება იქნება)

მთელი ცხოვრება ეპაუროზა

1680 წლის ივლისის ერთ დახუთულ საღამოს მისი უდიდებულესობის საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის გვარდიის ოფიცერი წარღ სანსონ დე ლანგვალი პარიზის ერთ ყრუ ქუჩაში მიდიოდა და უდარდელად მღეროდა რომელიღაც ქარაფშუტულ სიმღერას. იმ დროს პარიზში გვიან ღამით ქუჩებში სიარული საშიშიც კი იყო. პარიზის ქუჩები სავე იყო მძარცველებით, რომლებიც დაგვიანებულ მგზავრს ურცხვად ართმევდნენ საფულეს, ტანზედაც ხდიდნენ და სწირად კლაგდენ კიდევაც.

მაგრამ სანსონი ამაზე არც კი ფიქრობდა. ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ქალებს მოსწონდათ, მამამ კი სიკვდილის წინ უანდერძა საგვარეულო კომპი და მიწა, რომლის ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით 50.000 ლივრს შეადგენდა. სასახლეში მისი ბრწყინვალე კარიერაც იწყებოდა და სხვა რაღაცე შეეძლო ეოცნევა ადამიანს 20 წლის ასაკში.

მოულოდნელად მის წინ ლამაზტიანი ქალი გამოჩნდა და მან სიმღერა შეწყვიტა, ფეხს აუჩქარა და რამდენიმე წამში უცნობ ქალს წამოეწია.

— მოწყალეო ქალბატონო, სად მიგეჩქარებთ? — მიმართა შარლიმ თავაწიანი ტონით, — ნუთუ ვერ მომანიჭებთ სიამოვნებას თქვენს გაცნობით? — და ახალგაზრდა კაცმა ქალს მკლავზე მოურიდებლად მოჰკიდა ხელი.

— ბატონო, უფალი ღმერთის სახელით გთხოვთ რომ თავი დამანებოთ, — წარმოსთქვა ლამაზმა ქალმა, — თორემ ინანებთ და თან მუდარის თვალთ მიაჩერდა სანსონს.

— ვინანებ? რისთვის? — გაეცინა შარლს. — მიმიფურთხებია ყველაფრისათვის, ამ ქვეყანაზე მე არაფრის არ მეშინიან. — და მან ხელი მოხვია ქალს, რათა ეკოცნა, მაგრამ მოულოდნელად მას მხარზე ვიდაცა შეეხო. შარლი მოტრიალდა და შეხედა მას, ვინც გაბედა ხელი შეეშალა მისთვის, აზნაურისათვის. შარლის წინ იდგა დაბალი ტანის, მხარბეჭიანი, მოღუშული სახის დაახლოებით 60 წლის მამაკაცი.

სანსონს ფეხები მოეკვეთა და ძარღვებში სისხლი გაეყინა. მან შეიკნო კაცი, რომელიც რამდენიმეჯერ გრევის მოედანზე ჰყავდა ნანახი. ეს იყო პარიზის მთავარი ჯალათი ლერასერი. ჯალათმა უხმოდ იძრო მოკლე დანა, რომელიც ქამარზე ოქროს ძეწვივით ეკიდა.

ქალიშვილი მივარდა მოღუშულ მამაკაცს.

— მამა! მე ყველაფერს ვეტყვი, მხოლოდ მას ნუ მოჰკლავ.

ლერასერმა უხმოდ მოუსმინა ქალიშვილს და იქვე

გამოაცხადა საშინელი განაჩენი: შარლი ადგილზე უნდა მომკვდარიყო ან მარიზე დაქორწინებულიყო.

სანსონმა არ დაუფერა საკუთარ ყურებს. როგორ, მან აზნაურმა და მეფის გვარდიის ოფიცერმა ჯალათის ქალიშვილი უნდა ითხოვოს? რა სისულელეა! ეს რომ მისთვის ერთ წუთით ადრე ეთქვათ გულიანად გადაიხარხარებდა, მაგრამ ახლა შარლს სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე.

ჯალათი იცდიდა. როგორ მოვიქცე, ფიქრობდა სანსონი. დავეთანხმო ლერასერის წინადადებას? მაგრამ მშვენიერ მარისთან ერთად ის მიიღებდა პარიზის მთავარი ჯალათის თანამდებობასაც. ახალგაზრდას მთელი სხეული აუკანკალდა: „აზნაური ყასაბი უნდა გავხდე“, — ფიქრობდა ის.

თუ უარს იტყვის? სიკვდილი ელის, ლერასერს სუმრობა არ უყვარს.

სიკვდილის შიშმა შარლი აიძულა დათანხმებულიყო და ვალდებულების ქაღალდიც დაწერა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ერთ თვეში ჯვარს დაიწერდა მარიზე.


შარლმა შეასრულა დაპირება, შეერთო ცოლი, გადაღა სამსახურიდან, ოფიცრის მშალი შეცვალა მოკლე დანით და სიმამრის თანაშემწე გახდა.

ამის შემდეგ ლერასერი მალე გარდაიცვალა. შარლს სანსონი კანონის შესაბამისად მისი მემკვიდრე გახდა. 1688 წელს სამეფო კარის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლუდოვიკო XIV-საგან სპეციალური დიპლომი მიიღო, სადაც ის ოფიციალურ ჯალათად ცხადდებოდა: „სისხლის სამართლის განაჩენების უმაღლესი ამსრულებელი“ ეწერა დიპლომში. ამიერიდან თვითონვე სანსონს მოჰყავდა სისრულეში განაჩენები „განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დამნაშავეთა“ მიმართ.

შარლს სანსონ დე ლანგვალისგან დაიწყო სანსონების ცნობილ ჯალათთა ისტორია და ამ დინასტიკამ თითქმის ორასი წელი იარსება. არც ერთ ქვეყანაში ასეთი ამბავი არ მომხდარა.

სანსონ 1-ს მეფის წყალობა დიდ შემოსავალს აძლევდა. პარიზის ცენტრში მისი სახლი სიმდიდრით და ფუფუნებით გამოირჩეოდა და მას მხოლოდ მეფის ჩამომავალთა სასახლეები თუ შეედრებოდა. დღისით მთელი ენერგიით მუშაობდა, ღამით კი ლუიდორებს ითვლიდა.

1699 წელს მარი გარდაიცვალა, მაგრამ შარლმა მალე გამოიგოვლა ის და ორი თვის შემდეგ მდიდარი ცოლად ქალიშვილი ჟანა რენე დიუბოე შეერთო ცოლად. საცოლე ჭირვეული გამოდგა და პირობით დაეთანხმა ქორწინებაზე — შარლს თავი უნ-



და დაენებებინა საშინელი ხელობისათვის. ჯალათმა ჟანას წინადადება სისარულით მიიღო, რადგან უკვე კარგა ხანი იყო, რაც თვითონვე ფიქრობდა ამაზე. პარიზის ახლოს იყიდა მამული და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, თანამდებობა კი გადასცა პირველი ცოლიდან თავის უფროს შვილს, რომელსაც მამასავით შარლი ერქვა.

სანსონ II-ის დროს ჯალათების საქმიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ პარიზის გარდა სასიკვდილო განაჩენები სისრულეში მოჰყავდათ ვერსალში, ტურში, რეიმში, ბორდოში, ჰავრში და საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

სანსონ II-ს ცოლად ჰყავდა თავისი დედინაცვლის და მარტიე დიუბიუ და მათ სამი შვილი შეეძინათ: ქალიშვილი ანა და ვაჟიშვილები — შარლ ბაპტისტე და შარლ-ნიკოლა-გაბრიელი. უკანასკნელი 1722 წელს რეიმში დაინიშნა ჯალათად, ანა საშუალო ნიჭის მუსიკოსს ცელეს გაჰყვა ცოლად, მასაც ჯალათის ხელსაყრელ პროფესიას მოჰკიდა ხელი და ქალაქ სუასონში მან სანსონების დინასტიის ახალი შტო შექმნა.

1726 წელს გარდაიცვალა შარლ II. თანახმად არსებული კანონისა მან სიკვდილის წინ თანამდებობა გადასცა თავის 7 წლის შვილს შარლ ჟან-ბაპტისტეს. ვინაიდან ბიჭუნას „ჟერ კიდევ არ შეეძლო ნაჯახით „მუშაობა“, მას მამის ყოფილი თანამემწე ტრონსონი დაენიშნა მეურვედ. მიუხედავად ამისა, როდესაც სისრულეში მოჰყავდათ სასიკვდილო განაჩენი განსაკუთრებით საშიშ დანაშაუვითა მიმართ, ბიჭუნას ევალებოდა ეშაფოტზე ყოფილიყო, რადგან მას თავისი დასწრებით უნდა დაედასტურებინა დასჯის კანონიერება და თან მომავალ პროფესიასაც შეეჩვეოდა. ასე გრძელდებოდა 1744 წლამდე სანამ შარლ ჟან-ბაპტისტემ თვითონვე არ მოჰკიდა ხელი ჯალათის ნაჯახს. მაგრამ მას დიდხანს როდი მიუხდდა ამ თანამდებობაზე ყოფნა, 1744 წელს დამბლა დაეცა, თუმცა ამის შემდეგ ოცდახუთი წელი კიდევ იცოცხლა და მინც ითვლებოდა ოფიციალურ ჯალათად.

შარლ-ჟან-ბაპტისტე წარმატებით შეცვალა შარლ-ანრიმ რომელსაც იმ დროს შეუსრულდა 16 წელი, როდესაც პირველი სასიკვდილო განაჩენი აღასრულა.

უმუშევრად დარჩენის ემინოდათ, ამიტომ სანსონები დიდ რევოლუციას მტრულად შეხვდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა; ისინი უმუშევრად არ დარჩენილან, თუმცა ჯალათს იმდენი შემოსავალი აღარა ჰქონდა, კონვენტმა სანსონს მტიციე ხელფასი 1.700 მანეთი დაუნიშნა რაც იმ დროისათვის დიდ თანხას არ წარმოადგენდა. ლუდოვიკო XIV-ის დროს კი მას თითქმის 10.000 ფრანკი ეძლეოდა.

სანსონების შორის ყველაზე მეტად გაითქვა სახელი შარლ-ანრი სანსონ IV-მ და მისმა შვილმა ანრიმ. სანსონები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროსაც ბრწყინვალედ მუშაობდნენ და აუღელვებლად

ჭრიდნენ თავებს მეფეებს, პრინცებს, არისტოკრატებს, როიალისტებს...

1791 წლის ბოლოს დოქტორმა გილიოტინმა თავისმოსაჭრელი მანქანა გამოიგონა, რომელსაც მისი სახელი უწოდეს. გილიოტინამ, როგორც სიკვდილის უფრო სრულყოფილმა იარაღმა, ნაჯახი შეცვალა. ხალხმა პირველად „ჟერივი“ შეარქვა. შარლ-ანრიმ პირველად გილიოტინა 1792 წლის აპრილში იხმარა და აღტაცებაში მოვიდა: „ხელს ჩამოჰკრა ბაწარს და დანა თვითონვე ვარდება. წამი და ყველაფერი გათავებულაო“, უზიარებდა პირველ შთაბეჭდილებას თავის მეგობრებს და ახლობლებს. ლუდოვიკო XVI-ის დასჯის (1793 წლის 12 იანვარი) შემდეგ, მალე, შარლ-ანრი სანსონ IV გარდაიცვალა.

მოვლანზე შეგროვილ ბრბოსათვის სულერთი იყო ვინ კვებდა თავს შარლი თუ მისი შვილი — მხოლოდ სანსონი ყოფილიყო. როდესაც ჯალათმა ხელში აიღო მეფის მოჭრილი თავი და ის ხალხს დაანახა ყოველი მხრიდან გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს თავისუფლებას“, „გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს სანსონს“. ამავე წელს სანსონის გილიოტინის ქვეშ დაიდგარა ლუდოვიკო XVI-ის ცოლის მარია ანტუანეტას სისხლი. კვლავ ისმოდა ბრბოს შეძახილები: „გაუმარჯოს სანსონს!“ ასე გამოხატა თავისი პატივისცემა ხალხმა სანსონისადმი, როგორც საზიზღარ ტირანთა მიმართ მკაცრი რევოლუციური განაჩენის აღმსრულებლისადმი. იმას კი ივიწყებდნენ რომ იგივე ჯალათმა სულ ახლო წარსულში ისინიც დასაჯა, რომლებიც მეფის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ანრი სანსონ V ყოველდღე მუშაობდა. დასჯილთა რიცხვი ხანდახან დღეში სამოცდაათამდე აღწევდა. 1794 წლის 28 ივლისს დილის 6 საათზე ბრბოს ყოყინში თავი მოსჭრეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწე — მაქსიმილიან რობესპიერს. ამავე დღეს მისივე ბედი გაიზიარეს მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. მათი სიკვდილით დასჯის დროს კი ხალხში არაგვის აზრად არ მოსდიოდა რომ ის ესწრებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დამარცხას. ანრი სანსონი მოესწრო არა მარტო რევოლუციას, არამედ იგი ჯალათად იყო ნაპოლეონ პირველის, ლუდოვიკო XVIII-ის, კარლ X-ის, ლუი ფილიპეს დროსაც; მაგრამ ის მეფეებს არ უყვარდათ. ბურბონები ვერ ივიწყებდნენ, რომ სანსონმა მოსჭრა თავი ლუდოვიკო XVI-ს და მის მეუღლეს. გამოიყა ჯალათ ანრი სანსონის უფლებათა შემზღუდველი ბრძანება. მას ეგრძალებოდა დასჯილთა ტანსაცმლის გაყიდვა, რაც ცოტა შემოსავალს როდი აძლევდა. ამავე ბრძანებით სანსონს უკვლემა რჩებოდა სიკვდილით დაესაჯა მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ცნობილი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი კლემენტ-ანრი სანსონი არაფრით არ ჰგავდა თავის წინაპრებს. ეს იყო განათლებული

კაცი, ხელოვნებისა და მუსიკის დიდი მცოდნე. პარიზში მან სახელი გაითქვა მდიდრული სადილების მოწყობით და ბანქოში დიდი თანხების წაგებით. სანსონმა თავის სახლში „მოგონებათა მუზეუმი“ მოაწყო და სულ მცირე გასამრჯელოსთვის მოგზაურებს აჩვენებდა გილიოტინაზე მუშაობას, ხოლო თუ დიდ გასამრჯელოს მისცემდნენ დემონსტრირებისათვის ცოცხალ ცხვარსაც სჭირდა თავს.

ვასული საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს კლემენტ-ანრი გამათხოვრდა. გილიოტინა უსაქმოდ იდგა და მას იშვიათად უხდებოდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება. დიდი ქონება კი, რომელიც სანსონების დინასტიამ შეიძინა გაანიაგა და ბანქოში წააგო. სანსონი იძულებული იყო ფეხით ევლო, რადგან კარეტა ვალში გაუყიდეს. სანსონ VI-ის კრედიტორებმა ისიც კი მოახერხეს, რომ ვალების გადაუხდელობისათვის იგი ციხეში ჩაესვათ, თუმცა სანსონი ამტკიცებდა, რომ ჯალათი

„სახელმწიფო კაცია და ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობს.“ კრედიტორები მხოლოდ მაშინ დათანხმდნენ გაეთავისუფლებინათ ციხიდან, როდესაც მან გილიოტინა დააგირაფა. ციხიდან გათავისუფლების ერთი კვირის შემდეგ სანსონს მოულოდნელად დაავალეს თავისი მოვალეობის შესრულება. გამწარებული მივარდა კრედიტორებთან, ეხვეწებოდა მათ დაებრუნებინათ გილიოტინა, თუნდაც ერთი დღით, მაგრამ კრედიტორები არ დათანხმდნენ. საფრანგეთის გენერალურ პროკურორს კლემენტ-ანრიმ გულწრფელად უამბო ყველაფერი. მას 4.000 ფრანკი მისცეს გილიოტინას გამოსასყიდლად.

იმავე დღეს დე ლა-როკეტის მოედანზე მან თავის ცხოვრებაში უკანასკნელად მოიყვანა სისრულეში სიკვდილით დასჯის განაჩენი. ეს იყო 1847 წლის 24 აგვისტოს.

3. ანდრინაოვი

„ნედელია“, № 82, 1968 წ.

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ვ. ი. მაისურაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად განიხილა, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1963 წლის 15 ნოემბრის პლენუმის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა სამუშაოზე აღდგენის შესახებ“.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. იოსავა**, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რესპუბლიკის სასამართლოებმა უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს საქმეთა განხილვა, რომლებიც სამუშაოზე აღდგენას შეეხება. ამალღდა გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხი, იგი უფრო სტაბილური გახდა. მაგრამ ამასთან ერთად სასამართლო ორგანოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს უშვებენ შეცდომებს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ს. ქაჯაიამ**, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. კაჩმაზოვამ**, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. მაკარაძემ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **ვ. ლუკოვინამ**, **დ. ბაღათურაიმ**, **გ. დემდარიანამ**, **ქ. თბილისის ორგანიზაციის** რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ე. ხითარიშვილმა**.

საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვისათვის. მან სამართლიანად ცნო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სასამართლოში შრომის საქმეების განხილვის დროს პროკურორი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ** შეაჯამა მოხსენებლის და კამათში მონაწილე პირთა გამოსვლები.

პლენუმმა სათანადო შესწორებებით მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართ-

ველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ს. ქაჯაიას** მოხსენება, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 28 მარტის № 3 დადგენილება „სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მყიდველთა მოტყუების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ღვინჯილიამ**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ **გ. გაბუნია**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა **ო. გველესიანმა**, **დ. ბაღათურაიმ**, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ს. მაკარაძემ**.


საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ** აღნიშნა, რომ პრაქტიკაში ვხვდებით ცალკეულ ფაქტებს, როცა უსწოროდ წყდება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც გაუფორმებლად, მხოლოდ სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოს მუშაკთა თხოვნის საფუძველზე ახდენენ ხსენებული საწარმოდან მომხმარებლებზე საქონლის გაცემას და ამ მუშაკებთან წინასწარი შეთანხმებით ჩაიღეს მომხმარებელთა მოტყუებას. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია დადგენილებაში გამოკვეთილად ჩაიწეროს: ვაჭრობის მუშაკთა მიერ დეფიციტური საქონლის მიყიდვა მომხმარებლისათვის და ამასთან დაკავშირებით მყიდველისაგან ამ უკანასკნელის თანხმობით გასამჯელოს მიღება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მექრთამეობა.

დასასრულ, პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტები სამოქალაქო საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა**.

წ. მენენვილარი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.



მეზაღებინ ვ. ი. ლენინის დაგადების 100 წლისთავისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ამას წინათ განიხილა და მოიწონა ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს კოლექტივის (თავმჯდომარე თ. ღლონტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. აგლაძე) მიმართვა რესპუბლიკის ყველა სასამართლოებისადმი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

მიმართვაში ნათქვამია, რომ დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების რაიონია. აქ მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ მ. ი. კალინინი, ი. ბ. სტალინი, დიდი რუსი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, ცნობილი რევოლუციონერი ლ. კეცხოველი, ვ. სტურუა, მ. ჩოდრიშვილი, მ. დავითაშვილი და სხვები.

უმჯაურობიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ, სახალხო სასამართლოს მუშაკები ვალდებულნი არიან კისრულობენ რაიონის პროკურატურისა და მილიციის განყოფილების მუშაკებთან მჭიდრო კონტაქტში ვაატარონ ღონისძიებანი რაიონში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დანაშაულებრივი შემთხვევები, აამაღლონ სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი როლი.

მოეწყობა ექსკურსიები ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე დედაქალაქის რევოლუციურ-ისტორიულ ადგილებში. მომზადდება თემატური ალბომი — „ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის რევოლუციურ-ისტორიული ადგილები“. შეიქმნა ლენინური ლექტორიუმი. ტარდება ლენინური კითხვები საწარმოებსა და მოსახლეობაში თემაზე — ვ. ი. ლენინი და სოციალისტური კანონიერება.

სახალხო მოსამართლეებმა თ. ღლონტმა, თ. აგლაძემ, ა. გოგებრაშვილმა, გ. ხაბეიშვილმა, ლ. ბელიავსკიამ უკვე ჩაატარეს საუბრები და ლექციები თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანაში, ელექტრომექანიკურ ქარხანაში „თბილფხსაცმელაქრობის“ დირექციაში, მეტროპოლიტენის სამმართველოს № 2 პოლიკლინიკაში, ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, ორთქლმავალშენებელ ქარხანაში და სხვ.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მგალითზე, ამჟამად რესპუბლიკის ყველა სასამართლო გაცხოველებით ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნისათვის.

აღმინისტრაციული ორგანოების მეზაღებინ მსჯელობენ

მიმდინარე წლის 28 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები, ქალაქ თბილისის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლები. კრებას დაესწრენ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, რაიონების პროკურორები, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეები, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეები, პარტიული ორგანიზაციის მდივნები, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო საწარმოთა ხელმძღვანელები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბი-

ლისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შევარდნაძემ.

მოხსენებებით — დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილების შესრულების საქმეში ქ. თბილისის აღმინისტრაციული ორგანოებისა და სახალხო მეურნეობის საწარმოთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგებისა და ამოცანების შესახებ გამოვიდნენ ქ. თბილისის პროკურორი ა. ტაკიძე და შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი კ. კეთილაძე.

მოხსენებლებმა აღნიშნეს, რომ წინა წლებთან შედარებით 1968 წელს საგრძნობლად შემცირდა მართლწესრიგის დარღვევისა და საერთოდ დამნაშავეობის შემთხვევები, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისა, როგორც არის



ქართული ენციკლოპედია

მკვლელობა, ძარცვა, თაღლითობა, სპეკულაცია, ხულიგანობა. ეს მიღწეულია პროფილაქტიკურ-აღმკვეთი ღონისძიებების განხორციელებით, სამ-ძებრო მუშაობის გაძლიერებით; გაუმჯობესდა გამოძიების ხარისხი, საპროკურორო ზედამხედველობა, სასამართლოთა მუშაობა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობა.

ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტად თვალსა-ჩინო ხდება ადმინისტრაციული ორგანოებისათვის საზოგადოებრიობის, ხალხის მხარდაჭერა და დახმარება, მშრომელთა შორის მილიციის მუშაობა ავტორიტეტის ამღობვა. ხალხის უშუალო მონაწილეობით აღიკვეთა საზოგადოებრივი წესრიგის მრავალი დარღვევა, აილაგმა ბევრი ხულიგანი, გამოაშკარავდა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებში გაფლანგვა-გატაცების მომხდარი ფაქტები.

მიუხედავად ამისა ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს, არის უხარისხოდ გამოძიებული საქმეების სასამართლოში გადაცემის, საქმეთა უსაფუძვლოდ გაჭიანურებისა და უსწოროდ აღძვრის ფაქტები. ამ მხრივ მაგალითების დასახელება შესაძლოა როგორც შინაგან საქმეთა საგამომძიებლო განყოფილებების, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკიდან.

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოების, ხალხის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლზე. ხალხი ყოველთვის მხარში უნდა ედგეს მილიციას, პროკურატურას, სასამართლოს, შეუწელებლად იბრძოდეს მოზარდთა უმეტეაღყურების, ახალგაზრდობის მიერ დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის 26 კომისიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ხოდელმა, ორგანიკის რაიონის პროკურორმა ი. მახარაძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ კ. სოხაძემ, მუდ-კამეოლის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კოპლატაძემ, ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა ტ. გრიგოლაშვილმა, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბარკალაიამ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ე. დუღინჯომ, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. არაფიაშვილმა, საავეჯო გაერთიანება „განთიადის“ დირექტორმა პ. დუღულამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. შადურმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გამოთქვეს მრავალი მოსაზრება, შენიშვნა და წინადადება, რომელებიც ითვალისწინებენ დამნაშავეობის აღკვეთის, პროფილაქტიკური და სამძებრო მუშაობის გაძლიერების, გამოძიების ხარისხის, საპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესებას ღონისძიებებს.

კრებამ საჭიროდ ცნო წარმოდგენილ მოხსენებებსა და კამათში მონაწილეთა სიტყვებში გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახალხო მეურნეობის საწარმოთა პასუხისმგებლობის ამღობვის ამოცანების შესახებ საკითხი განიხილოს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ.

კანონიერების განმტკიცების სპიობის პარტიის რაიკომის კლენიშა

საქართველოს კპ საჩხერის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი — „რაიონში საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“. მოხსენებით გამოვიდა რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი ზ. ივანიშვილი. კამათში მონაწილეობდნენ: რაიონის პროკურორი გ. ვაფრინაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორი ს. ბარბაქაძე, სავანის საკლამეურნეო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ს. ვაფრინაშვილი, ჭალის სასოფლო-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. აბრამიშვი-

ლი.

ლი, რაიონის სახალხო მოსამართლე ა. კაპანაძე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქ. საჩხერის შტაბის უფროსი ზ. გულაძე, კობრთლის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი ა. მაჭარაშვილი, კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი თ. ტრაპაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილების უფროსი ხ. შუბითიძე, რაიონული გაზეთის „ახალი ცხოვრების“ რედაქტორი ხ. ლაშიხ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. აბრამიშვილი. პლენუმის მუშაობა შეაჯამა რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნოზაძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, სავრცობად შემცირდა სახალხო დოგლათის გატაცების, ქურდობისა და სპეკულაციის შემთხვევები, ხულიგნური გამოვლინების ფაქტები. განმტკიცდა პროკურატურის, სასამარ-

თლოსა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების კავშირი სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან. რაიონში ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები კომუნისტური მორალისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებზე.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზე. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისა და საგამომძიებლო ორგანოების ზოგადერთი მუშაკის არაკვალიფიციური და ზერელე მუშაობის გამო ფერხდება სოციალისტური საკუთრების გატაცების, მკვლელობის, ხულიგნობისა და სხვა დანაშაულთა დროულად გახსნა. ეზვლებით კადრების არასწორად შერჩევის ფაქტებს საკონტროლო-სარევიზიო აპარატში და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე. ეს ხშირად მატერიალურ ფასეულობათა გატაცების მიზეზი ხდება.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება.


საიუვილოზო სსსიპ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი XXVII სამეცნიერო სესიის მიქდენა ინსტიტუტის დარსების 25 წლისთავს. სესიის საიუვილოზო ხასიათმა განაპირობა ის, რომ პლენარულ სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში შეჯამებული იქნა როგორც ეკონომიური მეცნიერების, ისე სამართლის მეცნიერების განვითარება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, თუმცა, როგორც ცნობილია, სამართლის მეცნიერების შესწავლას ამ ინსტიტუტში უფრო ხანმოკლე ისტორია აქვს. ეკონომიკის ინსტიტუტში მხოლოდ 1957 წლის ბოლოს შეიქმნა სამართლის განყოფილება. ამჟამად ინსტიტუტში უკვე სამი განყოფილება გაერთიანებული, რომელსაც პროფ. თ. წერეთელი ხელმძღვანელობს სამართლის სექტორში.

სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. ჟვანიას მოხსენება მიქდენა განვლილი 11 წლის მანძილზე სამართლის სექტორში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოკლე მიმოხილვას. მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო სამართლის სექტორის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი და შეჩერდა ამ მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შედეგებზე. სახელდობრ, გ. ჟვანიამ მოკლედ დაახასიათა უფროსი მეცნიერი თანამშრომლების, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების ა. მე-

ნაბდის, ხ. როგავასა და ა. აბესაძის მონაგრები საბჭოთა სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე, პროფ. თ. წერეთლისა და უფროსი მეცნიერი თანამშრომლების, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების თ. შავგულთისისა და გ. ტყემულიაძის ფართოდ ცნობილი გამოკვლევები სისხლის სამართლის თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მომხსენებელმა განიხილა უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ა. ვაბიანის, ა. შუშანაშვილის, თ. ლილუაშვილისა და თ. ცაგურის ნაშრომები.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო აკად. ი. დლოძის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორების გ. ნადარეიშვილისა და ფურცელაძის, აგრეთვე უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ფუტკარაძის ფრიად საყურადღებო ნაშრომებს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. მომხსენებელი შეეხა აგრეთვე სამართლის სექტორის ნაკლოვან მხარეებს. ეს ძირითადად ის გარემოებაა, რომ სექტორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ვერ მოიცავს სამართლის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიც არის საოჯახო, შრომის, მიწისა და საკოლმეურნეო, სამეურნეო სამართალი და სხვ. ამის მიზეზია კადრების, მეცნიერ თანამშრომელთა ნაკლებობა. ამიტვე აიხსნება მუშაობის ვიწრო მასშტაბი სამართლის ზოგიერთ სხვა დარგში. ამ დაბ-



რკოლების გადასალახავად სამართლის სექტორი ცდილობს საკუთარი კადრების მომზადებას ასპირანტურაში და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. განვლილი თერთმეტი წლის მანძილზე სექტორის თანამშრომლებიდან თერთმეტმა დიდიკვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო სამმა — სადოქტორო.

პლენარული სხდომის შემდეგ სესიაზე მოხსენებები მოსმენილი იქნა ეკონომიკისა და სამართლის სექციებში. სამართლის სექციაში საინტერესო მოხსენებით გამოვიდა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა მენაბდე. მოხსენების თემა იყო „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო მოღვაწეობა“. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა ვაფართოვდეს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა წრე. პარტიის პროგრამა ავალებს პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო მუშაობაში.

არ შეიძლება მოსაწონად ჩაითვალოს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე ამავე საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებათა დამტკიცებისა, რადგან ბრძანებულებები მტკიცდება სრულიად განუხილველად, მით უმეტეს, რომ მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც საფუძვლიან შესწავლას მოითხოვენ.

სამეცნიერო სესიის მონაწილეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. შავგულიძის მოხსენებამ „აფექტში ჩადენილი დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრის საკითხისათვის“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აფექტი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, ამუხრუჭებს შეგნებულ ინტელექტუალურ საქმიანო-

ბას და უკიდურესად ზღუდავს ნებელობით სფეროს. ამიტომ აფექტმა შეიძლება დანაშაულისაკენ უბიძგოს ადამიანს, რომელიც, თუ არა ემოცია, დანაშაულს არ ჩაიდენდა. ავტორის აზრით, სწორია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც აფექტს ერთნაირად მისატივებლად თვლის, იმის მიუხედავად, დაზარალებულის უკანონო ძალადობამ გამოიწვია იგი, მძიმე შეურაცხყოფამ თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ. სასამართლო პრაქტიკაში ეხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულის მოქმედება არ ატარებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს, მაგრამ იმდენად დიდ ფსიქიკურ ტრავმას აყენებს დამნაშავეს, რომ სასამართლო ამ მიზეზით გამოწვეულ აფექტს საპატიოდ თვლის და დამნაშავეს სასჯელს უმსუბუქებს. ავტორმა აქედან გამოიტანა დასკვნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებელს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალოს ისეთი აფექტიც, რომელიც წარმოიშვა დიდი ტრავმის მიმყენებლის ამორალური საქციელით. ავტორმა დააყენა საკითხი ცვლილებები იქნას შეტანილი საქართველოს სსრ სსკ-ის 106-ე მუხლის განსაზღვრაში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს აფექტის ხასიათიც.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებიდან სამეცნიერო სესიამ მოისმინა მოხსენება თემანე „ვახტანგ VI სამემაკვიდრეო კანონი“. მომხსენებელმა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა დ. ფურცელაძემ ფართოდ მიმოიხილა ვახტანგ VI ერთი დიდმნიშვნელოვანი კერძობითი აქტი, რომელიც განსაზღვრავდა მემკვიდრეობის წესის შეცვლას. ეს სიგელი ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ე. წ. „საკუთრების საქალაქო წესის“ სათავედ ითვლება. მომხსენებელი აგრეთვე შეეხო ვახტანგ VI საკოდიფიკაციო ძეგლების შესახებ არსებულ მეცნიერულ შეხედულებებსა და საქართველოს მაშინდელ სამოქალაქო მდგომარეობას. ვახტანგ VI ეს სამემაკვიდრეო ნოველა მნიშვნელოვნად ახალი იყო და იმდენად სასარგებლო, რომ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრებულა.

მომხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ახალგაზრდა იურისტ მესხიერთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია

საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოაწესეს ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. სამართლის სექცია მუშაობდა ა. წ. 16 აპრილს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. სექციის სხდომა გახს-

ნაგრძელდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. სამართლის სექცია მუშაობდა ა. წ. 16 აპრილს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. სექციის სხდომა გახს-

ნა ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა **გ. ჟვანიამ**.

— საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და სოციალისტური სამართლის ფუძემდებლის **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავს, — თქვა მან, — აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა. საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრდა კარგი ტრადიცია. უმნიშვნელოვანესი თარიღებთან დაკავშირებით მოეწყოს სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ნათელჰყოფენ საბჭოთა მეცნიერების უახლეს მიღწევებს. შემდეგ **გ. ჟვანიამ** ილაპარაკა ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი ამ სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობაზე და განსაკუთრებით შეჩერდა იმ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვეს ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა იურისტებმა.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებით — „სოციალურ-ეკონომიური გარემო და პიროვნების პოლიტიკური აქტივობის იურიდიული ფორმები საბჭოთა საზოგადოებაში“ — გამოვიდა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ანესაძე**. მან ილაპარაკა ამ ფორმების ბუნებაზე, მათს კლასობრივ ხასიათზე და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნების აქტივობის იურიდიული ფორმების პრაქტიკულ განხორციელებას. მომხსენებლის აზრით, სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში პიროვნების პოლიტიკური აქტივობის იურიდიული ფორმები (სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება, საჩივრის უფლება და ა. შ.) კანონმდებლობით განსაზღვრული სახეობა პიროვნების აქტიური ქცევისა. ეს ფორმები მიზნად ისახავენ საზოგადოების, სახელმწიფოსა და პიროვნების ინტერესების დაცვასა და განვითარებას.

სრულიად შეუსწავლელი და საერთოდ ნაკლებად დაუშვავებული საკითხი წამოსწია ახალგაზრდა მეცნიერმა **რ. ცინცაძემ**. კონფერენციაზე წარმოდგენილი მისი მოხსენება „საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის ხელშეკრულების სახეები“ საკმაოდ სოლიდური და მნიშვნელოვანი ნაშრომია სამოქალაქო სამართლის ამ სფეროში. ავტორმა ამ თემასთან დაკავშირებით აღებულ ფაქტების განზოგადოების საფუძველზე საყურადღებო დასკვნები გააკეთა.


ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პრობლემას შეეხო **ი. ფუტყარაძე** თავის მოხსენებაში „ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ზოგიერთი საკითხი“. მან კრიტი-

კულად მიმოიხილა ამ საკითხზე არსებული სხვადასხვა შეხედულებანი. მომხსენებელმა ამავე დროს წამოაყენა დამკვიდრებული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრება. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ფეოდალური სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარების ძირითად საკითხებს. ი. ფუტყარაძის აზრით, ფეოდალური სახელმწიფოების განვითარება საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში, ქართული ფეოდალიზმის დაცემის ეპოქამდე, ძირითადად ერთი და იმავე მაგისტრალური გზით მიდიოდა.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას „ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტი“ შეეხო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **ო. გამყრელიძე**. მოხსენებაში დაისვა მთავარი კითხვა-განსაზღვრავენ თუ არა სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას? ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების (ასაკი, შერაცხადობა, განმეორება, რეციდივი, სპეციალური სუბიექტის ნიშნები) არ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ საშიშროებას და არ მოქმედებენ მის ხასიათზე.

ასპირანტ **მ. უგრეხელიძის** მოხსენება — „გაუფრთხილებლობის დასჯადობა და ტექნიკური პროგრესი“ მიეძღვნა უაღრესად აქტიულო საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს თანამედროვე სისხლის სამართალში ტექნიკური პროგრესით დასახული კრიმინალურ-პოლიტიკური ამოცანები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი ბრძოლა ტექნიკური პროგრესის თანამდეგ მაგრე შედეგებთან გადაუდებელი ამოცანა, მაგრამ მისი გადაწყვეტა სხვადასხვანაირად შეიძლება.

სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არსებულ შეხედულებათა (ობიექტური პასუხისმგებლობის თეორია, ბრალის რესტრიქციული თეორია) დამაჯერებელი კრიტიკის შემდეგ **მ. უგრეხელიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ტექნიკური პროგრესის კვალობაზე დასჯადი გაუფრთხილებლობის სფერო, მართლაცაა, უნდა გაფართოვდეს, მაგრამ არა გაუფრთხილებლობის ცნების გაფართოებით, არამედ გაუფრთხილებლობის ახალ შემადგენლობათა ჩამოყალიბების გზით. ამასთან ახლად შემოდებული გაუფრთხილებლობის შემადგენლობებისათვის აუცილებელი არ უნდა იყოს კონკრეტული მატერიალური ზიანის ბუნება. იმ შემთხვევაში, როცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებლობით გამოყენებას, პასუხისმგებლობისათვის საკმარისი უნდა იყოს ზიანის რეალური საფრთ-



ხის შექმნა. ამასთან დაკავშირებით მ. უგრეხელიძემ მიზანშეწონილად ცნო შემოღებულ იქნას პასუხისმგებლობა ატომური დანადგარების გაუფრთხილებლობითი ექსპლოატაციისათვის.

მოხსენების ირგვლივ საინტერესო კამათი გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს თ. ცაგურიამ, დ. ფურცელაძემ, მ. უგრეხელიძემ, გ. ტყეშელიაძემ, ბ. ფხალაძემ, ა. მენაბდე, მ. ჯვანია, თ. შავგულიძემ, ა. შუშანიანი, თ. წერეთელმა.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვები წარმოთქმევს პროფ. თ. წერეთელმა და გ. ჯვანია. მათ მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ მოსმენილი მოხსენებებიდან საუკეთესოდ მიჩნეულ იქნას მ. უგრეხელიძის შრომა. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერებისადმი.

საპაროვლუს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა

სულ მალე ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების პრაქტიკული მუშაკების სამუშაო მაგიდებს დაამუშვენებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის ახალი გამოცემა მოამზადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ.

მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს, უკანასკნელად გამოცემულ იქნა 1963 წელს იმ ცვლილებებით და დამატებებით, რაც მასში შეტანილი იყო 1963 წლის 1 ივლისამდე. 1963 წლის მატება, ისევე ახალი მუხლები, რაც კოდექსში განიცადა მთელი რიგი ცვლილებები, მას დაემატა ახალი მუხლები. ყველა ცვლილება და დამატება ასევე ახალი მუხლები, რაც კოდექსში შეტანილია უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე, მოცემულია სხვადასხვა წყაროებში — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და პერიოდული პრესის ფურცლებზე, რაც აწვდის მათ მონახვას გამოსაყენებლად. ამ წყაროებიდან ამონაჭრების მითვისება ადრე გამოცემულ კოდექსებთან აწვდის მათ გამოყენებას, რადგან ცვლილება და დამატება შეეხო კოდექსის ბევრ მუხლს, კერძოდ კოდექსის ცხრამეტ მუხლში შეტანილი იქნა 35 დამატება, 15 მუხლი მოცემულია ახალი რედაქციით, კოდექსში შეტანილია 8 ახალი მუხლი. ყველა ეს ცვლილება და დამატება შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსის ახალ გამოცემაში, რომელიც დიდი ტირაჟით გამოდის როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა გარდა ამისა იმით გამოირჩევა წინა გამოცემებისაგან, რომ მასში პირველად გამოცემულ

ლი მუხლობრივი დანართი, ე. ი. მას დართული აქვს ყველა ის მასალა, რაც დღეისათვის მოქმედებს ცალკეული მუხლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები, დებულება არასრულწლოვანთა კომისიის შესახებ, ინსტრუქცია სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის კოდექსის სხვადასხვა მუხლების გამოყენების სასამართლო პრაქტიკის თაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები და სხვა. ყველა ეს მასალა ბევრად აღმატება კოდექსის ოფიციალურ ტექსტს.

პრაქტიკულ მუშაკებს სხვადასხვა დანაშაულებრივ მოქმედებისათვის კოდექსის ამა თუ იმ მუხლის შეფარდებისას აღარ დაჭირდება მიმართონ სხვადასხვა წყაროებს. საჭირო საკითხებზე პასუხს ისინი მონახავენ კოდექსის მუხლობრივ დანართში, რაც ვფიქრობთ, ბევრად გაუადვილებს მათ პრაქტიკულ მუშაობას.

სრულიად ახლებურადაა ვადამუშავებული კოდექსის სააღმსრებლო-საგნობრივი მაჩვენებელი, იგი უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანია, რაც ამარტივებს საჭირო მუხლისა და ტექსტის მონახვას.

შესაძლოა კოდექსში იყოს ზოგიერთი შეცდომა, განსაკუთრებით ქართული ვარიანტის მუხლობრივი დანართების თარგმანში. სასურველია მკითხველებმა მოგვამოლონ შენიშვნები, რომლებიც ვათვალისწინებელი იქნება შემდგომ გამოცემებში.

მ. ჯვანია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

აზნაუთის პროფსაზგოზ პრეზიდიუმი

პროფესიული კავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აფხაზეთის ასსრ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ არის მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ გათავისუფლებისა და სხვა სამუშაოზე არასწორად გადაყვანის შემთხვევები. ამის გამო რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში იძებნება სარჩევლები მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის თაობაზე, რომელთა უმეტესობაც კმაყოფილდება. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად არ ასრულებენ „ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომის უფლებათა შესახებ დებულების“ მე-10 მუხლს, რომლის ძალითაც არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ შეიძლება გათავისუფლდეს ადმინისტრაციის ინიციატივით ფაბრიკის ან ქარხნის ადგილკომთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

შრომის კანონმდებლობის დარღვევებზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: ზღვისპირა რეაწლიანი სკოლის დირექტორის 1968 წლის 30 მაისის ბრძანებით „ერთი საფინანსო კლასის შემცირებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა დატვირთვის მიზნით სამსახურიდან გაათავისუფლეს მნე ე. ოფლიანი“. ამავე მოტივით დირექციას აღნიშნულზე თანხმობა მისცა სკოლის ადგილკომმაც; გავრის კოოპაქრობის დირექციამ 1968 წლის 31 იანვარს გაათავისუფლა № 1 მაღაზიის გამყიდველი ე. დანელია შტატების შემცირების მოტივით, იმ დროს; როდესაც შტატების შემცირებას საერთოდ არა ჰქონია ადგილი და მის ადგილზე მოიყვანეს სხვა მუშაკი. გალის № 8 საბავშვო ბაღის გამგის 1969 წლის 6 იანვრის ბრძანებით სამსახურიდან გაათავი-

სუფლეს მზარეული ც. კვარაცხელია „ც. კვარაცხელიას მიერ პ. მაღაზიონისთვის გაცემული ხელწერილის საფუძველზე და ზემდგომი ორგანოების მითითებით“.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს, მშრომელთა კანონიერი უფლებების შელახვას.

ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები არღვევენ შრომის კანონმდებლობის ძირითად დებულებებს. ზოგჯერ ეს იმითაც აიხსნება, რომ ისინი არ იცნობენ შრომის კანონმდებლობას. საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომები კი სუსტად ახორციელებენ კონტროლს, ყოველთვის არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს.

პროფესიული საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირების საოლქო, საქალაქო, რაიონულ და გაერთიანებულ კომიტეტებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის გაძლიერებისათვის, რათა შრომის კანონმდებლობის არც ერთი დარღვევა არ დარჩეს პირველადი პროფორგანიზაციის ყურადღების გარეშე.

პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციებმა და ტექნიკურ ინსპექციებს დაევალოთ გაძლიერონ ზედამხედველობა ამ დარგში, გაზარდონ სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელების მომთხვეწელობა, ჩაატარონ რესპუბლიკის რაიონებში სამეურნეო ხელმძღვანელთა სემინარები შრომის კანონმდებლობის ძირითად საკითხებზე.

შ. ზაბუჰიანი,

პროფესიული კავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე

შეხვედრა დავსლმოსილ ავოკატებთან

თბილისის კალინიის სახელობის იურიდიულმა კონსულტაციამ შეხვედრა მოუწყო დავსლმოსილ ავოკატებს ვარლამ იხეს ძე დოლიძეს და შალვა იოსების ძე ტყავაძეს, რომელთაც შეუსრულდათ დაბადების 70 წელი.

იურიდიული კონსულტაციის მთელმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი ავოკატობის ინიციატივას — საზეიმო ვითარებაში აღნიშნათ მათთვის საყვარელი ადამიანების — ვარ. დოლიძის და შ. ტყავაძის იუბილე. შეხვედრაზე სიტყვები

წარმოთქვეს ავოკატობის თავმჯდომარემ ნ. დგებუაძემ, ადვოკატებმა შ. ანდლუაძემ, ვ. სიხარულიძემ, ვ. დოლიძემ, ს. ზაგდასაროვამ, რომლებმაც გულთბილად მიულოცეს დოლიძესა და ტყავაძეს მნიშვნელოვანი თარიღი მათ ცხოვრებაში. სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა დაახასიათეს იუბილარები, როგორც უმწიკვლო იურისტები, რომლებიც დღესაც კეთილსინდისიერად ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მო-



ქალაქეთა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სახელით შ. ტყავაძესა და ვარ. დოლიძეს მიესალმა ადვოკატთა პრეზიდიუმის წევრი ი. კაშია, რომელმაც იუბილარებს გადასცა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზი-

დიუმისა და საქართველოს სახელმწიფო დამცველთა კომისიის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები. იუბილარებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ კოლექტივის სახელითაც.

შ. კალმახელიძე

ბულთბილად გახსილს

იმ დღეს უკვე ყველამ იცოდა, რომ ვიქტორი პენსიაზე გავიდა. კოლეგები მზრუნველობით შეპყურებდნენ ჭაღარა კაცს და ცდილობდნენ მასთან საუბარი გაეხანგრძლივებინათ.

წლებმა და საქმემ დაახლოვა ვიქტორ ფიფია აჭარის ასრ პროკურატურის თანამშრომლებთან. საქმის სიყვარული და კეთილშობილება გზახილად იქცა მისთვის. იმ დღეს სხვას აბარებდა თავის საქმეებს და ენანებოდა ათეულ წლობით თანშეზრდილ ადამიანებთან განშორება.

აჭარის ასრ პროკურორის თანამშრომლის ვიქტორ ფიფიას კოლეგებმა თავი მოიყარეს დარბაზში, რათა საზეიმო ვითარებაში გაეცილებინათ თავიანთი კოლექტივის საპატიო წევრი.

შეკრება გახსნა აჭარის ასრ პროკურატურის ადგილობრივი თავმჯდომარემ **ლ. კვერნაძემ**. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: აჭარის პროკურორის მოადგილე **გ. მეგრელიძე**, ქ. ბათუმის პროკურორი **დ. თამაზაშვილი**, ბათუმის რაიონის პროკურორი **კ. თენიეშვილი** და სხვები.

ვიქტორ ფიფია, ჯერ კიდევ 16 წლის ჭაბუკი ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის მუშად მუშაობდა. შემდეგ შრომისმოყვარე და უნარიანი ახალგაზრდა პროფკავშირულ სამუშაოზე გადაიყვანეს. მალე იგი პარტიულ სამუშაოზეა. 1938—1941 წლებში საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიონული კომიტეტის პარტიულ — პროფკავშირულ და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგეა, ხოლო 1942 წლიდან პენსიაში გასვლამდე მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში. იგი სხვადასხვა დროს იყო ხულოს, შუახევის, ქედის რაიონების პროკურორი, 1956 წლიდან კი აჭარის

ასრ პროკურორის თანამშრომელი საერთო ზედამხედველობის ხაზით.

1955 წელში ვ. ფიფიამ ქ. ლენინგრადში დამთავრა სსრ კავშირის პროკურატურასთან არსებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

მას ხშირად ნახავდით წარმოება — დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც იგი სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამოებს და ლექცია-მოსხენებებს აწყობდა.

შესანიშნავი მოქალაქის და გულისხმიერი პროკურორის შრომა სათანადოდ დააფასეს. ვიქტორ ფიფიას ბევრჯერ გამოეცხადა სსრ კავშირის გენერალური და საქართველოს სსრ პროკურორების მადლობები. დაჯილდოებული იყო მრავალი სიგელით და ფასიანი საჩუქრებით. მრავალი წლის განმავლობაში იყო აჭარის ასრ პროკურატურის პარტიული ბიუროს მდივანი და ყველა პარტიულ დავალებას პირნათლად ასრულებდა.

დრო გადის და ათეულ წლებს მიაქვთ განუმეორებელი ახალგაზრდობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს დასასრულს. ჭეშმარიტი ადამიანისათვის ყოველთვის რჩება გასაკეთებელი საქმე და საზრუნავი. ვიქტორ ფიფიას მხრებზე აწევს ექვს ათეულზე მეტი წელი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება. მისგან ბევრ სასარგებლო საქმეს მოველით სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

ბ. ცხვარაძე

ნეკროლოგი

ე. ლ. სანდუხაძე



მოზრდილთა საშუალო სკოლას. პარალელურად მუშაობდა ქ. თბილისში სანაპიროს და ჩელუსკინელების ხიდის მშენებლობაზე. 1939 წლიდან წულუკიძის რაიონში ეწევა პედაგოგიურ მუშაობას.

1941 წელს ე. სანდუხაძე გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და აქტიურად მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1945 წელს ე. სანდუხაძე შევიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ ორწლიან იურიდიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1961 წელს დაამთავრა.

1948 წლიდან ე. სანდუხაძე მუშაობდა ქუთაისის შემნახველ საღაროში ინსპექტორად, ხოლო 1950 წლის სექტემბრიდან ქუთაისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში კონსულტანტად.

1951 წლიდან ე. სანდუხაძეს ირჩევენ ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლედ, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ე. ლ. სანდუხაძე დაჯილდოებული იყო მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წ.წ.“.

იუსტიციის ორგანოების გამოცდილი მუშაკის, გულისხმიერი ამხანაგის ე. ლ. სანდუხაძის სსოვნა სამუდამოდ დარჩება უველას გულში, ვინც კი მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი

გარდაიცვალა ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლე, სკკპ წევრი 1946 წლიდან ერთი წელიწადი ე. სანდუხაძე.

ე. სანდუხაძე დაიბადა 1918 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ანტორიაში, გლენის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1934 წელს ტყიბულის მაღაროების მშენებლობაზე. 1939 წელს ე. სანდუხაძე ამთავრებს ქ. თბილისის მე-12

ა. თ. ლუკავა



გარდაიცვალა ქ. თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის მრჩეველი, სკკპ წევრი ალექსანდრე თომას ძე ლუკავა.

ა. თ. ლუკავა დაიბადა 1925 წელს, ქ. თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1951 წელს მუშაობა დაიწყო პირველი მაისის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად, შემდეგ მუშაობდა ამავე თანამდებობაზე 26 კომისიის რაიონში. 1957 წელს გადაყვანილი იქნა საქართველოს სსრ პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილების საზედამხედველო განყოფილების პროკურორად, სადაც 1961 წლამდე მუშაობდა. 1961-64 წლებში თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორია, ხოლო 1964 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქალაქ თბილისის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობას ასრულებდა.

საქმისადმი ერთგული, გულისხმიერი და პრინციპული მუშაკის ა. თ. ლუკავას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და აზნაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი